652/3
1979

28

ცისკარი

4
1979

1979 — ბავშვის საერთაშორისო წელი



ბედნიერი გავშვება

ფოტომონტაჟი ა. ჩანტლაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო

ჭოროხი

გამოდის 1958 წლიდან

4

1979

ივლისი

აგვისტო

შინაარსი

ლიტერატურულ ცხოვრებას — მემი
ილეური მგზნებარება 8

ხუთწლედის მოწინავენი

ჯ. ხოფერია — გარჯით მონაპოვარი
ნარკვევი 7

პოეზია, პროზა

შ. ხოდაშნელი — ლექსები 15
მ. მიქელაშვილი — ლექსები . . . 17
ლ. ანანიძე — ლექსები . . . 18
ნ. ირემაძე — ლექსები . . . 18
ვ. სიმონია — ლალის ოინი მინია-
ტურა 19
მ. მახარაძე — უცნობი ქალიშვილი
მოთხრობა 20
შ. ზოიძე — ლექსები 36
ვ. ახვლედიანი — ნოველები . . . 41

ახალი თარგმანები

ს. ესენინი — ლექსები თარგმანი
გ. სალუქვაძის 45

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

პ. ჯორბენაძე — მებრძოლი, ქმედითი კრიტიკისათვის 50

წერილები

შ. ნიჟარაძე — უპირველესი მამულიშვილური საქმე 63
ყ. თანდილავა — ზოგი რამ შუამთობის დღესასწაულზე 77

წიგნების მიმოხილვა

ე. ვარშანიძე — „რატომ მოვედი ამ სიჩუმილან“ 90

სატირა და იუმორი

ჯ. ითელია — ფერადი ფანქრები . . . 94

რედაქტორი აკაკი შონია

სარედაქციო კოლეგია: ხარიტონ ახვლედიანი
მამია ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი)
ფრიდონ ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 8. 79, საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 3230, ემ 00732; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 2.200.

* * *

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20

ლიტერატურულ ცხოვრებას — მეტი იდეური მზრუნველობა

სადაც არის მიიწურება სამოცდაათიანი წლები ჩვენი მღელვარე, შფოთიანი საუკუნისა.

ყოველი დღე გვიახლოებს ადამიანის გულში ახალი იმედების აღმგზნებ ოთხმოციან წლებს.

ათწლედების ესტაფეტა უკვალოდ როდი მიდის. იგი გარკვეულ დაღს აჩნევს ქვეყნის ცხოვრებასაც და ლიტერატურულ პროცესსაც. ათი წელი ისტორიისათვის ერთი თვალის გახელაც კი არ არის, მაგრამ ჩვენს დროში მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ ეგ ძოკლე პერიოდიც ერთობ მდიდარ მასალას იძლევა მხატვრული განზოგადებისთვის. საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების დინამიკური განვითარება მწერლობას აკისრებს უფრო გულდანდობით მიუგდოს ყური დროის პულსს, უფრო ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულში და აღმოაჩინოს დღემდე უცნობი პლასტები, მიაგნოს გამომსახველობის ახალ-ახალ საშუალებებს, შექმნას ჩვენი ეპოქის შესაფერი ნაწარმოებები.

მაინც რა არის დამახასიათებელი სამოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურისთვის, კერძოდ, ქართული მწერლობისთვის? — განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ინტერესებით შეპირობებული აქტიური შემოქმედებითი პოზიცია, დაძაბული ყურადღება სოციალისტური სინამდვილის საჭირბოროტო პრობლემებისადმი, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით ცხოვრება, ფართო მასშტაბის ბრძოლა მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ჩვენი მწერლობის ტრადიცია — უშუალო მონაწილეობა მიიღოს პარტიისა და ხალხის საქმეებში, ერთხელ კიდევ მთელი სისრულით, მკაფიოდ გამოვლინდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის მიერ გაშლილ ბრძოლაში. ამ ბრძოლის იდეური ასპექტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და დიდად შეუწყო

ხელი რესპუბლიკის საერთო ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას. აქ იჩინა თავი ყოველი ჭეშმარიტი მწერლის ზნეობრივმა კეთილშობილებამ და დიდსულოვნებამ, ვაჟკაცურმა შემართებამ და ერის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ.

ეს ძვირფასი თვისებები იმთავითვე მოსდგამდა ჩვენს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურას. შორს რომ არ წავიდეთ, დღესაც შემოქმედებითი ცხოვრების კანონად რჩება აკაკი წერეთლის პოეტური კრედო: „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა და გულს წრფელად ახურებდეს“. დღესაც ომახიანად გაისმის მამია გურიელის სტრიქონები: „ნუ დაეცემი, დადეგ, გამაგრდი, გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“.

ადამიანი, მისი ფიქრები, განცდები, მისწრაფებანი ყოველთვის იყო მხატვრული აზროვნების მთავარი საგანი.

ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არაო, დიდი კაცობრიული რწმენით ამბობდა ილია ჭავჭავაძე. ჩვენი ერის სულიერი მამა სწორედ აზრის უკვდავებაში ხედავდა ადამიანის უკვდავების საწინდარს.

მსოფლიო ლიტერატურისა და ასევე ჩვენი ეროვნული მწერლობის შედევრებში მთავარია ადამიანის არსებობის საზრისის ძიება ,მისი სულიერი სამყაროს კვლევა და კეთილისმყოფელი გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გალაკტიონ ტაბიძის მგზნებარე სიტყვებში „დავდგეთ იქ სადაც ჭარიშხალია“... „ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს“... უსაშველო ემოციური ძალითაა გადმოცემული ახალი დროის ადამიანთა არსებობის საზრისი. მამულისთვის თავგანწირვის იდეა წითელ ზოლად გასდევს ქართულ საბჭოთა მწერლობას.

ლიტერატურის ყოველი ახალი ჭეშმარიტი ქმნილება მოწმობს, რომ სიტყვის ხატოვანი შესაძლებლობანი ამოუწურავია, ამასთან მშობლიური მიწის, მშობელი ხალხის სიყვარულის გარეშე არ არსებობს არავითარი მწერლობა. იგი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის საზოგადოებრივ ფუნქციას, როცა შესწევს ძალი „განამტკიცოს აზრი წმინდა და გულს წრფელად ახურებდეს“. განებივრებული როდი ვართ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც მკითხველის გულსა და გონებას იპყრობენ და განაწყობენ მას **სააზროვნოდ, სამოქმედოდ.** ამ მხრივ, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“. ამ წიგნებში განზოგადებულია ჩვენი პარტიისა და ხალხის უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება და წარმოადგენენ დოკუმენტური მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მასშტაბური აზროვნების გაკვეთილებს.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა მხატვრული ლიტერატურის

როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კერძოდ მწერლის პოპულარობას. გენიალური მეცნიერი და მგზნებარე პუბლიცისტი წერდა: „პოპულარული მწერალი, სულ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი ცნობები რომ მოჰყავს, მარტივი მსჯელობით ან ოსტატურად შერჩეული მაგალითებით რომ აღნიშნავს ამ ცნობებიდან გამოყვანილ მთავარ დასკვნებს, ამით მკითხველს უღვიძებს ღრმა აზრებს, მის წინაშე შლის ღრმა მოძღვრებას და მოაზროვნე მკითხველს აღუძრავს ახალ-ახალ კითხვებს". ეს ლენინური შეფასება მთლიანად მოერგება ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგიას, რომელიც ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს პლანეტაზე.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოგონებებში ეხება საკუთრივ მხატვრული ლიტერატურის საკითხებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის როლს ახალი საზოგადოების მშენებლობაში, პარტიული ორგანიზაციის გააზრებულ მუშაობას მწერლების, მხატვრების, თეატრისა და კინოს მუშაკების იდეური წრთობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" შემოქმედებითი კავშირების წინაშე დასმულია ამოცანა — სრულყონ მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მარქსისტულ-ლენინური განათლება, დღენიადაგ იზრუნონ მისი მაღალი იდეურობისა და მოქალაქეობრიობისათვის, შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისათვის, ყურადღება მიაქციონ ახალი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ნიჭიერად ასახავს საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას, სოციალისტური საზოგადოების განვითარების გზებსა და პრობლემებს.

ამას წინათ საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, სადაც გაიმართა დიდი საუბარი იდეოლოგიური მუშაობის შესახებ, აღინიშნა, რომ ნიჭიერად დაწერილი, თვალსაჩინო, მით უმეტეს გენიალური ნაწარმოებები, რომლებითაც ერი ამაყობს, ყოველ ცისმარე დღეს არ დაიწერება, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა სწორი შეფასება მივცეთ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, რათა უღიმღამო შაბლონმა ვერ შთანთქას ყოველივე ის ძვირფასი, რაც ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში იქმნება.

დროული და სერიოზული გაფრთხილებაა.

ავ-კარგის გარჩევა აუცილებელია. ეს მკითხველსაც სჭირდება და ლიტერატურასაც. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას კრიტიკამ. სამწუხაროდ, ეს ერთი ხანია ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ვერ ასრულებს თავის წამყვან როლს მწერლობაში, ვერა და ვერ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალწია თავი პანეგირიზმის ტყვეობას, ამიტომაც ლიტერატურულ ფაქტს ხშირად ვერ აძლევს მეცნიერულ შეფასებას, შეუმჩნეველი რჩება განვითარების მთავარი მიმართულება, ტენდენცია, ხასიათი, ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი ზრდის სიძნელეები.

აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები, პროზაიკოსები. „ჭოროხის“ ამ ნომერშიც ვაცნობთ მკითხველს რამდენიმე ახალ სახელს. ლიტერატურულ კრიტიკაშიც მოსინჯა თავისი ძალა ზოგიერთმა, მაგრამ არ გაჰყვა ამ გზას, უფრო უწყინარი საქმეები არჩია. კრიტიკოსთა ახალი კადრების აღზრდა სერიოზული ამოცანაა და ამ მხრივ ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, სტუდენტთა ლიტერატურულ წრეს შეუძლიათ საიმედოდ მოამზადონ ნიადაგი.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი წარმოადგენენ საიმედო ორიენტირს საბჭოთა მწერლების შემოქმედებით ძოლვაწეობაში. პარტია ლიტერატორებს მოუწოდებს ასახონ ხალხის გმირობა ახალი ცხოვრებისათვის თავდადებული შრომისა და ბრძოლის მთავარ მიმართულებებზე, იყონ იქ, სადაც წყდება საქმის ბედი და ყველაზე უფრო სრულად, მკაფიოდ ვლინდება საბჭოური ხასიათი.

შემოქმედებითი მივლინების პრაქტიკა, უკანასკნელ წლებში ფართოდ რომ დამკვიდრდა, ცხოვრებასთან მწერლობის შემდგომი დაახლოების, ყოფიერების სიღრმისეულ შრეებში შეღწევის საუკეთესო საშუალება შეიქნა და ხელი შეუწყო ლიტერატურის ისეთი მობილური ჟანრის განვითარებას, როგორიც არის მხატვრული ნარკვევი.

ჩვენ გვინდა პუბლიცისტური გზნებით ალსავსე ნარკვევები ხუთწლედის მოწინავე ადამიანებზე, და არა მარტო ნარკვევები, — ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც სრულყოფილად აისახება ქვეყნის მატერიალური და სულიერი დოვლათის შემქმნელთა ცხოვრება, ჩვენი პარტიისა და ხალხის ბრძოლა კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარჯით მონაპოვარი

გმირები ჩვეულებრივად უბრალო ადამიანები არიან, ცხოვრობენ და შრომობენ უხმაუროდ, ზარზეიმის გარეშე, თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ისინი უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს.

ლ. ი. ბრეჟნევი.

საშუალოზე ოდნავ მაღალი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კაცია ნუგზარ გოგაძე, მშვიდი, დინჯი და აუჩქარებელი. ერთი შეხედვით სიტყვაძუნწიც კი მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დაფიქრებული გამოხედვა აქვს, დაღლილი გამომეტყველება, თუმცა რა გასაკვირია, ეს-ესაა მორჩა საქმეს. აწყობს მაგიდაზე დიდრონ, ნაჯაფარ ხელებს და ბაასობს, ამბობს მხოლოდ იმას, რაც უნდა ითქვას, ამბობს მთავარსა და აუცილებელს.

ალბათ, ყოველ ადამიანს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, აქვს თავისი, საკუთარი, ზოგჯერ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო, ზოგჯერ კი საოცრად მდიდარი, მრავალფეროვანი და სხვებისათვის მისაბაძი ბიოგრაფია. ერთმანეთს ჰგვანან ბიოგრაფიები, და არც ჰგვანან, რაღაცით მაინც განსხვავდებიან. ყოველი ბიოგრაფიის მიღმა ხომ ადამიანი დგას თავისი საქმიანობით, ფიქრებით, განცდებით, მისწრაფებებით, სიხარულითა თუ სადარდელით .

ნუგზარ გოგაძეს შეუძლია ილაპარაკოს სხვადასხვა თემაზე — ქარხანაზე, საამქროზე, დანადგარზე, ამხანაგებსა და თანამოსაქმეებზე, მათ შრომაზე, ხუთწლედებზე, მაგრამ როცა საკუთარ თავზე უნდა თქვას რამე, ჩუმდება, უჭირს, ძლივს. ახერხებს ენის მობრუნებას. არადა მას იმაზე დიდი, გაცილებით დიდი, საინტერესო და შინაარსიანი ბიოგრაფია აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა...

იგი შუახევის რაიონში დაიბადა, სოფელ გოგაძეებში — ულამაზეს

მთიან სოფელში, სად ქოჩორა ტყით დაფარული მთებია, ამწვანებული ფერდობები, ანკარა წყაროები, მთის გამჭირვალე, სუფთა ჰაერი და ლურჯი, კამკამა ცა. აქ კაცი ლაღად გრძნობს თავს, დროისა და სივრცის დაძლევის, შრომის დაუოკებელი სურვილი ებადება. მისი მშობლები კოლმეურნეობაში მუშაობდნენ, გამოირჩეოდნენ მუყაითობით, მხარში ედგნენ თანასოფლელებს და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ გასაკეთებელს. რა გასაკვირია, ასეთი მუყაითი მშობლების შვილებიც შრომისმოყვარე გამოვიდნენ.

— მამაჩემი თავიდან შრომას გვაჩვევდა, — ყვება ნუგზარი, — საკუთარი შრომითა და ოფლით მოპოვებულ ლუკმაზე ტკბილი არაფერია ამ ქვეყანაზეო, გვეუბნებოდა...

ყმაწვილი სოფლის რვაწლიან სკოლაში სწავლობდა და თავისუფალ დროს, გაკვეთილების მომზადების შემდეგ ეხმარებოდა მშობლებს ოჯახში, საკოლმეურნეო ფართობზე. საქმეს სოფელში რა გამოლევს.

— შემდეგ რა იყო? — ვეკითხები მას.

— შემდეგ? — კითხულობს დინჯად, უცქერის ერთ ამოჩემებულ წერტილს და თითქოს იხსენებსო, პაუზისა და დუმილის მერე განაგრძობს: — შემდეგ, რვაწლიანი სკოლა რომ დავამთავრე, ბიძაჩემმა თავისთან წამიყვანა ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. სწავლა იქ, ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში განვაგრძე, ცუდად არ ვსწავლობდი. ინტერნატი 1964 წელს დავამთავრე და სიმწიფის ატესტატი ავიღე. ახლა უკვე, ასე ვთქვათ, თავისუფალი მოქალაქე ვიყავი, შემეძლო ამერჩია ცხოვრების გზა, აქედანვე ჩამეყარა საფუძველი ჩემი მომავლისათვის.

შემდეგ ის იყო, გულმა ისევ მშობლიური კერისაკენ გაუწია ნუგზარს, დაუბრუნდა სოფელს და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მისთვის უცხო არ იყო ეს და არ გაჭირვებია, მონდომებით მოეკიდა საქმეს. მალე მიიქცია სოფლის თავკაცების ყურადღება. შეაქეს, გაამხნევეს, ისიც არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას, თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო შრომაში.

სოფელში სულ ერთი წელი დაჰყო, 1965 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. აქაც მალე მიიქცია ყურადღება, როგორც დისციპლინიანმა, ენერგიულმა ახალგაზრდამ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნუგზარის მშობლებს ნაწილის ხელმძღვანელობამ მადლობის ბარათი გამოუგზავნა ასეთი შვილის გაზრდისათვის.

1968 წელს ვალმოხდილი ჯარისკაცი ისევ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა.

— და ისევ კოლმეურნეობაში დაიწყე მუშაობა, არა? — ვეკითხები.

— არა.. — ამბობს ყოყმანით და მარიდებს თვალს. — სოფელში ალარ დავრჩენილვარ. შეიძლება ეს ღალატად ჩამეთვალოს ჩემი სოფლის მიმართ, მაგრამ ასე კი იყო და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ ფიქრობ, უნდა დარჩენილიყავი სოფელში?

— ახლა ამაზე ლაპარაკი ძნელია.

გულმა რატომღაც ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისაკენ გაუწია.

— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც იქა?

წამით ყოყმანობს და მერე მეუბნება: — შემეძლო წავსულიყავი სხვაგან, ბათუმში ხომ ამდენი ფაბრიკა და ქარხანაა. ერთხანს ვყოყმანობდი კიდეც, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ეს ქარხანა ვარჩიე. მის სახელოვან კოლექტივზე ბევრი რამ მსმენოდა და წამეკითხა. ვიცოდი, რომ იქ შესანიშნავი კოლექტივია, რომ მეგობრულად შრომობენ სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები, შრომობენ და აღწევენ წარმატებებს.

ჰოდა, ასე შეაღო ნუგზარმა პირველად ამ დიდი, მდიდარი ტრადიციების მქონე ქარხნის ჭიშკარი. შეაღო რიდით, მოკრძალებით.

საწარმოში პირველად მოსულ ახალბედას საერთოდ ყოველთვის უჭირს, იგი რალაცნაირ შიშს განიცდის მისთვის სრულიად ახალი, უჩვეულო გარემოს მიმართ და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. არც თავისთავშია მაინცდამაინც დარწმუნებული, ფიქრობს, ვაითუ როგორც საჭიროა ისე ვერ გავაკეთოო საქმე. ასეა ყველა, ასე იყო ნუგზარიც. მაგრამ ეს შიში დროებითი აღმოჩნდა.

იმ დროისათვის ქარხანასთან არსებობდა სპეციალური კურსები, სადაც მომავალ კადრს, სკოლის მერხიდან, საბჭოთა არმიის რიგებიდან ქარხანაში მოსულ ახალგაზრდა შევსებას ამზადებდნენ, კურსების მსმენელებს უნერგავდნენ შრომის ჩვევებს, ასწავლიდნენ რთულ ტექნოლოგიასა და თანამედროვე კონსტრუქციის ურთულეს მანქანა-დანადგარებს. სწორედ ამ კურსების მოწადინებული მსმენელი იყო ნუგზარ გოგაძე.

ვინ იყო მისი პირველი მასწავლებელი?

მოდით, თავად ნუგზარს მოვუსმინოთ.

— როცა ახალბედა მუშა პირველად მიდის საწარმოში სამუშაოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი მასწავლებელი, როგორი ოსტატი შეხვდება მას. ვისაც შენი აღზრდა აქვს მინდობილი, მან შეიძლება საქმე ისე შეგაყვაროს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმ პირველად არჩეულ გზას გაჰყვე და არასოდეს არ ინანო რამე. შეიძლება მოხდეს პირიქითაც — ზოგი უსულგულო ოსტატის წყალობით სულ თავბედი იწყევლო და დღედაღამე ინანო, ასე როგორ შევცდი, აქ რა მინდოდა, რამ მომიყვანაო. მე ძალიან გამიმართლა. ჩემი მასწავლებლები ცნობილი სპეციალისტები, საქმის ნამდვილი სული და გულიო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთები იყვნენ: გოგი ბერიძე, იოსებ ჯინჭარაძე და თენგიზ დიდია. სწორედ ამ ადამიანებმა მასწავლეს და შემაყვარეს ის საქმე, რომელსაც დღეს ვაკეთებ.

ერთმანეთს მისდევდნენ შინაარსიანი, დაძაბული, საინტერესო დღეები.

სწავლობდა და შრომობდა...

როგორც ცნობილია, ბენზინის თბოუნარიანობა იზრდება მისი აქტანიანობის ამაღლებით. წინათ უშვებდნენ დაბალი აქტანიანობის ბენზინს. თანამედროვე გაუმჯობესებული კონსტრუქციის ავტოტრანსპორტი კი მაღალაქტანიან ბენზინზე მუშაობს. რომ ამაღლებინათ ბენზინის აქტანიანობა, ბათუმელი მენავთობეები თავიანთ პროდუქციას აზავებდნენ მაღალაქტანიან ბენზინთან. ცხადია, ეს აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და მნიშვნელოვნად ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას. სწორედ ამიტომ 1964 წელს ქარხანაში დაიწყო ამიერკავკასიაში პირველი უნიკალური დანადგარი გიგანტის — კატალიზური რიფორმინგის მშენებლობა. იგი ჩეხოსლოვაკიელმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს. მის მშენებლობაზე დაიხარჯა 6,5 მილიონი მანეთი.

სწორედ ამ გიგანტის მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა ნუგზარ გოგაძემ და დაუზარელი შრომით თავისი წვლილი შეიტანა მის დროულად ამუშავებაში.

ნაყოფიერ სწავლასა და შრომაში თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გარბოდნენ კვირეები, თვეები. ნუგზარი თანდათან ეუფლებოდა რთულ პროცესებს, 1970 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები და მუშაობა დაიწყო პირველ საამქროში, 35-ე დანადგარზე, ოპერატორის თანაშემწედ.

— ჩემმა ყოფილმა მასწავლებლებმა, კურსებზე რომ ვმეცადინეობდი, უპირველესად შრომისადმი სიყვარული და მუშური სინდისი ჩამინერგეს. — გვეუბნება ნუგზარი. — მუშური სინდისი კი, ჩემი აზრით, მთავარია.

რა არის მაინც მუშური სინდისი, მუშური პატიოსნება?

ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია — შენზე მინდობილ საქმეს რომ ნამუსიანად, კეთილსინდისიერად გააკეთებ, არც შენს თავს შეირცხვენ და არც შენს მეგობრებსა და თანამოსაქმეებს შეარცხვენ, რომ საერთო საქმეზე ისევე შეგტკივა გული როგორც პირადზე, ეგაა მუშური სინდისი და პატიოსნება.

სწორედ ეს მუშური პატიოსნება აქვს ნუგზარს.

— თუ კი მუშას მუშური სინდისი არ გააჩნია, იგი არასოდეს არ იქნება ნამდვილი მუშა, თავისი საქმის ჩინებული შემსრულებელი და გულისხმიერი მეგობარი, — დასძენს ნუგზარი.

— ხომ არ გაგიჭირდა დამოუკიდებლად მუშაობა? — ვეკითხები მე.

— მართალია, იქ, კურსებზე მიღებული ცოდნა ძალიან დამეხმარა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პირველად მაინც გამიჭირდა, — ამბობს იგი. — ცხადია, როცა დამოუკიდებლად იწყებ საქმეს, ზედმიწევნით რომ

იცოდე ყველაფერი, მაინც გაგიჭირდება, მაგრამ ჩემს გვერდით ისეთი სპეციალისტები იდგნენ, ვინ დამტოვებდა მარტო? დამეხმარნენ, მხარში ამომიდგნენ, ამიხსნეს, გამარკვიეს და მალე საქმე საათივით აეწყო

მონდომებამ, მუყაითობამ, დაუზარელმა შრომამ მალე სასურველი ნაყოფი გამოიღო, ნუგზარი თანდათანობით დაოსტატდა დ გაიწაფა შრომაში.

არსად ისე არ აქცევენ ყურადღებას ახალგაზრდა კადრს, როგორც ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. ადამიანები აქ წარმატებებს აღწევენ სხელოვანი კოლექტივის მეოხებით, მისი მხარდაჭერითა და სიყვარულით.

ასეა ეს და ასე მიაჩნდა ნუგზარსაც.

— ჩვენს ქარხანაში იმდენად კარგი, გულისხმიერი ხალხია, რომ მათზე ლაპარაკი არასოდეს არ მოგბეზრდება. მე და ბევრი ჩემისთანა, შედარებით ახალბედა მუშა, ქარხნის ვეტერანთა მაგალითზე ვიზრდებით, ვცდილობთ გადმოვიღოთ ყოველივე ის, რაც კარგია მათში.

— აი, მათ, ვეტერანებს რომ აჯობოთ, თუ ცდილობთ ამას?

ეღიმება.

— ვეტერანებს?.. ვცდილობთ, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ისინი გვჯობნიან, უზარმაზარი გამოცდილება აქვთ. ჩვენ კი ვცდილობთ და ისიც ვიცით, რომ ჩვენი წარმატებები მათ ძალიან გაუხარდებათ.

ასეც მოხდა.

ნუგზარი მალე დაწინაურდა. ჯერ იყო და შემცვლელი ოპერატორიდან ოპერატორად დააწინაურეს, მერე კი უფრო დიდი წდობა გამოუცხადეს — უფროსი ოპერატორი გახდა.

— ამხანაგებმა, თანამოსაქმეებმა. ქარხნის ხელმძღვანელობამ ნამდვილად დიდი წდობა გამომიცხადეს. — ყვება ნუგზარი, — უფროსი ოპერატორობა პასუხსაგები საქმეა. მე ყოველთვის ვცდილობდი გამემართლებინა მათი წდობა, ვცდილობდი მუყაითი შრომით დამემტკიცებინა. რომ ისინი არ შემცდარან არჩევანში.

ისინი რომ არ შემცდარან, ეს თანდათანობით დამტკიცდა და დადასტურდა.

მაინც რა შეადგენს ნუგზარის, როგორც უფროსი ოპერატორის მოვალეობას?

აქ, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ყოველ უბანზე, თითოეულ საამქროსა თუ დანადგარზე, მუშაობა ძნელია და რთული, ყოველი რიგითი მუშისა და ოსტატისაგან დიდ დაკვირვებას, სიფხიზლესა და გამოცდილებას მოითხოვს.

მაგრამ ის სამუშაო, ის საქმე, რასაც ოპერატორი და მით უმეტეს უფროსი ოპერატორი ასრულებს, განსაკუთრებით ძნელია და რთული. მაინც რატომ? აქ არ შეიძლება შეცდე. შეცდეს ოპერატორი, ეს წარმო-

უდგენელი რამაა. შეცდეს ოპერატორი, ეს იმას ნიშნავს, შელახო ქარხნის სახელი, ღირსება, პრესტიჟი და წყალში გადაყარო ათასობით მანეთი სახალხო ფული, არარად ჩააგდო შენი მეგობრების დაძაბული შრომა და ფუჭად აქციო იგი.

ოპერატორი ვალდებულია თვალყური ადევნოს ტექნოლოგიურ პროცესს, ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ პროცესის სწორ, ზუსტ მიმდინარეობას. ოპერატორმა უნდა მიიღოს ნედლეული, აიღოს სინჯი, შეამოწმოს, დაკვირვებით, მისხალ-მისხალ შეამოწმოს მზა პროდუქციის ხარისხი, რაოდენობა...

სად არ მიდის ახლა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნაწარმი, რომელ ქვეყანაში არ იგზავნება იგი. ჯერჯერობით კი არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე ქარხანას რეკლამაცია მიეღოს. ამაში ნუგზარის დამსახურებაცაა.

გარინდებულა ბარომეტრის ისარი. მხოლოდ ხანდახან, ათასში ერთხელ თუ შეტოკდება წამით და მერე ისევ გაისუსება. მაგრამ გამოცდილ, დაკვირვებულ ოპერატორს ისრის ეს წამიერი, ძლივსშესამჩნევი შეტოკებაც კი არ გამოეპარება და მაშინვე ღებულობს საჭირო ზომებს.

საოპერაციოში, ცენტრალური სამართავი პულტის დიდ ფარზე ასობით ჭკვიანი ხელსაწყოა მოთავსებული, რომლებიც ოპერატორის ერთგვარი მეგობრები და დამხმარეები არიან, ზედმიწევნითი სიზუსტით აკონტროლებენ დანადგარის რიტმულ მუშაობას, მეტად რთული ტექნოლოგიური პროცესის ყოველ დეტალს... შეამჩნევენ თუ არა სრულიად უმნიშვნელო გადახრას თუ უწესივრობას, მაშინვე აგებინებენ ოპერატორს. სხვა ყველაფერი თვით ოპერატორის ცოდნაზეა, მის გამოცდილებასა და უნარზეა დამოკიდებული. ოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, თვალის დახამხამებაში, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება. მაგრამ, ცხადია, ეს გადაწყვეტილება სწორი უნდა იყოს! სწორედ აქ სჭირდება ოპერატორს საქმის ღრმა ცოდნა და დიდი გამოცდილება, დანარჩენს კი ჭკვიანი მანქანები და დანადგარები გააკეთებენ. მანქანა-დანადგარები რომ გამართულად, შეუფერხებლად და რიტმულად მუშაობენ, ამაშიც ოპერატორს მიუძღვის წვლილი, ერთ ადგილზე გარინდებული ხელსაწყოების ისრები ნიშანია იმისა, რომ ყველაფერი რიგზეა, პროცესი ზუსტად, დაგეგმილი წესითა და რიგით მიდის.

— შენს ნაშრომ-ნაამაგარს მადლი და ბარაქა არ ექნება, თუ თავად შრომა, ის საქმე, რასაც შენ აკეთებ, არ გიყვარს, სიხარულსა და კმაყოფილებას არ განიჭებს. — მეუბნება ნუგზარი. — მე, მაგალითად, ვიცი, რასაც ვაკეთებ, რისთვისაც ვაკეთებ, რა გამოდის ჩემი ნახელავიდან და ეს მგვრის სწორედ იმ სიხარულს, რასაც შრომის სიხარული ქვია და, რომელსაც ვერაფერი ვერ შეედრება ამ ქვეყანაზე.

ზედმიწევნით რომ იცოდე ის, რასაც შენ აკეთებ, საჭიროა სისტემატური სწავლა და გამოცდილება. ამიტომაც თავისუფალ დროს ნუგზარი კითხულობს წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, ჩაჰკირკიტებს ტექნიკურ ლიტერატურას, ბროშურებსა და სპეციალურ ბიულეტენებს.

— კარგია, როცა შენს გვერდით, მხარდამხარ გამოცდილი ადამიანები მუშაობენ. მათ უნდა კითხო და ამისი არ უნდა გრცხვენოდეს.

— თქვენ, რა თქმა უნდა..

— მე, რაც არ ვიცი, ყოველთვის ვკითხულობ, ვეკითხები სხვას და ამისი სრულებით არ მრცხვენია! — არ მამთავრებინებს სათქმელს.

შრომისმოყვარე, ენერგიული, დაუზარელი, საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი — ასეთი კაცია ნუგზარ გოგაძე და ასეთად იცნობენ მას მეგობრები, თანამოსაქმეები, ქარხნის ხელმძღვანელები.

შრომა-გარჯილობა დაუფასდა ახალგაზრდა ოპერატორს — „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს.

— რაღა თქმა უნდა, მთავრობის ეს ჯილდო დიდად გასახარელი იყო ჩემთვის, — ყვება იგი, — მაგრამ, ამავე დროს, სერიოზულად ჩამაფიქრა კიდეც. ბევრ რამეს მავალებდა და მავალდებულებდა. ვიცოდი, რომ ეს ჯილდო მარტო ჩემი დამსახურება არ იყო, ჩემი ამხანაგების, ჩემი მასწავლებლების კუთვნილებაც იყო. მათ შემაძლებინეს ის, რაც გავაკეთე და რისთვისაც ასე დამაფასეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ.

შრომის დაფასებამ ერთხელ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა ნუგზარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ბათუმის № 495 საარჩევნო ოლქში.

როგორ შეხვდა ამ ამბავს ნუგზარ გოგაძე? რა თქმა უნდა, დიდი სიხარულითა და მღელვარებით! ასაღელვებელი მართლაც რომ ჰქონდა ახალგაზრდა ოპერატორს, მან კარგად იცოდა, რას წარმოადგენს დეპუტატი, რა მოვალეობა აკისრია მას, რა უფლებები აქვს. დეპუტატი ხომ ხალხის რჩეულია და უანგაროდ, ენერგიის დაუზოგავად უნდა ემსახუროს მას. რა დასამალია, დიდი კმაყოფილების გრძნობაც დაეუფლა მუშა-კაცს: რაოდენ დააფასეს მისი მოკრძალებული შრომა, ის მცირე წვლილი, რომელიც საერთო საქმეში, ქარხნის კოლექტივის წარმატებებში შეაქვს.

— რას აკეთებთ როგორც დეპუტატი? — ვეკითხები ნუგზარს.

— საქმე და გასაკეთებელ-მოსაგვარებელი ძალიან ბევრია. მეც ვცდილობ დავეხმარო ჩემს ამომრჩევლებს.

მას, როგორც დეპუტატს, ხშირად მოსდის წერილები ამომრჩევლებისაგან, ხშირად მოდიან მასთან, თხოვენ დახმარებას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება-გადაჭრაში. თუ რას აკეთებს იგი, როგორც დეპუტატი, როგორ ეხმარება თავის ამომრჩევლებს, ამაზე ბევრი ფაქტის დასახელება შეიძლება. აი, თუნდაც ერთი — მენავთობეთა და-

ბისა და ჯავახიშვილის ქუჩის მცხოვრებლებს აუცილებელი საბინაო და სამეურნეო საკითხები მოუგვარა.

— მერე და გრჩებათ საამისო დრო? — ვეკითხები მას.

— თუ კაცი გულით მოინდომებს, დროს მონახავს; არის საქმე, რომლის გადადება არავითარ შემთგვევაში არ შეიძლება. ხალხის, ამომრჩევლების სამსახური სწორედ რომ გადაუდებელი საქმეა.

ნუგზარ გოგაძე ახლა ჩინებულად უძღვება თავის ბრიგადას. აქ სულ ექვსი კაცია — ორი ოპერატორი, ორი ოპერატორის თანაშემწე, მემანქანე და მემანქანის თანაშემწე. ბრიგადა მეგობრულად შრომობს და სწორედ ასე, შეხმატკბილებული, მონდომებული, დაუზარელი შრომით აღწევს წარმატებებს.

35-ე დანადგარზე მომუშავეთა შორის ნუგზარის ბრიგადა ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. ეს უპირველესად ნუგზარ გოგაძის დამსახურებაა.

ნუგზარს ვთხოვთ დაგვისახელოს მოწინავენი. იგი ერთხანს ყოყმანობს, მერე კი მტკიცედ და გადაჭრით ამბობს: — ჩემს ბრიგადაში ყველა მოწინავეა, თითოეული მათგანი დაძაბულად შრომობს და, ვგონებ, უხერხულიც იქნება რომელიმე მათგანის გამოყოფა.

ბრიგადირი მართალია!

— ხართ თუ არა ბედნიერი? და საერთოდ რა მიგაჩნიათ ადამიანის ბედნიერებად?

— აბა რა ვიცი, — ამბობს პაუზის შემდეგ, მხრების აჩეჩვით, — ძნელია თქვა ვის როგორ, რა შემთხვევაში მიაჩნია თავი ბედნიერად; რაც შემეხება მე პირად, ვგონებ, ბედნიერი ვარ, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩემი შრომა სიხარულს მანიჭებს. ბედნიერი ვარ იმიტომაც, რომ ასეთ კოლექტივში მოვხვდი, გარშემო ამდენი მეგობარი და კეთილის მყოფელი მყავს... მინდა ხვალ მეტს მივაღწიო, ზეგ კი ხვალინდელზე მეტი გავაკეთო. მინდა ჩემი შვილები — ჯუმბერი და შორენა მშრომელ, ალალმართალ, პატიოსან ადამიანებად გავზარდო, რომ ხალხს წაადგნენ, იცოდნენ შრომის ფასი და შრომით მოიპოვონ ცხოვრება.

ჯემალ ხოფერია

1979 — ბავშვის საერთაშორისო წელი



იმღერეთ, იმხიარულეთ,
მთა-ბარს გაახმაყეთ ლხენით,
თქვენს ულამაზეს ბავშვობას
იცავს მამული ჩვენი.

ჭოთა ხოდაშნელი

ვის ჰგავს

— ჩქარა — ჩქარა—
დედილო,
აქ რა მასლაათია,
მოდი, მოდი — სასწრაფოდ,
ვაბანავებთ თათიას...
რა წკრიალა გოგოა
განა ისე პაწია,
ღუნღულა და ლამაზი
ცოტა ცოტა პრანჭიაც...

ერთი სადარდელი აქვს
თოჯინა ჰყავს ტანჩია.
ვერაფრით დააძინა
თუმცა ბევრი არწია...
ეფერება, უწყრება,
მხოლოდ მისთვის სცალია...
ის კი ურჩობს...
(გაგანდოთ?)
პატრონსა ჰგავს ძალიან...

ცარაგუზების ფვიულება

სუფრას შემოსხდომოდნენ,
ტაბლა ედგათ ზიარად.
ხან ისმოდა სიცილი,
ხან სიმღერა წკრიალა.

ორმოცფეხამ — ქებულმა
მაინც დაიგვიანა!
გაწყრა ნემსიყლაპია
— შენს ლოდინში დავდნიო.
ან ზარმაცი ვინმე ხარ
ანდა დარდიმანდიო.
ორმოცფეხამ მიუგო:
— ზარმაცს რატომ მადრიო.
აქ ვიდექი, კარებთან
ფეხებს ვიწმენდავდიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდალა-სანიტარი

ტყეს გაუჭირდა ძალიან,
ჩუმი შრიალით ხვნეშის.
საშველად ჭრელი კოდალა
უცებ მოფრინდა ტყეში.
დაფასებული ამდენად
თუ არის, ამით არის!
ყველა ხეს სინჯავს
ნისკარტით
კოდალა-სანიტარი.

საქმეში არა ორგულობს,
არ აფუჩეჩებს უცებ.
ხეს უკაკუნებს კოდალა
ხის გულისცემას უსმენს...
და ამიტომაც შრიალით
ყველგან უხმობენ ტყენი.
ისიც ტყეებში ტრიალებს
კივკივითა და სტვენით.

დ ე ბ ი

სახლში წითელ ყაყაჩოდ
და თეთრ ვარდად ანთია
ორი ნაზი ყვავილი —
სოფიკო და ნათია.
დედის დაუკითხავად
ხელს არაფერს ახლებენ,
საუბრობენ ისე რომ,
ხმას არ აუმაღლებენ...
სადაც ეტყვის მშობელი,
უხმაუროდ იქ წავლენ.

არ სჭირდებათ ჩიჩინი
— დაუკარი, ისწავლე...
დები ერთად არიან,
ყველგან ერთად დადიან.
რძისთვის ერთად მიდიან,
სისხამ დილით, ადრიან.
სახლში წითელ ყაყაჩოდ
და თეთრ ვარდად ანთია
ორი ნაზი ყვავილი —
სოფიკო და ნათია...

უთოვლო ზამთარი

დეკემბერი დადგა და
თოვლი არ ჩანს სრულებით.

თაგუნებით აივსო
მინდვრები და ხნულები.

თოვლსა ნატრობს ბაბუა, —
უნდა ითქვას მართალი.
დაბუზღუნებს — რასა ჰგავს
ეს უთოვლო ზამთარი?..

თათას, ხათოს, ვახტანგის
ერთი ფიქრი აწვალებთ:
— ბაბუ, თოვლი რომ მოვა
თაგუნები სად წავლენ?

მაია მიქელაძვილი

პატარა მხატვარი

ერთხელ გიამ დახატა
პაწია კურდღელი;
დაუხატა თვალები,
დაუხატა ცხვირი,
დაუხატა ყურები,
დაუხატა პირი.

მერე მგელი დახატა,
ვითომ უღრენს კურდღელს.
კურდღელი კი ამაყად
დგას და სულ მგელს
უმზერს.

მგელი მეტად გაბრაზდა, —
ნუთუ ვერა ვძლიე?!
შეეშინდა პაწიას,
შეეშინდა ძლიერ.

გიამ მგელი წაშალა,
დაწყნარდა კურდღელი
და მადლობის ნიშნად
თათს იქნევდა ყურგრძელი.

ლურჯი აპრილი

ვარდისფერ ნისლში დგანან ატმები.
ტოტებგაშლილი დგანან და თვლემენ,
ბაღში ყვავიან თეთრად ვაშლები,
გაუმართიათ მეჯლისი პეპლებს.
ისევ ამღერდა ცაში მერცხალი,
ისევ იცინის ბუჩქიდან ია.
მოდის თვე გედის ფრთების შრიალით,
რომელსაც ლურჯი აპრილი ჰქვია.

ლევან ანანიძე

შევისწავლეთ „განდაგანა“

ზეიმია სამაისო,
აშრიალდა ბაღი, ყანა.
გახსნეს ფარდა და დავიწყეთ
ცეცხლოვანი „განდაგანა“.

დარბაზიდან გვიმზერს ყველა
ყვავილივით განაბული,
ჩვენმა ცეკვამ სიხარულით
აუძგერა დედებს გული.

ფრინველების სიხარული

შოშია და ნიბლია
ლურჯ ცას მოუხიბლია,
სურთ თქვან: ეს მთა და ველი
სულზე უფრო ტკბილია.
ტკარცალებენ რა ლაღად,
ფრთაში ელვა გაუჩნდათ,

იქ სხდებიან სად ჰყვავის
ატამი და ალუჩა.
მათ კვალს გაჰყვა ტოროლაც.
ფრთები ლაჟვარდს გააკრა.
ჩიტთა ჟივილ-ხივილი
ციდან ცვივა არაკად.

მეოცნებე გიორგი

დგას ზაფხული შუქბრიალა,
ოცნებით მაქვს გული სავსე,
ნაბდითა და კომბლით ხელში
მეც მეცხვარეს დავემსგავსე.
იალაღზე გავშლი ფარას,

სტვირს დავუკრავ ზარის
ხმაზე,
ჩემზე უფრო ბედნიერი
ვინ იქნება ქვეყანაზე.

ნოშრევან ირემაძე

თინიკოს ვეფხვი

თინამ აიღო ფანქარი
და გადაშალა რვეული,

ფისოს ხატავდა და ბოლოს
ვეფხვი გამოდგა წყეული.

ვეფხვი იყო და რა ვეფხვი,
შეშლილი, გადარეული,

სასწრაფოდ ბოძზე მიაბა,
ნადირი, ბრაზმორეული.

* * *

ზურგით მოაქვს მისი ბინა,
რა ყოფილა ლოკოკინა!
რქებს ამოწვევს მედიდურად,

საძირკველი სახლს რად
უნდა,
შეძვრა შიგ და დაიბუდა.

ეჭიმი კოდალა

მე ტყეებს ისე ვჭირდები,
როგორც ავადმყოფს
ნემსები,

ხეებს ნისკარტით
ვმკურნალობ,
რომ არ გაუხმეს ფესვები.

ვასილ სიმონია

ლალის ოინი


თვალცქრიალა ცელქი გოგონაა ლალი. ჭამაში ჭირვეულია. — ჭამე, შვილო და ახალ კაბებს გიყიდიო, — ხშირად ეხვეწება დედა, ლალი კი გაიძახის: ალ მინდა, ალა!

ერთხელ ლალი ბებიასთან მარტო დარჩა. ბებო სამზარეულოში შევიდა და გაზქურაზე რძე შედგა. გოგონამ ეს რომ დაინახა, უმალვე გაიხადა ჭრელი კაბა, მისოდენა დედოფალას ჩააცვა და ტახტზე დასვა, თვითონ კი ტახტქვეშ დაიმალა.

ბებომ ჭიქით ახალადუღებული რძე მოიტანა და... დედოფალას გვერდით მიუჯდა, ის იყო კოვზი პირთან მიუტანა, რომ უნებლიეთ მკლავი გაჰკრა და დედოფალა ტახტიდან ძირს ჩამოვარდა.

— უი, ჩემ თავს, მოვკალი ბავშვი! — დაიყვირა ბებომ და ხელში აიტაცა...

ლალი სიცილით იგუდებოდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია მახარაძე

უცნობი ქალიშვილი

თითოეული ადამიანი თავისთავში ატარებს ყველა ადამიანურ თვისებათა ჩანასახს და ხან ერთს ამჟღავნებს, ხან მეორეს, ზოგჯერ არცა ჰგავს თავისთავს, მაგრამ ამავე დროს მაინც იმად რჩებ• რაც არის.

ლევ ტოლსტოი

გრილი ნიავი ქროდა სანაპიროზე. სუნთქვა ისმოდა მდუმარე ტალღების, რძისფერ ნისლში ჩაძირულიყო მთები ჰორიზონტს იქით.

თოლიები მოწყვეტილი ფოთლებივით ფარფატებდნენ. მინდობილად მიჰყვებოდნენ ტალღების ნელ უკუქცევას. ყოველივეს თვალის ერთი მიმოვლებით შენიშნავდა ბუნებასთან შეყვარებული ადამიანი.

ჩვეული ნაბიჯებით დავუყევი ნავსადგურისაკენ. სანაპირო გაეფართოებინათ. ასფალტს აგებდნენ. სიმრავლე იგრძნობოდა.

ერთხანს თავდახრილი მივაბიჯებდი. როცა დაღლა ვიგრძენი, განმარტოებით ჩამოვჯექი მახლობელ სკამზე. ფიქრი მომწყურდა. თვალი მოვავლე ადამიანებს, მერე საკუთარ სულში ჩავიხედე და ჩემ თავს ვკითხე — ვინ ვარ მე? პასუხი მივიღე: ყოველი ადამიანი საკუთარი ნაბიჯით იზომებაო. საფიქრალი გამიორკეცდა. განვლილ წლებს გადავავლე თვალი, რომ წარსულში ძეპოვა ჩემი თაღი, მაგრამ ამაოდ, მომავალში უნდა ვეძებო ჩემი არსება. მჯერა, ვიპოვი კიდეც.

თქმისა და ქმნის შუა დიდია ზღვარი, სიტყვა თქმაა და არა ქმნა. მწამს ჩემი თქმისა, იგი საქმედ იქცევა.

სანაპირო თანდათან აივსო ხალხით. ზოგი წყვილად მიდიოდა, ზოგი კი ჩემსავით...

სიგარეტს მოვუკიდე და ღრმად შევისუნთქე კვამლი. გონებაში თა-

ნდათან ყველაფერი დაიწმინდა. ამინდიც ხელს უწყობდა ჩემს განწყობილებას. ასეთ დროს მებადება განმარტოებისა და უსაზღვრო ფიქრის სურვილი. ადამიანები ხომ უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე მეტყველებენ. მიყვარს როცა საკუთარ სამყაროში ვიხედები, როცა სულის საკუჭნაოში იდუმალ გრძნობათა თაროებზე დალაგებულ იმედიან გეგმებს აზრთა სასწორზე ვწონი. ვფიქრობ, ადამიანი ყველაზე დიდ ენერგიას საკუთარი თავის გამოცნობაში ხარჯავს. იგი გამოუცნობი მოვლენაა მეორე ადამიანისათვის თავისი ბუნებით...

ხმამაღალი სიცილი მომესმა, მარცხნივ მივიხედე. წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები ხელიხელჩაკიდებულნი მოდიოდნენ, ღიმილი ეფინათ. მომავალი თაობა, სხვადასხვა ხასიათი და სხვადასხვა ბუნება, უმანკო სახეები...

კვლავ მოვიხედე უკან, გამოვლილ გზებს ერთხელ კიდევ გადავწვდი, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი ვიპოვე. ვიგრძენი, რომ საუკუნეს მეოთხედი ჩამოვაჭერი უკვე. დღეს კი რთული ცხოვრების ხორუმში ჩავები. აქ თუ ერთხელ ფეხი აგერია, წონასწორობა დაგერღვევა. ამიტომ კარგ მოცეკვავეს უნდა აუწყო ნაბიჯი.

ცხოვრებას მაინც თავისებური ელფერი დაჰკრავს. წინააღმდეგობების გარეშე წარმოუდგენელია იგი. განუმეორებელი სილამაზე აქვს, როცა იწვი, როცა წვალობ, როცა მის ცეცხლში იწრთობი და მის ქაფში ძირები. ასეთი ცხოვრება უფრო შინაარსიანია, რეალური, სულთანაა ახლოს, მიწიერია, ნაღდია, პრაქტიკულადაც ბევრს ასწავლის ადამიანს...

ფიქრები მზის მწველმა სხივებმა გამიფანტა. ზანტად წამოვდექი და სანაპიროს გავუყევი.

თითქოს არც ვფიქრობდი და კიდეც ვფიქრობდი. უფრო სწორად მოჯუტული თვალებით ვიხედებოდი შორს, ძალიან შორს — მოგონებებში, საიდანაც მანანას სახე ამოტივტივდა და აჩრდილივით მომყვებოდა თან. ყოველ შემხვედრს ვადარებდი მას, მაგრამ ვერავისში აღმოვაჩინე მისი ჟუჟუნა თვალები, ჩალისფერი, მხრებზე დაშვებული თმები, რომელიც ახლა სიოსავით დაირხა წარმოდგენაში და ბინდში გახვია ყველაფერი. უნებურად მოვუკიდე სიგარეტს. კვამლში გაეხვია ფიქრის სანგარი, ვგრძნობდი, ნაბიჯიც ამერია. თითქოს ჩემი ცისფერთვალება იდგა ჩემს წინ და სავალს მიკეტავდა, ბრძოლაში გამარჯვებულივით მიცქერდა.

მანანა ხომ ჩემი პირველი გაზაფხული იყო, ჩემი ოცნების თავშესაფარი, რომელმაც იმედით ნაშენი სასახლე წინდისძველასავით დამირღვია. არავის ვდებ ბრალს, რადგან პირადი ინტერესი დროებით ვადავდევი, ხოლო გადადებულ საქმეს მუდამ მოსდევს ხოლმე აუნაზღაურებელი დანაკარგი. საოცარია კაცის ბუნება; ყველა ხმაურზე მიიხედავს უკან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმილი კი არავის ესმის, არავის ძალუძს წაკითხვა მისი. მეც სუსტი აღმოვჩნდი ამ მხრივ.

საკუთარი თავი ძალდატანებით მოვწყვიტე გულისგამომხრელ ფიქრებს. აფორიაქებული სული ქარივით ჩადგა და ფოთლებივით მიმოფანტული ფიქრები სიმშვიდის ჩეროზე დალაგდნენ. მივხვდი, რომ წარსულზე ფიქრი სულის ორმაგად გატანჯვა იყო.

მანანა დედა იქნება მალე. ბეჭედდასმულია ჩემთვის უკვე ყველაფერი.

ბოლო დროს სავსებით გამოვიცვალე. ვგრძნობ საკუთარ სიტყვაძუნწობას. სხვათაშორის დაუნდობელიც გავხდი, მაგრამ სამართლიანი.. თურმე ერთი წამია ქვეყანაზე ყველაფერი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წარმართოს. სწორად გაუზომავმა ერთმა წუთმა დამიტოვა ტკივილი სულისა...

ფიქრებში გართულს გამიკვირდა, ჩემს ჭუჩაზე რომ აღმოვჩნდი.. სახლს შევხედე. გუმანით მივხვდი, შინ არ იყვნენ. კიბეზე დაგებული ნახის კიდე წამოვწიე და გასაღები ავიღე. კარები გამოვაღე. საწოლზე მივესვენე. თავჭვეშ ხელები ამოვიწყვე და თვალები მოვხუჭე. რამდენიმე ხანს ვიყავი ასე გარინდებული, სული მეხუთებოდა სიცხისაგან, საწოლთან ახლო ფანჯარა გამოვაღე. სასიამოვნო სიგრილე შემოიჭრა ოთახში. დიდხანს მივჩერებოდი სარკმლიდან ზეცას მხატვრის თვალით. ვგრძნობდი მის უსასრულობას, სიწმინდეს, მრისხანებას, გულჩახვეულობას და ყოველივე იმ თვისებას, რაც ადამიანშია.

ფიქრი ტელეფონის ზარმა გამიწყვიტა. მძიმე ნაბიჯით გავედი მეორე ოთახში და ყურმილს დავწვდი:

— გამარჯობათ, — ბესალმება ქალიშვილი.

სალამს სალამითვე ვპასუხობ და ვდუმდები.

— ვერ მიცანით? მე ლალი ვარ, — ამბობს გოგონა და მის ხმაში წყენა გამოკრთის.

— ლალი? აბ, ხო! — ვიხსენებ მას და...

ისევ პაუზა. ლალი ჩემი ახალი ნაცნობია, რამდენიმე დღის წინათ დამირეკა და თავი გამაცნო. ჩემის აზრით ამაში უცნაური არაფერია.

ლალის პირადად არ ვიცნობ. დღეს მეორედ დარეკა უკვე. რამდენიმე წუთს ვისაუბრეთ. მეორედ საუბრისას გავიგე, რომ სწავლობს თბილისში, კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტია, ცხოვრობს აქ, ჩემს ქალაქში, ჰყავს დედ-მამა და ორი ძმა. რაღაც შემთხვევის გამო ცოტა ხნით ჩამოვიდა.

გავიდა რამდენიმე დღე. ჩვენ უკვე მესამედ ველაპარაკეთ ერთმა-

ნეთს. თანდათან ღრმავდება ჩვენი საუბარი. მით უფრო მაეჭვებს საკუთარი თავი; წლობით ნაცნობთან ვერ მიპოვნია საერთო ენა, აქ ვიღაცას გავუგე და გამიგო. ლალის გაცნობას არ ვჩქარობ, თუმცა ინტერესი ძალიან დიდია. ჰმ! არ ვჩქარობ მეთქი და სწორედ ამიტომაა ზოგჯერ რომ ვაგვიანებ. მასთან საუბრის შემდეგ დიდხანს ვფიქრობ, ვინ უნდა იყოს ლალი. ვის არ შევადარე მისი ხმა, მაგრამ ეჭვი ეჭვად დარჩა, ფაქტები კი ძნელმისაწვდომი იყო ჩემთვის.

დღეს დღე ცვლიდა. ვერა და ვერ გავფანტე ჩემს წინ ჩამოწოლილი ბურუსი, რომელშიც ახლა მანანა კი არა, ლალი გახვეულიყო. ტელეფონის ზარი ელვასავით მივლიდა ტანში, რადგან ლალის ხმას ველოდი. ამაოდ, იგი აღარ რეკავდა. ვგრძნობდი შინაგან მღელვარებას, რაც გამოწვეული იყო მისი გაჩუმებით, თანდათან სურვილად გადამექცა მისი ხმის მოსმენა, თანაც მაფიქრებს, რა მომივა თუ შესრულდება ჩემი სურვილი, ან თუ არ შესრულდება? წინასწარ, რა თქმა უნდა, ძნელია განსაზღვრა.

სამსახურიდან დღეს ადრე მოვედი, სახელოსნოში შევედი. გულდასმით ვმუშაობდი. რაც უფრო ხორცს ვასხამდი ფიგურებს, მით უფრო მიტაცებდა ხატვა. მომწონდა საკუთარი ფანტაზიით შექმნილი.

კარებზე კაკუნი მომესმა, თუ მომეჩვენა! მერე მამაჩემის ხმასაც მოვკარი ყური. სახელოსნოდან გავედი და გავძახე:

— რა იყო მამა?

— მოდი, გირეკავენ, — თქვა და გაუჩინარდა. როგორც იქნა ჩემს მოლოდინს დაადგა საშველი, ნამდვილად ლალი იქნება, გავიფიქრე მე, მაგრამ ჯერ კიდევ ეჭვი მეპარებოდა, სანამ ყურმილს ავიღებდი. სწრაფად შევირბინე ოთახში და გადადებულ ყურმილს დავწვდი.

— დიახ, — ჩავძახე მოკრძალებით.

— ზური ხარ? — მეკითხება ლალი. მაშინვე შევიცანი ხმაზე.

— მე ვარ, თქვენ ვინ უნდა იყოთ? — ვერ ვიცანი თითქოს.

— მე ლალი ვარ, უკვე დაგავიწყდით? — ამბობს იგი.

— აბ, ხო, ლალი ხართ? გამარჯობათ, როგორ ხართ.

— გმადლობთ, თქვენ როგორ, კარგად? — მეკითხება და პასუხის ნაცვლად სამდურავს ვეუბნები.

— სად დამეკარგე აქამდე. — მან რაღაც მოიმიზეზა, ტყუილი თუ მართალი, მეც ვიწამე. ათასი რაღაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ რატომღაც თავს ვიკავებდი, უფრო სწორად, არ მეხერხებოდა ქალიშვილებთან ენად გაკრეფა. ლალი რომ ახლა ჩემთან ახლოს იყოს, უარესად დავიბნევი. თვალებში ვერ ჩავხედავ, ან და წამიერი იქნება ის მზერა და მაშინვე გამცემს. ახლაც ვდგევარ ყურმილით ხელში და სიტყვა ვერ მიპოვნია, საკუთარი თავის მიკვირს. როცა არ რეკავს თითქოს განვიცდი, დარეკა და

განცდა მიორკეცდება. ლალი გრძნობს ჩემს სიტყვაძუნწობას და მეკითხება:

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ, ან იქნებ უხერხულია თქვენთვის ლაპარაკი, იქნებ ვინმეა აბლოს. — მე ვარწმუნებ, ამგვარი არაფერია და პირიქით, სასიამოვნოა კიდეც რომ დარეკა. მაშინ ამბობს:

— რას აკეთებდი აბლა?

— ვხატავდი, ისე კარგი ამინდია და... — სიტყვა აღარ დამიბოლოებია განგებ.

— ჰო, კარგი ამინდია, — დამიმოწმა, თან დაუმატა, — იცით, მე ძალიან მომწონს ხელოვნება. თუ დროს არ წაგართმევთ, მითხარით რამე მხატვრობაზე, თუნდაც რომელიმე ხელოვნებაზე, თუნდაც შენზე მომიყევი რამე. — ბოლო სიტყვას ყურადღება არ მივაქციე, რადგან ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი.

— ხელოვნებაზე გესაუბრო? — გავიმეორე მე.

— ჰო, თუ შეიძლება, — ამბობს მორიდებულად.

— იცით რა, — ვიწყებ მე, — თუ არ ვცდები, ბრძენი ევრიპიდე ხელოვნების შესახებ ამბობდა: „ვერ მივატოვებ თქვენს საკურთხეველს, ჰო მუზებო... არ არს ცხოვრება ჭეშმარიტი უხელოვნებოდ“.

— კარგი ნათქვამია, — ამბობს ლალი, — თქვენ პოეზიაც გყვარებიათ, — შეუბნება.

— არა, სიმართლე გითხარით, პოეზიასთან ვერ ვარ კარგად.

— რატომ, პოეზიაც ხომ ხელოვნებაა, ისიც ხომ თქვენს ხელოვნებასთან ახლოა. ყველა მხატვარი პოეტია სულით.

ცოტა ხანს ვდუმდით ორივენი.

— რატომ გაჩუმდით? — მეკითხება ლალი.

— რა გითხრა, ჯობია ისევ შენზე ვილაპარაკოთ.

— ჩემზე რა უნდა ვთქვათ? — გაიკვირვა.

— რაა? რა და თუნდაც ის, რომ სად ცხოვრობ, რომელ ქუჩაზე.

— აკი გითხარი, კომახიძეზე მეთქი, აღარ გახსოვს? — იწყინა ჩემი გულმავიწყობა.

— ჰო, კარგი. აბა ეს მითხარი, როდის გავიცნობთ ერმთანეთს?

— როდის? — იმეორებს შეკითხვას და მოგვიანებით მპასუხობს — რატომ ჩქარობ, გავიცნობთ, სულ მალე გავიცნობთ.

თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა დამეძალებინა, ანდა რას გავხდებოდი მაინც, მაგრამ ვგრძნობდი, ყოველი საუბრის შემდეგ ლალის პირადად ნახვის ინტერესი იზრდებოდა. შემპირდა, უახლოეს ხანში დავრეკავ და ყურმილი დადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა დღე იყო. ადრე, გამეღვიძა რატომღაც. თვალს ვერ ვახელდი, მაგრამ ძილი უკვე შორს იყო ჩემგან. დიდხანს ვიწრიალე. მერე ავდექი, აბაზანაში გავედი, ცივმა წყალმა ცოტათი შუბლი გამიგრილა, თვალები ამახელინა.

ფარდა გადავწიე და ფანჯარა გამოვაღე. წვრილად ცრიდა. ქუჩაში პატარ-პატარა გუბეები იდგა. ვიღაც ქოლგიანმა ჩაიარა...

რატომღაც სურვილი დამებადა, სახელოსნოში გავსულიყავი და მეხატა.

აქ ჯერ კიდევ ბნელოდა. ნათურა ავანთე და მოლბერტს შევხედე. წეღანდელი სურვილი ხატვისა დაკარგულიყო ჩემში და ახლა მხოლოდ შეგრძნების აძარა ვიდექი თავისუფალ ტილოსთან მშრალი ფუნჯით.

კარის ჭრიალზე მარცხნივ მივიხედე, მეგონა გამომყვა ვინმე, მაგრამ ქარმა მომატყუა, ღრიჭოში შემოსისინდა და მთელს ტანში დამიარა. კარი გავიხურე და გავედი. თითქოს მესმოდა საყვედური მიხურულ კარს იქიდან, ხატად ქცეული ადამიანებისა, რა გინდოდა, ძილი რად დაგვიფრთხეო. მათი ჩურჩული ოთახის კარებამდე მომყვა. დავამშვიდე ისინი, კვლავ დაიძინეთ და დიდხანს აღარ გაგაღვიძებთ მეთქი. მართლაც სადილობის მერე გავედი სამუშაოდ. ვიდრე მივიდოდი ჩემს ძმასა და მის მეგობარს სახელოსნოში ყველაფერი აერიათ. საღებავები, რომლებიც მოწონებოდათ, აეღოთ. ერთი სიტყვით, არაფერი დამხვდა თავის ადგილზე ნორმალურად.

იქვე ახლო ჩამოვჯექი და დაწყებულ ნამუშევარს მოჭუტული თვალებით შევხედე. სიგარეტის ნამწვი მოვისროლე და ახალს მოვუკიდე. კვამლში გაეხვია ნახატი. დილიდანვე უხასიათობა გამომყვა და ეხლაც ხელი არ მემორჩილებოდა ფუნჯის ასაღებად, მაგრამ გრძნობებს მაინც ვძლიე. ვცდილობდი, გაბედული მონასმი გამეკეთებინა, დიდი ფორმებიდან ვამოვსულიყავი, რასაც ადვილად ვახერხებდი უკვე და საკუთარ მანერას ვიძენდი. თეორია ზეპირად ვიცოდი და ახლა მთავარი იყო ჩემთვის მისი პრაქტიკული გამოყენება. მხატვრის ერთ-ერთი ღირსებაც ხომ ესაა — პრაქტიკა და თეორია დაუკავშიროს ერთმანეთს.

ვფიქრობ, ჩემს ნამუშევრებში უფრო იგრძნობა სითამამე, ვიდრე ჩემს არსებაში.

ზოგჯერ არა ვარ კმაყოფილი საკუთარი თავისა, მინდა უფრო მეტი მოვთხოვო. ხელოვნება პრაქტიკის გარეშე არარაობაა. მით უმეტეს, ჰეშმარიტ ხელოვანს ყოველთვის აწუხებს უკმარისობის გრძნობა.

ფიქრმა ისე გამიტაცა, ვეღარ ვიგრძენი, საზეთეში ზეთი რომ ამოილია. მხოლოდ მაშინ მივხვდი, ფუნჯმა ზოლები რომ დატოვა ტილოზე.

ზეთი ჩავუმატე და მუშაობასთან ერთად განვაგრძე ფიქრიც.

საოცარია ცხოვრება. არასოდეს არაა ადამიანი გულდამშვიდებული. ხელოვნება, თუნდაც ყოველგვარი, თავისებურად გადმოსცემს პერსონაჟთა შინაგან სამყაროს. მიმიკური კუნთების მეშვეობით კი მხოლოდ მხატვრობას შეუძლია გვაგრძნობინოს ადამიანის სულიერი სამყარო. ჩემს ნამუშევარში თანდათან ცოცხლდებოდნენ ფიგურები. ხან განზე იხედებოდნენ, ხან თვალებში მიმზერდნენ, ზოგნი კმაყოფილებით, ზოგნი უკმაყოფილონი, რადგან მათთვისაც არ გავიმეტე სილამაზის წყარო. ვუმზერდი ფიგურებს და საკუთარი თავი ერთ წამს წარმოვიდგინე რეჟისორად, რომელმაც შესაფერი მსახიობები ამოარჩია სხვადასხვა როლისათვის, მაგრამ ჩვენს შორის მაინც იყო არსებითი განსხვავება. მსახიობები შეიძლება ნებაყოფლობით ასრულებდნენ როლებს, მაგრამ მე ხომ უკითხავად მივეცი მათ როლი, რომელსაც იქნებ ჩემი სურვილისამებრ ვერ განახორციელებენ. ამიტომ საჭიროა მათთან დიდხანს ყოფნა, რათა გაწვრთვნა ისინი.

ფიქრებში ჩაძირულმა ვერც კი გავიგე, როგორ გაიცრიცა დღე თვალსა და ხელს შუა. ბინდი ჩამოწვა სარკმელში. ნათურა ავანთე. სინათლის შუქზე ნახატი ალაპლაპდა, გაბრწყინდა (როგორც ზეთს ჩვევია) და გაურკვეველი გახდა. მეც მოთენთილობა ვიგრძენი. თვალებზე სიმძიმე მაწვა, ხელებიც დამელალა, ფეხზე დგომით მუხლებიც ამტკივდა. ხატვის გაგრძელება ნამუშევარს ზიანს მოუტანდა და თავი მივანებე.

როცა მამაკაცის პირობაზე სახელოსნო მივალაგე, სინათლე ჩავაქრე და გავედი. დაღლილი სული საღამოს მიწყნარებულ პეიზაჟს ელტვოდა და ფიქრს ქუჩაში გავყევი.

ბინდში გახვეული ქალაქი ოცნებას მისცემოდა. წვიმას გადაელო. ქუჩები ეამშრალიყო, ახლოლდ ნაგუბარებიღა დარჩენილიყო. მოპირდაპირე ქუჩის ტროტუარზე თავი დაეხარათ კვიპაროსებს. ნელი სიო ჩვილის აკვანივით არწევდა ტოტებს.

გარემოს მშვენიერებას მრავლისმეტყველი თვალები მოვავლე. მინდოდა მომავალი დამენახა მისი. ვფიქრობ, რაც უფრო მეტს ხედავს ადამიანის თვალი, მით უფრო აღიქვამს გონება სამყაროს იდუმალებას, მის სილამაზეს, მაგრამ ყოველივე ამის აღსაქმელად აუცილებელია გრძნობა...

მოწყვეტილი ნაბიჯებით დავუყევი ქუჩას. ცა თანდათან შავ მოსასხამში მალავდა ქათქათა წმინდა სხეულს, ქუჩებში ინთებოდა ლამპიონები. ფერმკრთალი მთვარეც გამოჩნდა ცაზე ჩამოჭრილი მხრით. ქუჩას გავხედე. საპირისპიროდ ნელი ნაბიჯით შველივით მოირწეოდა ვიღაც ქალიშვილი. ვერ დაგიმალავთ და ნამდვილად მიიქცია ჩემი ყურადღება. როცა მივუახლოვდი, ჩვენი თვალები ერთმანეთს წააწყდა.

ეს ყოველივე წამიერად მოხდა. ქალიშვილმა გვერდით ჩამიარა და გზა განაგრძო, მე კი ათასი საფიქრალი დამიტოვა. ხშირად მემართება ხოლმე ასე. შემდეგ ვნანობ, რატომ არაფერი ვუთხარი, ისიც ხომ ინტერე-

სიანი თვალებით მიმზერდა, რაღაცას მეკითხებოდნენ თვალები უთუოდ-იქნებ სურდა კიდეც რაიმე ეთქვა. მაგრამ... და ხდებოდა უბრალო რამ ჩემი ფიქრის დიდი სათავე.

მთელი საღამო ჩემს განკარგულებაში იყო და შემეძლო სურვილისამებრ გამეტარებინა დრო. გადავწყვიტე ახალი ფილმი მენახა. კინო „თბილისში“ ხალხი ირეოდა. ბილეთის აღების იმედი შორიდანვე გამიცრუვდა, მაგრამ მაინც ვიკითხე „ბოლო“. ხვალიდან პირველი ვიქნებით, თქვა ვიღაცამ, რომელიც ჩემს შემდეგ მოვიდა. არც იგი ჩამდგარა რიგში. ტყუილად დგომას აზრი აღარ ჰქონდა და გამობრუნება დავაპირე. უცებ ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო, მოვიხედე.

— ბილეთი არ გინდა ძმობილო, — მეკითხება ერთი მაღალი კაცი, რომელსაც მხრებამდე ძლივს ვწვდები.

— ავიღებ, — ვთქვი მე და საფასური გავუწოდე. არც კი დაუთვლია, ისე გაშორდა იქაურობას. თვალი გავაყოლე. მან საათს დახედა, მერე სიგარეტს მოუკიდა და გრძელი ნაბიჯებით განაგრძო გზა. ვიაზრე—ელოდა ვიღაცას და არ მოვიდა.

სეანსი დაიწყო. ჩემს გვერდით ის ახალგაზრდა იჯდა, რომელიც დაგვიანებით მოვიდა. ვიფიქრე ამასაც გაუღიმა ალბათ ბედმა მეთქი, თვითონაც მიცნო. გაეღიმა.

— სად იშოვე ბილეთი, — მეკითხება.

— ერთმა ახმახმა მომცა, ვფიქრობ, „პაემანი“ გაუცრუვდა, — ვუთხარი მე.

— მართლა? მეც იმისგან ავიღე, ქერა, მაღალი არა?

— ჰო, სწორედ, — ვუდასტურებ მე.

— აბა, ბედი გვქონია ჩვენ ძმაო. იმ გოგოს კი ეკუთვნის ჩვენგან საჩუქარი არა? — გაიხუმრა მან.

— ნამდვილად, — **ვუმღწმებ კვლავ.**

სანამ ჟურნალი გადიოდა, ჩვენ უკვე ერთმანეთი გავიცანით. დიდხანს ვიხუმრეთ შემთხვევით ბედზე და გაწბილებულ კავალერზე. მერე ფილმი დაიწყო და გავყუჩდით.

დარბაზიდან ერთად გამოვედით მე და ჩემი ახალი ნაცნობი. კაი მანძილი ერთად მივდიოდით. გორკზე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

— ნახვამდის, — მეუბნება და ხელს მიწვდის.

— კარგად, — ვართმევ ხელს და მეღიმება.

— მგონი ვიცნობთ ერთმანეთს, — თქვა და შემომხედა.

— უთუოდ, — ვამბობ და ვცილდებით.

თერთმეტის ნახევარზე ფრთხილად შევიპარე სახლში. მშობლებს უკვე ეძინათ. ჩემს ძმას ტელევიზორი ჩაერთო და დივანზე წამოწოლილს ჩასძინებოდა. „ვრემია“ მთავრდებოდა. ამინდს გადმოსცემდა ნაცნობი დიქტორი. ნელი ნაბიჯით მივედი ძმასთან და შევანჯღრიე, მაგრამ შენც

არ მომიკვდე. მერე, როგორც იქნა, გონს მოეგო. თვალები მოიფშვნიტა და უსიტყვოდ გავიდა დასაძინებლად, მეც მივყევი.

მაგიდაზე დეპეშა დამხვდა. სასწრაფოდ გადავიკითხე. სასიამოვნო ცნობა იყო. თბილისიდან მეგობარი მიგზავნიდა. აკადემიის დამთავრების ხუთი წლისთავს ვიხდით და გვეწვიეთო. დეპეშა წიგნში ჩავდევი და დავწექი. დაღლილს მალე ჩამეძინა.

მზე კარგა მაღლა აცურებულიყო, როცა თვალები გავახილე. ღიად დატოვებულ საკმელში გაზაფხულის სურნელი შემოიჭრა. ქალაქს რახა-ხია ელვიძა.

ხანტად წამოვდექი და ყოველგვარი თადარიგის შემდეგ სამსახურში გავეშურე. ადრე მოვსულვარ, სამასწავლებლო დაკეტილი დაბჭდა, ასევე ყველა კაბინეტი. სტუდენტები დერეფანში იდგნენ და მასლა-ითობდნენ.

სიგარეტის ნამწვის გადასაგდებად დერეფნის ბოლოში გავედი. გა-ბოტეხილ მინიდან მოვისროლე და ახალს მოვუკიდე. მალე დამლაგებელიც მოვიდა და კარები გააღო.

სამასწავლებლოში პირველი შევედი. სხვები თანდათან მოდიოდნენ. ცხრისნახევრისათვის ყველანი ადგილზე ვიყავით.

— დღეს კრებაა, — სიტყვას თან აყვა მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, თმაშემოლეწილი კაცი, რომელსაც სახე ჯვარცმულ ქრისტეს მიუგავდა. ბუნებით კეთილია, თავისი საქმის მცოდნე და ერთგული, ყველასათვის ერთნაირი, არ იცის განსხვავება კარგისა და ცუდის.

იგი განაგრძობდა:

— კურსის ხელმძღვანელებმა გამოუცხადეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ. სიას ამოვიკითხავთ. არავინ აკლდეს. საოლქო კომიტეტიდან გვესწრებიანო, — დაასრულა და დაჯდა.

— როგორ თუ დააკლდეს! — ხმას აუწია ასევე მაღალძა, თითისტარივით წელში გამოყვანილმა, ვარდისფერტუჩებიანმა ქალმა, რომელიც მთელს სასწავლებელში დიდი გავლენით სარგებლობდა.

ერთი-ორი სიტყვა დირექტორმაც შეაწია მათ და გაჩუმდა.

გაკვეთილების შემდეგ ფიზკულტურის დარბაზი სკამებით გაიჭედა. კედლებს ამშვენებდა სტუდენტთა ნამუშევრები. კუთხეში იდგა კლავიშებდამძვრალი პიანინო.

დარბაზი თანდათან გაივსო სტუდენტებით. პედაგოგებიც მოვიდნენ და ადგილები დაიკავეს მაგიდასთან.

კომკავშირის მდივანმა, ახლადარჩეულმა პირველკურსელძა გოგოხამ, კრება გახსნილად გამოაცხადა. კრებისათვის საჭირო პირებიც აირჩიეს და დღის წესრიგი გაგვაცნეს. მერე კურსბიუროს მდივნებს მისცვს სიტყვა.

გულახდილად თითქმის არავინ გამოსულა. მით უმეტეს, კრების ძსჯელობის საგანი იყო ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თქვენ მკითხავთ,

შენ რატომ არ იღებდი ხმასო, რომც მეთქვა, ჩემი ხმა მაინც შორს არ წავიდოდა. იქვე დაამტვრევდნენ ასაფრენად შემართულ ფრთებს. ძახსოვს მათგან სიკეთე და ამიტომ ვდუმდი. ამასწინათ მშობელთა გაერთიანებული კრება მოიწვიეს. ჩემი კურსი მიწასთან გაასწორა სასწავლო ხაწილმა და იმ ქალმა, რომელზეც ადრე მოგახსენეთ (თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ: ვარდისფერ ტუჩებიანმა). მე გამოვექომაგე ბავშვებს, ვთქვი, რომ ჩემი კურსით მე კმაყოფილი ვარ. ამ სიტყვებზე უფრო აენთნენ. თითქოს მოსწავლე ვყოფილიყავი, ისე შემომიყვირეს და გამლანძღეს. „საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო“, და მეც გავჩუმდი...

ყველა თავის ტყავს უფრთხილდებოდა.

ასე თუ ისე, ვალი მოიხადეს და კრება დახურულად გამოაცხადეს.

●

მოსალამოვდა. ქუჩებში სიმშვიდე სუფევდა. პალმები მოკრძალებით უხრიდნენ თავს სიოს.

მგზავრები კანტიკუნტად მიდიოდნენ რკინიგზის სადგურისაკენ. ჩემს წინ ვიღაც მძიმე ჩემოდნებს მიათრევდა. გაივლიდა, ჩემოდნებს დადგამდა და შეისვენებდა. მერე ისევ გაივლიდა და ისევ შეისვენებდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი შუბლი შეიმშრალა. კვლავ დასწვდა ჩემოდნებს და გზა განაგრძო. მსურდა მივშველებოდი, გული მეწეოდა, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებოდა.

სალაროსთან რიგი არ იყო, ადვილად შევიძინე ბილეთი თბილისის მატარებელზე. ხვალ ამ დროს გზაში ვიქნები უთუოდ: „ლალი დარეკავდეს მაინც“, გავიფიქრე და გული დამწყდა, რადგან აგერ ორი კვირაა აღარ მსმენია მისი ხმა. მაინც ვინ უნდა იყოს ლალი, რატომ მალავს საკუთარ თავს?

ათასი ამდაგვარი ფიქრი გამიელვებდა თავში ლალის გახსენებისას. მსურდა გამეგო ჩემი უცნობი ქალიშვილი მართლა ლალი იყო თუ ლალის სახელით შენიღბული ვიღაც სხვა, რომელსაც შესაძლოა ძალიან ახლოს ვიცნობდე. ხმა? ხმაში შეიძლება მოტყუვდეს კაცი, მით უმეტეს, როცა ტელეფონით ისმენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლალი ხომ მანანას ბიძაშვილია, იმ მანანას, ვისზეც დიდ იმედებს ვამყარებდი. ერთხელ საუბრისას ლალის წამოცდა მანანას პირი ვარო. ჰოდა მეც ამიტომ გამიდიდდა ინტერესი მისი პირადად ნახვისა. იგი არ ჩქარობდა. დრო დადგებაო, მამშვიდებდა და მაიმედებდა, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს.

დავუშვათ, ლალი არ აღმოჩნდა ის პიროვნება, რომლის სახელითაც მომევლინა, ვისზეც ვეჭვობ, ან საერთოდ ისეთი ვინმე იყოს, ვისზედაც წარმოდგენა არა მაქვს, მაშინ?

— მაშინ არ ვიცი რა მოხდება, — ვუთხარი ჩემ თავს და ეზოს ჭიშკარი შევალე. ფიქრებს სახლში მივეყვანე უკვე. კარი მამამ გამიღო.

— აიღე ბილეთი? — მეორე ოთახიდან გამომძახა დედამ.

— ავიღე, — ვთქვი მე და დივანზე მოვკალათდი. ტელევიზორში „მოამბე“ გადიოდა.

— ვიღაცამ დარეკა შენთან, — მეუბნება მამა და იჭვნეულად მიმზერს.

— ხომ არ უთქვამს ვინ იყო? — ვკითხე მე.

— არა, მოგვიანებით დავრეკავო, შემოგითვალა, — გამკენწლა მამამ, მაგრამ არ შევიმჩნიე.

მოთმინებით ველოდი ზარს, ვგრძნობდი, ლალი უნდა ყოფილიყო. სხვა ყოველთვის ამბობდა საბელს. როგორც იქნა ბოლო მოეღო ლოდინს, გაისმა ტელეფონის ხმაც.

— ზურის სთხოვეთ, — მოისმა ყურმილში ლალის ხმა.

— დიახ, მე ვარ, — ვთქვი და დავდუმდი.

— აბ, თქვენა ხართ? გამარჯობათ, ხომ კარგად?

— კი, კარგად, თქვენ როგორ? — თითქოს ვამადლიდი სიტყვებს.

— მე კარგად, მაგრამ რატომღაც გუნებაზე არ ხართ, იქნებ ჯობდა არ დამერეკა, — იუხერხულა თითქოს.

— არა, პირიქით ლალი. იცით, ხვალ თბილისში მივდივარ და... — სიტყვა აღარ დამისრულებია.

— თბილისში? რატომ — მეკითხება. მეც ვუთხარი რატომ და რისთვის.

— იცით, მეც მივდივარ თბილისში.

— თქვენ რატომღა მიდიხართ? — დავინტერესდი.

— ხომ იცი ზური, სემესტრის ბოლოა და... — სიტყვა აღარ დაუბოლავებია, ისედაც გასაგები გახდა ყველაფერი.

— წახვალთ და გადაიკარგებით ალბათ, — ვუთხარი მე და ჩემს სიტყვაში ვიგრძენი, არ მსურდა ლალისთან განშორება, მით უმეტეს, რომ პირადად არ ვიცნობდი.

— არა, მე დიდხანს არ დავრჩები, თქვენ? — მეკითხება ლალი.

— ო, არა, დიდი ხნით არ გამიშვებენ სამსახურიდან. ალბათ ორ დღეში დავბრუნდები, — ვთქვი მე.

— ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ბოდიშს ვუხდი და წუთით მეორე ოთახში გავდივარ. მალე ვბრუნდები და გადადებულ ყურმილს ვწვდები.

— რა მოხდა ზური? — კითხულობს იგი.

— იცით ლალი, სადღაც მგზავნიან ოჯახიდან და თუ შეიძლება, ასე, ერთ საათში დარეკეთ, კარგი? — ვთხოვე მე.

— არა, დღეს უკვე აღარ დაგირეკავ ზური.

— მე დაგირეკავ მაშინ, ოღონდ ნომერი მითხარი...

— არა, მე დაგირეკავ ხვალისათვის, ახლა ნახვამდის — ყურმილი დადო. მე კი ერთხანს კიდევ მეჭირა ყურმილი ხელში, და გაბმული ზუილი მესმოდა.

მოთმინებით ველოდი მეორე დღეს. როგორც იქნა გათენდა, ლალი რატომღაც არ რეკავდა. მეგონა წასვლის წინ მაინც დარეკავდა, მაგრამ ლოდინმა ზღვარს გადააჭარბა.

უკვე დრო იყო სახლიდან გასვლისა. გზაში რომ მარტო არ მევრძნო თავი, უბრალო საკითხავი წიგნი წავიღე თან. სადგურში ხალხის ტევა არ იყო. მატარებელი მეორე ლიანდაგზე იდგა.

ჩემს კუპეში მოვკალათდი. რამდენიმე წუთში მატარებელი სადგურს გასცდა. უკან მოიტოვა ქალაქი და ამასთან ორად გაყოფილი სული ჩემი. ერთი ნაწილი გულისა ლალისაკენ მიიწევდა, მეორე კი ხუთი წლის უნახავ მეგობრებთან შესახვედრად იჩქაროდა.

მოსაცდელში გავედი. სიგარეტს მოვუკიდე და ღრმა ნაფაზი დავარტყი. მატარებელი მიჰქროდა. ჩემთვის თითქმის ყველა სადგური ნაცნობი იყო და ყურადღებას არ ვაქცევდი. ზღვა მალე თვალს მოეფარა. მერე მეჩხერ ტანწერწეტა ტყესაც ჩავუქროლეთ. უკან მოვიტოვეთ ყველაფერი. ყოველი ახალი სადგური სხვადასხვა მხატვრის ნამუშავრებს მაგონებდა, გამოფენაზე გამოტანილს, რომლებსაც თვალი შეეჩვია უკვე და ინტერესი ალარა აქვს ერთი და იგივე მნახველისათვის. როცა ღრმად ჩაწვდები რაიმეს, ან თუნდაც ვინმეს, გაიგებ მის აზრს, მაშინ მის ნაკლოვან მხარესაც დაინახავ. სიგარეტის ნაბოლვი სარკმელში მოვისროლე და ფიქრი განვაგრძე. მაგრამ ჩემივე აზრის საწინააღმდეგოდ. ჩემი ორეულის ირონიულმა მიმიკამ გული მატკინა, მაგრამ ჩემს სიმართლეში დამარწმუნა.

მოსაცდელში ვიღაც ქალ-ვაჟი გამოვიდა. იუხერხულეს ჩემი იქ ყოფნა და მეც კუპეში შევედი. საწოლზე ჩამოვჯექი და წიგნი გადავშალე. რატომღაც კითხვის ხასიათზე არ ვიყავი, მაგრამ უცნობი თანამგზავრის თვალწინ რამდენიმე გვერდი უაზროდ გადავიკითხე.

ჩემმა თანამგზავრმა ლოგინი დაიგო და ჩაწვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ასევე მოვიქეცი მეც. ფიქრი ხომ ჩემი თანდაყოლილი მანკია და ყოველგვარ მდგომარეობაში თან დამდევს განუყრელად. იგი ჩემი სულის მთავარი ნაწილია. ვიწრო საწოლზე გულალმა ვიწექი და მეგონა, მატარებლის ჭერი საცაა თავზე დამემხობა მეთქი. გვერდი ვიბრუნე. მოპირდაპირე სარკმლისაკენ ვქენი პირი. გაურკვეველი აზრები მივლიდა ტვინში და ხასიათს მიფუჭებდა. ხშირად უგუნებო და გულჩათხრობილი ვარ. არ ვიცი როგორ ვაგრძნობინო იმ ადამიანებს, რომლებსაც აინტერესებთ, რომ მე ძალიან კარგი ხასიათი მაქვს და მშვენივრად შემიძლია ადამიანს გავუგო.

თვალი რომ გავახილე, უკვე ქალაქში ვიყავი. ცენტრალურ ქუჩაზე გავედი. სიცივე იგრძნობოდა. ჯერ კიდევ თვლემდა ქუჩები... მშიოდა. სა-

ჩაიეში შევიარე. დანაყრებულმა კვლავ დავუყევი ქუჩას ჩემი გზის ბოლო წერტილამდე. ჩემდაუნებურად განვიცდიდი შეხვედრას ხუთი წლის უნახავ მეგობრებთან. თვალი მოვავლე მათთან გატარებულ წლებს, ზოგმა მოგონებამ ღიმილი მომგვარა, ზოგმა სევდა...

და დაესვა წერტილი ჩემს სავალ გზასაც. უცხო თვალისათვის ემოციური იყო ჩვენი შეხვედრა. დიდი პატივი დამდეს აჭარიდან ჩასულს. ერთმანეთი მოვიკითხეთ. გავიგეთ ვინ რა გზას ვადექით ცხოვრებაში. ზოგი ცოლით იყო, ზოგს ბავშვებიც ახლდა. მეგობრებმა მეუღლეები გაგვაცნეს. მათი სახით ახალი ნაცნობი გაგვიჩნდა.

მაგიდას გოგონები აწყობდნენ. ჩვენც ვეხმარებოდით, ბოლოს ყველანი სუფრას მივუსხედით. პროფესორ-მასწავლებლებს საპატიო ადგილი მივაკუთვნეთ წესისამებრ. მეგობრული სუფრა ეშხში შევიდა. ბევრი ტკბილი სიტყვა ითქვა, მოლოცვა და დალოცვა.

გვიანობამდე გასტანა ჩვენმა მოლხენამ. მე ბილეთი მქონდა ასაღები და სადგურში მეჩქარებოდა. ყველას დავემშვიდობე. კარებში გამოსულს მეგობარი წამომეწია. წამო, სადგურამდე მანქანით მიგიყვანო, შემომთავაზა. ჩავსხედით და ათ წუთში სადგურში ვიყავით უკვე. კიდევ ერთხელ გადავკოცნეთ ერთმანეთი და დავემშვიდობეთ.

ყველაფერი ზომიერად ჩატარდა. ისევ სადგური, ისევ ბილეთი, ისევ გზაში გათეული ღამე და მშობლიური ქალაქის მშვიდი, ახლობელი და სასიამოვნო დილა.

სადგურიდან პირდაპირ სამსახურში წავედი. მეორე გაკვეთილი დაწყებულიყო. ჩემი კურსის კარები ღია იყო. დირექტორი შესულიყო და მოსწავლეების ნამუშევრებს ათვალიერებდა. ბავშვებს გაუხარდათ ჩემი მისვლა. დირექტორი მალე გავიდა ოთახიდან...

— ავად არისო, თქვენზე თქვეს მასწ! — მეუბნება ერთ-ერთი მოსწავლე, რომელსაც ვამშვიდებ: მე ავად არასოდეს არ ვხდები მეთქი, თან ავუხსენი, რომ თბილისში ვიყავი და ამ დილით ჩამოვედი. შემდეგ ჟურნალი გადავშალე, ჯერ სიას გადავხედე, მერე ბავშვებს.

— ხომ გახსოვთ, ხვალ ხუთშაბათია, კომპოზიციის ესკიზებს მოიტანთ. დამრჩა და დამავიწყდა, არ გამაგონოთ. არც გეწყინოთ შემდეგ, — გავაფრთხილე ბავშვები. ვიცი, თავისი თავის მტერი არცერთი არაა.

გაკვეთილების შემდეგ სახლში წავედი, ნასადილევს ცოტა წავიძინე და სახელოსნოში გავედი სამუშაოდ. ოთახში საღებავების მძიმე სუნი იდგა, ფანჯარა გამოვაღე, „კოსმოსი“ გავაბოლე და თითქმის დამთავრებულ ნამუშევარს ახლა მუშტრის თვალით შევხედე. „კარგი მოსავალი უჩანს“, გავიფიქრე და პალიტრა მოვამზადე. დიდხანს ვმუშაობდი, ოთახში საღებავების სუნს სიგარეტის მწარე კვამლიც დაერთო და ჰაერი უარესად დამძიმდა. ჩემს ფეხთან და მოლბერტთან ეყარა სიგარეტის ნამწვები, ფერფლი, ფიქრი, გრძნობა დაფერფლილი...

დღეები წიგნის ფურცლებივით იკეცებოდნენ.

გავიდა რამდენიმე კვირა. არაფერი შეცვლილა ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ორი გზაა ჩემს გრაფიკში — სამსახური და სახელოსნო. დღესაც ვზივარ ჩემს სახელოსნოში და შევყურებ ხორცშესხმულ ფიგურებს. ისინი კი, პირიქით, მე მიმზერენ. ერთმანეთის იმედით ვცხოვრობთ მე და ისინი. მათ სჯერათ ჩემი, რომ არასოდეს დავამახინჯებ. მე მჯერა მათი, რომ სულით ლამაზს გახდიან ჩემს ცხოვრებას.

კარებზე კაკუნი გაისმა. ყური მივუგდე. კვლავ განმეორდა.

— რომელი ხარ? — გავძახე ისე, რომ მუშაობა არ შემიჩერებია.

— გია ვარ, გააღე კარი, — მომესმა ძმის ხმა.

— ერთი შენც, — ვთქვი და კარი გავუღე.

— რას ჩაგიკეტავს კარები, ვინ გიმტვრევს, — მისაყვედურა.

— რა გინდა, რამ შეგაწუხა, — დავუსვი კითხვა, პასუხი არ გაუცია, ჩემს ნამუშევარს მიაჩერდა.

— როგორია, — ვეკითხები.

— გამოფენისთვის გააკეთე?

— ჰო, როგორ ფიქრობ, წავა?

— წავა, — თქვა მან და ძელსკამზე ჩამოჯდა.

— შენ რას აკეთებ, სამუშაო არა გაქვს? — ვეკითხები.

— ვისვენებ, — ამბობს და საღებავების ყუთში იქექება. ეტყობა, ვერ იპოვა, ყუთი ფეხით შეაჩოჩა სკამს ქვეშ და მეკითხება:

— ზური, „ბელილა“ მინდა, ცოტა „ოხრაც“, არა გაქვს?

— მეორე ყუთშია. აი იქ დევს, აუთხეში, — ადგილი მივუთითე.

აიღო და უსიტყვოდ გავიდა, ისევ შემობრუნდა და მეუბნება:

— ჰო, ზურია, ვიღაცამ დაგირეკა და დედამ უთხრა შინ არააო.

— ჰო, კარგი, წადი გია, — ვთქვი და კარები კვლავ ჩავკეტე. ფანჯრის რაფაზე სიგარეტი ავიღე და მოვუკიდე, სევდა შემომაწვა, ბოლმა მახრჩობდა. ნუთუ უფლება არა მაქვს, ამ ოჯახში თავისუფლად და მოურიდებლად ვისაუბრო ტელეფონით მაინც? ნუთუ არავისთვის არაფერს წარმოვადგენ? რატომ არ დამიძახა?! რატომ?! ასე იცის დედაჩემმა, თუ ქალიშვილი დარეკავს, ატყუებს შინ არააო. ვიცი, ლალი იქნებოდა. როგორ ველოდი მის ზარს... ოხ, დედაჩემო!..

სიგარეტი ფილტრამდე დავიყვანე, ახალს მოვუკიდე, მუშაობის განწყობილება დაირღვა. სულ იმას ვოცნებობ, როდის მექნება საკუთარი ბინა, რომ თავისუფლად ამოვისუნთქო. ბინები არ მიყვარს. ეზოს და საკუთარ სახლს რა სჯობია. მით უმეტეს ტკბილია, ცხოვრება, თუ გამგები მეგობარი შეგვხვდება. ასე ცხოვრებაში ნამდვილად არ შემიძლია, არა. როდემდე უნდა ვიყო სხვაზე დამოკიდებულივით, როდემდე? საკუთარი ჭერი და ტკბილი სიტყვა ხომ დიდი ბედნიერებაა...

კვლავ კარებზე ბრახუნმა შემაწყვეტინა ფიქრი. ძმა მეძახდა ისევ. ფეხბურთი დაიწყოო. უხალისოდ მივჩერებოდი ეკრანს ფეხბურთის გულშემატკივარი. როცა ჩვენებმა ბურთი გაიტანეს, გავხალისდი, წამიერად ყველაფერმა გამიარა.

თამაში თბილისმა მოიგო. სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ფეხბურთის შემდეგ ყველა დაწვა. მე უგუნებობა არ მაძინებდა. კვლავ საბელოსნოში გავედი და ვცადე წამემუშავა გულის გადასაყოლებლად. გვიანამდე ვიჯექი ნახატებთან. ხან ვმუშაობდი, ხან ვფიქრობდი, ბოლოს ძილი მომერია, სახელოსნო ჩავკეტე და წავედი. მე და ჩემი ძმა ერთ ოთახში ვიძინებთ. ფრთხილად შევაღე ოთახის კარი, მეგონა უკვე შუა ძილში იქნებოდა, მაგრამ მასაც ელვიძა. სათვალე მოეხსნა და სკამზე დაედო. დაბალ ხმაზე ოხრავდა ტრანზისტორი. მაგიდაზე ხელოვნების ისტორიის რვეული იდო, ასომთავრულით გაფორმებული.

— რატომ არ გძინავს, — ვეკითხები და თან ტანსაცმელს ვიხდი.

— არ დამეძინა, — ამბობს იგი.

— ჩავაქრო? — სინათლეზე მივუთითე.

— ჩააქრე, სულერთია, — თქვა და მხარი იცვალა. მეც ჩავაქრე და დავწექი. ფიქრი არ მასვენებდა. ათასი გადაუჭრელი საკითხი ტრიალებდა გარშემო, ცხოვრება ბრძოლაა, მთავარსარდალი გვიხმობს ბრძოლაში, მე კი ვდუმვარ...

ძმას ჩაეძინა. დიდხანს მესმოდა მისი ხშირი სუნთქვა. არ მახსოვს თავად როდისღა ჩავიძინე.

გადიოდა დღეები უშინაარსოდ, ერთფეროვანი. ვერა და ვერ ავხადე ფარდა ჩამოწოლილ ბურუსს. ხანდახან მგონია, ცხოვრება მძულს, მაგრამ ცხოვრების შეძულება ხომ რწმენის დაკარგვამ იცის. მე კი ეს განძი არ დამიკარგავს.

გვიან ღამით გამოვიხურე სახელოსნოს კარები. ბოლო დროს წესად დამჩემდა გვიანობამდე მუშაობა. უფრო სწორად, განმარტოების სურვილი. ძმას ეძინა, მეც მალე ჩავიძინე.

დილით წვიმა მოსულიყო. ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი. მამთქნარებდა. ცივმა წყალმა შუბლი გამიხსნა, თვალები ამახელინა, უხალისოდ ვიხსენებდი საუზმე და ყოველდღიურ გზას გავუყევი.

გადიოდა დღეები, არ იცვლებოდა გრაფიკი ჩემი ცხოვრებისა. კვირას კვირა მოჰყვა, თვეს თვე, ლალი კი აღარსად ჩანდა.

ხანდახან თუ გაახსენდებოდა გონებას ჩემი უცნობი ქალიშვილი. ტელეფონის ზარს ველარ ვიტანდი. საგამოფენო ნამუშევარმა მალალი შეფასება დაიმსახურა. კარგი მოსავალიც ვიღე, კვლავ დავუბრუნდი სახელოსნოს. ჩემს წინ ფეხმოტეხილი მოლბერტი დგას. მასზე ჩეულებრივ გადაღებილი ტილოა მიმაგრებული. საღებავმიმხმარ ტაბურეტზე მშვენიერი პალიტრა დევს. მოლბერტიდან მიმზერს ოცნებაში დანახული ლალის პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტრეტი, რომელიც ტილოზე უნდა გადავიტანო. ვფიქრობ, შევძლებ, რადგან ის მანანას ჰგავს, მანანას სახეს კი რა დამავიწყებს...

მეორე დღისათვის უკვე თანდთან ხორცს ვასხამ ლალის. რაც დრო გადის, უფრო ცოცხლდება იგი ჩემს თვალწინ, რამდენიმე კვირის შემდეგ კი თვალებში მიცქერის.

ძვირფას ჩარჩოში მოვათავსე უცნობი ქალიშვილის პორტრეტი და ჩემს ოთახში ჩამოვკიდე. უცებ ყველაფერი დატრიალდა, ზარის ხმა მოესმა. სახლში არავინ იყო, შევვარდი და ყურმილს დავწვდი. ყველაფერი მესმოდა თითქოს, რაც ოდესმე მე და ლალის გვისაუბრია ტკბილად. ჩამოვჯექი, ჩემი სული მოგონებებს აჰყვა.

მოლბერტზე პატარა ფურცელი იყო. მსურდა განცდა ლექსად გამოეხატა. ფურცელი მუყაოზე დავამაგრე და ჯიბიდან ფანქარი ამოვიღე. პოეტი არა ვარ, მაგრამ გულის კარნახით სურათს ასეთი წარწერა გავუკეთე:

თუკი ზოგი რამ ქვეყანაზე ყალბი არ არი,
მაშ ეგ თვალები წამწამებქვეშ ღიმილს რად მალავს,
ო, მწამდი ისე, ვით მეცხვარეს მთაში კარავი,
მაგრამ სად წადი, გზებმა ასე საით გაგვყარა...

მსურდა გამეგრძელებინა, მაგრამ ხელები აღარ მემორჩილებოდა. ლექსი სურათის მარცხენა მხარეს დატოვებულ თავისუფალ ადგილას ჩავაკარი და კიდევ ერთხელ გადავიკითხე: კარები გავიხურე, ეზოში გავედი და ქუჩას გავუყევი. მზე ჩემი ოთახის სარკმელს უმიზნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ზოიძე

* * *

მე ვარ კოსმონავტი და მე ვარ პოეტი.
ვტოვებ მიწას და მივფრინავ ცაში.
სულის სიმყუდროვეს ვერსად ვპოვებდი,
რომ შემეცვალო უეცრად სხვაში.

მაღლიდან დამყურებს
ლამაზი სამყარო,
დაბლიდან — მტრობა და შური.
მე მინდა დედამიწას იარაღი ავყარო
და ბავშვებს მივცე პური.

უიმედოს — იმედი,
წამალი — ავადმყოფს,
დაჩაგრულს — რწმენა და ღონე,
და თუ კი პოეტის ალღო არ მღალატობს,
თავისუფლება — მონებს!

მე ვარ კოსმონავტი.
მე ვფიქრობ სტარტზე.
მე ვარ პოეტი და ვათენებ ღამეს.
ჩვენთვის უცხო არ არის ლოტო და კარტი,
ნარდს ვეთამაშები ჭალარა მამებს.

თვლემს მოგონებაში
ის ერთი სალამო —
იური გაგარინი,
. . . . . .
ვარსკვლაველთა ქალაქი.
ხელი ჩამოვართვი და დაუსაბამო
ოცნებას პოეტების შეხვედრა დავარქვი.

მე ვარ პოეტი და „მფრინავი თეფშების“,
„მფრინავი თეფშების“ პოეზიაც მჯერა.
თეთრობის მთებიდან მზე დაბლა ეშვება
და სანაპიროს ვარდისფრად ფერავს.

და მინდა მოგიძღვნა
ისეთი ლექსი,
ქვეყანა რომ გაიგებს თარგმანის გარეშე,
დიდი და პატარა გულების მწყემსი,
გამოძახილი ჭარიშხლის.

და არა მგლის თავზე წაკითხული სახარება,
და არა შორეულ მირაჟებთან სიარული.
და თუ კი პოეტებს უწერია გახარება,
ეს იქნება ჩემი სიხარული.

რომელსაც
არავის არ დავესესხები,
(შეიძლება ისესხო ჭირიცა და ლხინიც).
ლექსები იკითხეთ, ბატონებო, ლექსები,
ინებეთ, ბატონებო, სამეფო წილი.

* * *

მალალი, როგორც მთაწმინდის სევდა,
დიდუბისა და დიდგორის სევდა,
კახაბრისა და მარაბდის სევდა,
მე სიყვარულის ულელი მედგა
და სიძულვილი ფეხდაფეხ მსდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი, შენ,
ისევ გალობ და გალობ,
შეკედლებული იმ ბებერ სხალთას,
და მაგ გალობით ცასავით მწყალობ,
ცასავით მწყალობ აჭარისწყალთან.

მივეცი სული ცასა და ჩიტებს,
მივუგდე ყვავებს ძვალი და ხორცი.
მაინც მძიმეა და ძლივსლა იტევს
ერთი პატარა საფლავის ბორცვი.

აქედან ვუმზერ თეთრობის ქორებს,
ძერაა შავი, ტყიდან რომ ზვერავს.
მე ახლა ხორცი მამძიმებს თორემ
გაშლილი ფრთების ისედაც მჯერა.

მიწოდონ ლოთი და ღამის ჭურდი,
სხვას ქონდეს შენი კოლხური ვერძი,
მე შარლ ბოდლერის სიმღერა მსურდა
და ბოროტების ყვავილებს ვებრძვი.

შენი საყდრის და გუმბათის ნისლით
და დაუმცხრალი ქარების ტაშით.
თუ გავხდი მისი გუგუნის ღირსი,
ჟრუანტელივით დაგივლი ტანში.

გალობ და გტკივა...
გალობ და გტკივა...
ექო გუმბათზე ჩამომხრჩვალ ზართა,
ჩემი მოკლე გზა რომში თუ მივა,
ვერ გავეყრები შენს ბებერ ზამთარს.

რუსული ზამთარი

შეფარებია ზამთარს ქუჩები,
როგორც ტაიგას თეთრი დათვები,
ცდუნებას ველარ გადაურჩები,
გადაკრავ არაყს და თან გათბები.

სიყვარულივით თბილი ზამთარი,
და ზამთარივით თეთრი იანა,
ცოტა არაყით თუ ხარ გამთბარი.
ბედნიერი ხარ მაშინ მთლიანად.

საიდან გაჩნდა თეთრი მარხილი,
თეთრი მარხილი, თეთრი ცხენებით,
რატომ ჩამესმის შენი ძახილი,
ვით სიყვარულის ციებცხელება?!

გადამაჭროლეს თეთრმა ცხენებმა
ეს ტრასა სწორი და უდაბური,
თოვლივით თეთრმა შენმა ხელებმა
თოვლივით თეთრი ქურქი დამბურეს.

სიყვარულივით თბილი ზამთარი...
თეთრი ცხენები უბია მარხილს,
ასეთი თბილი თოვლი რად არი,
ახლა ამაზე ფიქრებიც არ ღირს.

ყელამდე თოვლი... და თოვლს ნატრობენ,
ახლოდან ვუმზერ და ვეფერები,
ქალებს, ამ თბილი თოვლის პატრონებს,
მინდა ვაჩუქო ბედნიერება.

ტვერის ბულვარი თოვლმა დაბურა,
პერედელკინოც თოვლმა შემოსა,
არის ფაქიზი და უდაბური
ჩემს სამყაროში შენი შემოსვლა.

რომ მივატოვო

მე ავუჯანყდი საკუთარ დუმილს,
საკუთარ და მძლავრ სურვილთან ერთად.
ვაგდებ ორ კაპიკს და ვიღებ ყურმილს,
რომ საუბარი გავაბა შენთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც ჩემი სული და ხორცი
ველარ ეტევა სულში და ხორცში.
ერთია მწვანე საფლავის ბორცვი
და ბორცვთან ერთი ტირიფი მორცხვი.

ღამეა ძლიერ მყუდრო და ცივი,
ცივი და მყუდრო, ვთქვათ და ტაიგა.
ვრეკავ და როგორც გამწყდარი მძივი,
ოთახში თეთრი მძივი დაიპნა.

შენი ხმა არი. მე უკვე ვიცან.
ეს მე ვარ, ჩემზე რა უნდა გითხრა.
მეძახი, როგორც მეზღვაურს მიწა.
ამის მეტს ახლა ნურაფერს მკითხავ.

ნუ მეტყვი ახლა როგორ მომელი,
რომ ავდგე ზეზე და მივატოვო,
რუსთველის ქუჩა, მეცხრე ნომერი,
მოსკოვის ღამე და სიმარტოვე.

ნოველები

სიფეიერული

ეს იყო დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ.

ერთ დილით ყვავილებით ნაირფრად მოქარგულ ველზე უცხო ყვავილი ამოვიდა.

პირველად გვირილამ გამოთქვა აზრი:

— მეტიჩარა იქნება მაგი, განცალკევებით ამოსულა, თანაც შემალებულ ადგილზე.

— ერთი შეხედეთ, რა სულელური კოკორი აქვს, — ჩაიქირქილა ველის ვარდმა, — სიფათზე ეტყობა უტვინობას.

— ამ ხნის გავხდი, ასეთი უცნაური ყვავილი კი ჯერ არ მომსწრია, — წვერების ცანცარით ჩაურთო ბაბუაწვერამ.

და ყოველდღე დილიდან დაღამებამდე ჭორაობდნენ ასე ყვავილები. უცხო მცენარის კოკორი კი ამაყად ყელმოღერებული მიიწევდა მაღლა-მაღლა.

ერთ დილით კოკორმა გაიზმორა სიამოვნებისაგან და გახსნა ალისფერი ფურცლები.

— გამარჯობა, მზევ! სალამი, ლაჟვარდო ზეცავ და გოროზო მთებო! დილა მშვიდობისა ყვავილებო და წკრიალა ნაკადულო! რა ლამაზები ხართ! როგორ მიყვარხართ ყველა!..

— რა გქვია შენ, მშვენიერო უცხო ყვავილო? — შეეკითხა მას ნაკადული.

— სიყვარულა.

— ეს რა უცნაური სახელია. შენც სულ სხვანაირი ხარ, განსხვავებული.

— ეს იმიტომ, რომ მე დღეს პირველად ამოვედი.

— პირველად? — გაიკვირვეს ყვავილებმა.

— ჰო, პირველად. მე დიდი, ძალიან დიდი სიყვარულისათვის ამოვედი. აი, იმ მთის გადაღმა ერთი კეთილი და ძალიან მორცხვი ჭაბუკი ცხოვრობს. მას თავდავიწყებამდე უყვარს მეზობლის თვალმაყვალა გოგონა. გოგონა ვერ ამჩნევს ჭაბუკს.

მშობლები სხვა სოფელში უპირებენ გათხოვებას გოგონას. ჭაბუკი დაიღუპება...

— მერედა, რა შეგიძლია შენ? — შელახული თავმოყვარეობის კილო იგრძნობოდა ველის ვარდის ხმაში.

— ჭაბუკი თუ მიპოვის და მიმართმევს იმ გოგონას, მის გულშიც აინთება დიდი სიყვარული. მერე ორივენი ბედნიერები იქნებიან უკუნითი უკუნისამდე.

— ეს ხომ ჯადოქრობაა, — აღშფოთებისაგან აპილპილდა ყაყაჩო, — შენ შენი ჯადოსნობით გსურს თავბრუ დაახვიო საბრალო გოგონას!

— ოჰ, არა, არა... — ნაზად წარმოსთქვა სიყვარულამ, — გოგონას ნამდვილი ბედნიერება ის ჭაბუკია, მან კი ჯერ არ იცის ეს... სხვასთან იგი უბედური, ძალიან უბედური იქნება.

— ღმერთო, რა კეთილია, —წარმოსთქვა მზემ და აღტაცებულმა ოქროსფერი სხივები უხვად დააფრქვია უცხო ყვავილს.

— და როგორი მორცხვი, — ჩაურთო ვვირილამ.

— ამ ხნის გავხდი, ასეთი მოსიყვარულე და გულისხმიერი ყვავილი ჯერ არ შემხვედრია, — და გულაჩუყებულმა ბაბუაწვერამ ბედნიერების ცრემლები გადმოაფრქვია.

— რა მოხდენილი და ნაზი ტანი აქვს, — ჩაიჩურჩულა ტირიფმა.

— ასეთი ჭკვიანი მცენარე ჯერ არ მინახავს... ვაშა, ვაშა შენს სიკეთეს! — აღტაცებისაგან ტალღა ტალღას შემოჰკრა ნაკადულმა. წვეთები ჰაერში აიბნა და ცისარტყელად შემოერკალა ყვავილს.

— ოჰ, ოჰ, რა სურნელება აქვს! — თავდავიწყებისაგან თვალები მილულა ნიავმა, უჩინარი ფითებით ნაზად მოეფერა ყვავილს, აიტაცა მისი სურნელი და მიმოაფრქვია ყანებს, ველ-მინდვრებს, ხევ-ხუვებს, ბალვენახებს...

და უცებ მთელს ველზე დაირხა სიმღერა მარადიული სიცოცხლისა და სიყვარულისა.

შემაღლებულ ადგილზე სიმღერის რიტმზე ნაზად ირწეოდა ალისფერი სიყვარულა ჭაბუკის მოლოდინში.

როგორ დასრულდა ეს მშვენიერი ზღაპარი?

ჭაბუკმა იპოვა სიყვარულა...

მათზე ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზე. ასე სიამტკბილობაში განვლეს თავიანთი სიცოცხლის დღენი.

უამრავ ყვავილებში ძალიან, ძალიან დიდი სიყვარულისათვის დღესაც ამოდის სიყვარულა.

მხოლოდ დიდი სიყვარულისათვის!..

რამდენის?..

— კაი კაცი იყო, ეჰ!..

— აცხონოს ღმერთმა. ნაადრევად მოკვდა. მაგის ბაღვობა მახსოვს.

— ოთხმოცდახუთისაც არ იყო, მარა ვინ გეკითხება...

— ოთხმოცდახუთის როვა არ იყო!..

— დამიჯერე, არ იყო. ოჯახმა დაწერა ისე, დაახლოებით.

— თვითონაც რომ ამბობდა?

— ებლაყუნებოდა. მე ვიცი სწორი. მაგი რომ დეიბადა, სწორეთ იმ წელიწადს გაათხოვეს ნაზიე...

— კაი გოგო კი იყო.

— კიჰჰ! მეც კაი ბიჭი ვიყავი, მარა ღარიბი, დაფსილი... დამიწუნეს მისმა მშობლებმა.

— შენ ცდები მაინც... ნაზიე რომ გაათხოვეს, მას შემდეგ ბარე ოთხმოცდაათიც კია გასული.

— ჰიჰ! იტყვი შენც.

— არა თუ?

— შეიშალე, ჭო, შეენ? მაშინ რამდენის ვიქნებით ჩვენ იცი?

— ჰო, რამდენის?

— შენ თქვი.

— არა, შენ...

— რამდენის და... მე რომ დავბადებულვარ, იმ წელიწადს ძალიან დიდი თოვლი მოსულა...

— რუსის ჯარის შემოსვლა თუ გახსოვს?

— შენ თლა ბალანა გგონივარ... მაგი გუშლამ იყო, აგერ.

— ე, იმ წელიწადს დაიბადა ცხონებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რაცხა მასე უნდა ყოფილიყო მაგი.
— ბაბუ, დიდო ბაბუ, მაშინ ასი წლის ყოფილა და ეგ არის.
— რა იცი შენ, ცინგლიანო!
— რუსის ჯარი, ბაბუ, ზუსტად ასი წლის წინ შემოვიდა.
— ხედავ?
— აბა-აბა? ახლანდელმა ბალვებმა ყველაფერი იციან.
— მარა...
— რალა მარა, კაცო, ყოფილა ასი წლის და ეგ არის.
— მერე, ჩ-ვენ?.. რამდენი წლის ვართ ჩვენ?..
— ?!.

ასე იქნება, ალბათ, მარადის...

აყვავებული ატმის სურნელება იფრქვევა ღია ფანჯარაში.
რძის ჩხრიალი ისმის ბოსლიდან.
მერე — მამის გულმოსული ხმა ეზოში:
— ადექით, ჰო, ადექით, გეყოფათ ძილი! ქვეყანა საქმეა...
წამით წყდება რძის ჩხრიალი.
— ცოტა კიდევ იძინონ ბიჭებმა, — მორიდებული პასუხი დედის.
თვალებს ვიფშვნეტ.
დიდი ხანია აღარ არიან დედაც და მამაც.
გულს ტკივილი მიჭეჭკავს.
— გათენდა, გათენდა, ადგომის დროა! — ვამბობ ახლა მე.
— ცოტა კიდევ იძინონ ბავშვებმა, — მორიდებით მპასუხობს მეუღლე.
ასე იქნება, ალბათ, მარადის...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თარგმანები

სერგეი ესენინი

შემოდგომა

რ. ი. ივნევს

შემოდგომა შემოივლის ჩუმად ტყეებს,
წითელ ფაფარს ფაშატივით აფხანს ხეებს.
ქვემოთ, ჩრდილში მიჩხრიალებს ღელის წყალი,
ფერდობზე კი მიწკრიალებს ლურჯი ნალი.
სიო, როგორც ბერი, გზაზე მიდის ნელა,
მოსახვევში ჩამოცვენილ ფოთლებს თელავს
და ცირცელის წითელ ყვავილს კოცნის ისე,
თითქოს წყლული დაუამა ჯვარცმულ ქრისტეს.

* * *

ბუქია და ხვეტავს
გზაზე თოვლს.
თოვლში უნდა ნეტავ
ჩაეფლოს?
გიქმა ქარმა თავი
მისცა ძილს.
ტყეში ველარავინ
გაივლის.
თოვლის ათინათი
ყვავილობს.
თეთრი ცოცხით დადის
ალილო.
უქმად ყოფნა კმარა,
რა მოგდით?

ხალხნო, გზიდან ჩქარა
გადმოდით.
ვის ეგონა — ჭამდა
ბუქი შიშს, —
მოკურცხლავდა მარდად
მინდორში
გაილვიძა ქარმაც,
წამოხტა.
ქუდი დაეკარგა
რა კოხტა.
ყვავი დილით აღრე
გაფრინდა,
ქუდს დასწვდა და აროზე
დაჰკიდა.

* * *

ო, ღვთისმშობელო,
ვარსკვლავად მოვედ,
უგზო სოფელს და
ხრამს დაეთოვე.
აპკურე ზეთად
დალალი მთვარის
ბაგათა ზედა
რუსეთის მხარის.
ლამეა გრძელი.
შენს ყრმასაც სძინავს.

აქციე ბნელი
რიჟრაჟის ბრწყინვად.
და კიდით-კიდე
ღიმილით ავსე
და მზე დაჰკიდე
ბუჩქნარის თავზე.
დაე, ლალობდეს
მზის ოქროს ფიფქით
მიწის სამოთხის
წმიდა ყრმა იგი.

* * *

ბანაობენ ვარსკვლავები უხილავის წიაღ.
წნორიანმა შიშის ბადეს ველარ გააღწია.
ტყეში ისე ვბორიალობ, დავემსგავსე ნასვამს.
ციდან ვარსკვლავს ჩამოვიღებ, ხელისგულზე
დავსვამ.
ჩანგის ჰანგი მხიარული დაქრის რა თამაშით!
ტბაში ჩემი ნაინატრი ბანაობს და თმას შლის.
როგორ ტოკავს ძუძუ-მკერდი გულაბივით მკვრივი!
აქაფებულ წყალში ცურავს ტანი ღვთაებრივი.
ცისარტყელის ფერები აქვს მინავლებულ დაისს.
მწუხარს ლოცვა მეამება, ვით ალერსი დაის.

ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ

ყველას არა აქვს სიმღერა ყელში.
ვაშლად გაგორდეს სხვის ფეხებთან, —
არ ძალუძს ყველას.

ეს ალსარება არს უალრესი.
ეს არს ხულიგნის ცოდვის გამხელა.

განზრახ დავდივარ თმააბურდული
და ჩემი თავი ჰგავს ნავთის ლამპას,
რომ თქვენი სული — შემოდგომის ტყე გაქურდული,
ალარ იხვევდეს სიბნელის საფარს.
მომწონს — გინებას, როგორც სეტყვას რომ დამიშენენ,
როცა იკვრება საჩხუბრად მუშტი.
თავზე მოვიჭერ მაშინვე ხელებს,
რომ არ გამისკდეს შერხეული ქოჩორის ბუშტი.

ო, როგორ ვხარობ, იცოდეთ ნეტა,
როცა ოცნებით ნაცნობ ტბას და მურყანს გავცქერი!
ვიგონებ ხოლმე, რომ მყავს სადღაც მამა და დედა,
რომლებსაც ჩირად არც კი უღირთ ჩემი ნაწერი.
მაგრამ ვუყვარვარ, როგორც მიწა, სისხლი და ხორცი
ან როგორც წვიმა, გაზაფხულზე ჯეჯილს რომ აშლის.
ისინი ფიწლით მოირბენდნენ თქვენს დასახოცად —
როგორ ლანძღავთო, როგორ ბედავთ დაჩაგროთ ბავშვი.

ო, საცოდავო, საცოდავო გლეხებო ჩემო!
თქვენ ალბათ ახლაც ხართ საბრალო შესახედავი,
ჭაობის სულის მოშიშარი და ღვთისმმოსავი.
იმის შეგნება გქონდეთ ნეტავი,
რომ თქვენი შვილი არის დიდი რუსი მგოსანი.
თქვენ არ გაზარდეთ იგი გლეხურად?
დატანტალებდა ფეხშიშველა თოვლ-წვიმაშიაც.
ახლა მას შავი ცილინდრი ხურავს
და უპრიალებს ფეხზე მაშია.

სოფლელის ცეცხლი მის ძარღვებში ჯერაც არ ჩაქრა.
რა გამოცვლიდა თქვენს ეშმაკ მოყვასს?
მისჩერებია საყასბოს აბრას
და ესალმება შორიდან ძროხას.
მეეტლეებთან როცა მიდის სალაზღანდაროდ, —
ნაკელიანი აგონდება სოფლის ველები,
იგი მზად არის ყველა ცხენის კუდი ატაროს,
როგორც პატარძლის კაბის შლეიფი.
მიყვარს სამშობლო,
ძლიერ, ძლიერ მიყვარს მე იგი!

თუმც გული მუდამ ტირიფების ოხვრით მეწვოდა.
ახლაც მახარებს ამოთხვრილი ღორების დინგი
და ღამღამობით მოწკრიალე ხმა გომბეშოთა.
ბავშვობის გზაზე ფიქრმა ბევრჯერ გამიყოლია.
აპრილის ცივი შელამება მომელანდება.
შესცივებია ჩვენს ნეკერჩხალს, ასე მგონია,
ჩაცუცქულა და განთიადის კოცონთან თბება.
ავცოცებულვარ მის ტანზე ბევრჯერ.
ბუდიდან ხშირად მომიპარავს კვერცხები ყვავის.
მწვანე კენწერო ნეტა თუ შერჩა,
ნეტავი ქერქი თუ შერჩა მყარი.

შენ ?შენ როგორ ხარ, საყვარელო,
ერთგულო ძაღლო?
ალბათ წკავწკავებ, დაბერდი და დაბრმავდი კიდეც-
დაბორიალებ და დაათრევ კუდს სავაგლახოდ,
ვერც ბოსელს აგნებ, ვერც სახლის კიბეს.

ო, რა საამოდ მაგონდება ჩვენი ცელქობა,
პურის ყუას რომ ვპარავდით დედას.
გიყოფდი, როგორც ძმას და მეგობარს,
რომ საყვედური ჩემთვის არ გეთქვა.

ისევ ისა ვარ.
გულიც ის მაქვს — მადლის მთესავი.
თვალიც მიბრწყინავს, ვით ლილილო ჭვავის ყანაში.
გაგიფენთ ლექსებს ოქროს ბზესავით.
მსურს გითხრათ რამე თბილი და ნაზი.

ღამე ნებისა.
დაიძინეთ ტკბილად და მშვიდად,
მიმწუხრმა ბალახს ცვარი შეასვა.
ვით ცელქმა ბიჭმა, მე ახლა მინდა
ჩემი ფანჯრიდან მთვარეს...

ლაჟვარდის ფერმა სივრცე როგორ გადაანათა!
ამ სიცისფრეში თვით სიკვდილსაც ჩავაგდებ არად.
მერე რაა, რომ ცინიკოსი გგონივართ მართლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გგონიათ, თითქოს უკანალზე ვიკიდებ ფარანს!
ჩემო კეთილო, დაჭანცულო ჩემო მერანო,
ალარად მინდა მე მსუბუქი შენი ჭენება.
არ იხარჯება სხვა რამისთვის ჩემი მელანი.
მე — პირქუშ ოსტატს, ვირთაგვების ქება მენება;
ეს გოგრა იქცა აგვისტოს ზლაპრად,
ხოლო თმა, როგორც ღვინო ჩხრიალებს.
მინდა ავუშვა ყვითელი აფრა,
გალმისკენ სწრაფად რომ მიფრიალებს.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



პაოლო ჯორბენაძე

მებრძოლი, ძმედითი კრიტიკისათვის

შ. ქურიძის ახლახან გამოცემულ წიგნში „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“ თავმოყრილია 50-70-იან წლებში შექმნილი საგულისხმო ნარკვევები, რომლებიც იძლევიან გარკვეულ წარმოდგენას ცნობილი კრიტიკოსის მიერ ამ წლებში გაწეულ ნაყოფიერ შრომაზე. წიგნი ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა თემატიკის მრავალფეროვნებით და დასმული ლიტერატურულ-კრიტიკული საკითხების აქტუალურობით. ყოველ ნარკვევში იგრძნობა ავტორის სერიოზული დამოკიდებულება საკვლევი მასალისადმი, ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა, მკვლევარის უტყუარი ალღო, წლების მანძილზე დაგროვილი დიდი გამოცდილება, პარტიული პრინციპულობა.

წიგნი იწყება წერილით „ძალა იდეისა“, რომელიც ეძღვნება ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების „მცირე მიწისა“ და „ალორძინების“ იდეურ-მხატვრულ ანალიზს. ნარკვევში წარმოჩენილია ლენინური სტილის მოღვაწის ტიტანური შრომა, კომუნისტური მორალი და ქმედითი, მებრძოლი, რეალური სოციალური შედეგების მომტანი ჰუმანიზმი, პარტიული ხელმძღვანელის ღრმა ცოდნა როგორც მთლიანად ხალხის, ისე ცალკეული ადამიანის ფსიქოლოგიისა. სწორადაა მიგნებული „მცირე მიწისა“ და „ალორძინების“ ლაიტმოტივი, იდეური ძარღვი — სოციალისტური სინამდვილის ახალი ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია, ნაკარნახევი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით. სწორედ ამითაა გაპირობებული ის, რომ საბჭოთა ხალხის მძიმე ბრძოლისა და ომისშემდგომი ძნელბედობიანი აღორძინებითი მშენებლობის რთულ პირობებში განსაკუთრებით თვალნათლივ გამოვლინდა ხალხისა და პარტიის მონოლითურობა, ხელმძღვანელ მუ-

შაკთა მალალი ზნეობრივი თვისებები, კომუნისტური მრწამსის ძლევამოსილება, საზოგადოების განვითარების სიღრმისეული პროცესების სწორი გაგება, ეკოხოძიკურ კანონზომიერებათა მიზანდასახული წარმართვა ხალხის საკეთილდღეოდ. ლ. ი. ბრეჟნევის მსოფლიოში საკმაოდ გახმაურებული ეს წიგნებიც, როგორც აღნიშნულია შ. ქუთიძის წერილში, არა უბრალოდ მძიმე წარსულის გახსენებაა, არამედ სოციალისტური სისტემის სიმტკიცისა და უძლეველობის გამოცდის დოკუმენტებია, რომლებიც კიდევ ერთხელ უჩვენებენ მსოფლიოს, თუ რა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ძლიერების წყაროს.

რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, შესაძლებლობათა პრობლემა დასმულია ნარკვევში „რაც არ იწვის, არც ანათებს". გ. შატბერაშვილის მოთხრობის „მკვდრის მზის" მაგალითზე ნაჩვენებია, რომ მწერალს შეუძლია მცირე ფორმის პროზაულ ნაწარმოებში ახლებურად გაშალოს ძველისა და ახლის ბრძოლის ტრადიციული თემა, ორიგინალური მხატვრულ - გამომსახველობითი ხერხებით გახსნას სიღრმისეული პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წერის ავტორისეულ მანერას, რომელიც ვერ ეტევა რეალიზმის ტრადიციულ გაგებაში, დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ მხატვრულობის ფუნქციით ლეგენდის გამოყენება ზრდის რეალიზმის შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მრავლისმეტყველი ქვეტექსტის შექმნას, რითაც ასე ფასდება თანამედროვე მხატვრული ნაწარმოები. მხოლოდ მრავალფეროვანი მხატვრულ - გამომსახველობითი რესურსების ორიგინალური მომარჯვებით შეძლებს მწერალი თავი დააღწიოს მოსალოდნელ შაბლონს მრავალჯერ დამუშავებული ტრადიციული თემის მხატვრული გადაწყვეტისას.

ქართულ პოეზიას მართლაც ამშვენებს უდავოდ ჭეშმარიტი პოეტური ტალანტები, რომელთაც თავიანთი მარგალიტებად ჩამოსხმული ლექსებით სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი მხატვრული აზროვნების განვითარების ისტორიაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით მათი პიროვნების, მათი ცხოვრების შესახებ, როცა უბრალო ბიოგრაფიულ დეტალსაც კი უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემოქმედების გაგებისათვის, ვიდრე „გულმოდგინე" მკვლევარების საკმაოდ უსაფუძვლო „მიხვედრებს", რითაც ხშირად სცოდავს ზოგიერთი ქართული მემუარული წყარო. მემუარული ლიტერატურის ერთგვარ შევსებად შეიძლება მივიჩნიოთ წიგნში შეტანილი „ლადო ასათიანის გახსენება". უბრალოდ, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე, გულწრფელად, როგორც ეს მხოლოდ ახლობელ მეგობარს შეუძლია, ავტორს დღის სინათლეზე გაძო-

აქვს ლადო ასათიანის პოეტური ბუნების ზოგიერთი შტრიხი, წარმოგვიდგენს მას არა მისტიკური ბურუსით მოცულ „ზეშთაგონებულ“ ჯადოქრად, არამედ ადამიანად, თუმცა მოკვდავთა შორის გამორჩეულ ადამიანად იმის წყალობით, რასაც ჩვენ ნიჭს ვეძახით. ეს „გახსენება“ საგულისხმოა არა მარტო პერსონოლოგიური ძიების თვალსაზრისით, არამედ მასში მიუკერძოებლადაა მოთხრობილი ლადო ასათიანის პირველ პოეტურ ექსპერიმენტებზე, მის ცდაზე — ეპოვა საკუთარი გზა ქართულ პოეზიაში. ავტორი გულთბილად იგონებს ლ. ასათიანის მეგობრებს, არკვევს და აზუსტებს მისი პირველი ლექსების ადრესატებს, გვესაუბრება 30-იანი წლების ქუთაისელ სტუდენტთა რომანტიკით სავსე მჩქეფარე ცხოვრებაზე, რომლის ფონზეც ფეხს იდგამდა შემდგომ ცნობილი ქართველი პოეტი. ლ. ასათიანის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს შ. ქურიძეს თავისი ფილოლოგიური შენიშვნებით, რომლებიც დოკუმენტურად დაჭოწილი მასალებით აზუსტებს პოეტის შემოქმედებითი გზის დაწყების თარიღს, პირველი ლექსების. ტექსტუალური ანალიზის წყალობით ადგენს ლადოსეულ რედაქციას, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ იკვლევდა გზას ლ. ასათიანი ჭეშმარიტი პოეზიის მწვერვალებისაკენ.

ლიტერატურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის მიმართების პრობლემას გარკვეულ დაღს ასვამს დროისეული დისტანცია, რომელიც სულ ახალ და ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენს მამა-პაპისეულ მონაპოვარს. ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა“ მკვლევარი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა ილიამ თავისი უნივერსალური საქმიანობით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება - განმტკიცებაში, ქართული ესთეტიკური და მხატვრული აზროვნების განვითარებაში, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებაში. ი. ჭავჭავაძის მთელი რიგი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში მეტად მწვავედაა დასმული თანამედროვე ეპოქისათვის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა მილიტარიზმისა და კოლონიალიზმის, სოციალური ჩაგვრისა და უსამართლობის დაგმობა, ომის გამჩაღებელთა მხილება. დიდი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, მალალი ქართული ზნეობის ქომაგის ჰუმანისტური იდეალები განსაკუთრებით ეხმაურება იმ დიდ ძვრებს, რასაც ადგილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ წლებში. ამ მხრივ ნარკვევს შეუძლია კარგი სამსახური გაუ-

წიოს არა მარტო ფილოლოგებს, არამედ პროპაგანდისტებსაც, რომლებიც ვალდებული არიან ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღების მიზნით ხშირად გამოიყენონ ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობა.

ავტორი სამართლიანად გამოდის გოგია უიშვილის როგორც სახე-ხასიათის მეტისმეტად ცალმხრივი, პრიმიტიული გაგების წინააღმდეგ (ნარკვევი „ეკითხოს! ანუ გოგია უიშვილი როგორც ხასიათი“). გოგია უიშვილი თვით სინამდვილიდან აღებული ტიპია, ცოცხალი ადამიანი, გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს თავისი, თუმცა პატარა, მაგრამ საკმაოდ რთული ცხოვრება, რომელიც აპირობებს მის სოციალურ ქცევახასიათს, მის ერთადერთ „გაბედულ“ გადაწყვეტილებას — თვითმკვლელობით დაასრულოს ცხოვრება, რაც სოციალური პროტესტის თავისებურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ნარკვევში მოცემულია ცდა სოციალურ მიზეზებთან ერთად გაირკვეს თვითმკვლელობის ფსიქოლოგიური მოტივიც. შესაძლოა, თვითმკვლელობის იმპულსის ავტორისეული ახსნა სადავო იყოს, მაგრამ თვით ცდა — მთლიანობაში, მთელი თავისი სისრულით სახე-ხასიათის განხილვა საგულისხმო და ნიშანდობლივია, მით უმეტეს, რომ არა მარტო სკოლებში, არამედ ინსტიტუტებში და, სამწუხაროდ, ლიტერატურულ კრიტიკაშიც კი არაიშვიათად სახე-ხასიათის პრიმიტიული გაგება აყალბებს და აუფასურებს მას, წარმოგვიდგენს რაიმე სოციალური მოვლენის უბრალო „განსახიერებად“ და, ასე წარმოიდგინეთ, სიმბოლოდაც კი.

საკითხის დაყენების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკმაოდ ვრცელი ნარკვევი „კაცი უბრალო, კარგის მთესველი“, რომელიც ეძღვნება კოლაუ ნადირაძის შემოქმედების ანალზს. ამ ნარკვევიდან ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს სიმბოლიზმისადმი მიდგომის პოზიცია.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებით მწვავედაა დასმული სიმბოლიზმის საკითხი, რომელიც მოითხოვს როგორც მის ესთეტიკურ, ასევე გნოსეოლოგიურ კვლევას, მით უმეტეს, რომ 30-იანი წლების პრინციპულმა, მაგრამ მეტად ცხარე კრიტიკამ თავისი დალი დაასვა სიმბოლიზმის გაგებას. სიმბოლიზმს როგორც ლიტერატურულ მიმართულებას აქვს თავისი ფილოსოფიური საფუძველი — შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფია, რომელიც იქცა სიმბოლისტთა მსოფლაღქმის ამოსავალ წერტილად. სიმბოლიზმი (სიმბოლიზაციის გაგებით) მხოლოდ სიმბოლისტების მონაპოვარი როდია. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ პერიოდში განმანათლებე-

ლთა მაღალჰუმანისტური იდეალების კრახმა, იმედგაცრუებამ, სოციალური ცხოვრების მოუწესრიგებლობამ, გაუცხოებამ, რომელმაც პირველად იჩინა თავი რომანტიზმში, აიძულა სილამაზის მაძიებელი ზოგიერთი რომანტიკოსი გაჭცეულიყო ამაზრზენი ემპირიული სინამდვილიდან ფარულ გრძნობათა სამყაროში, გონებისათვის მიუწვდომელ, მაგრამ გრძნობადაღქმად სინამდვილეში, ჰარმონიისა და მშვენიერების სამეუფოში. ეს განსაკუთრებით ითქმის ედგარ პოსა და შარლ ბოდლერზე, რომელთა სტუდია გაიარეს სიმბოლისტებმა.

30-იანი წლების კრიტიკა სამართლიანად ბრალს დებდა სიმბოლისტებს იმაში, რომ ისინი ქმნიდნენ ლექსებს არა მასებისათვის, არამედ ესთეტებისათვის, რომ მათი პოეზია გაუგებარი იყო ხალხისათვის, არ იყო ქმედითი, მებრძოლი ხასიათის. ლიტერატურული განვითარების გარკვეული ეტაპისათვის თუ ამას ერთგვარი გამართლება ჰქონდა რუსი და ქართველი სიმბოლისტების მიმართ, რომლებიც ერთობ უხვიროდ გაყვნენ ფრანგი სიმბოლისტების კვალს, თვით სიმბოლიზმის როგორც მიმდინარეობის არსი, რემბოს, ვერლენის, მეტერლინკისა და სხვათა შემოქმედებისადმი დამოკიდებულება მოითხოვს გადასინჯვას. ასევე დამატებით უნდა იქნას გამოკვლეული, თუ რა ახალი მისცა სიმბოლიზმმა თანამედროვე ლიტერატურას იმ ქვეყნებში, სადაც ფეხი მოიკიდა მან. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ უკანასკნელ წლებში. ამის საწინდარია მასობრივი ტირაჟით სიმბოლიზმის წიხაძორბედების ედგარ პოს, ბოდლერის და თვით სიმბოლისტების რემბოს, ვერლენის, მეტერლინკის ნაწარმოებების გამოქვეყნება, დ. ობლომიევსკის ფუნდამენტური ნაშრომი „ფრანგული სიმბოლიზმი“ და სხვა გამოკვლევახი, რომლებშიც იგრძნობა სიმბოლიზმისადმი შედარებით ობიექტური დამოკიდებულება. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმით ხანმოკლე გატაცებას, ამ მხრივ ერთგვარ „გატეხილ ყამირად“ შეიძლება ჩაითვალოს ნ. ლუმბაძის წიგნი „ქართული სიმბოლიზმი“, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოში სიმბოლიზმის ჩასახვისა და მისი ხანმოკლე განვითარების ისტორია.

მე-19 საუკუნის დასასრული და მე-20 საუკუნის დასაწყისი იყო დიდ აღმოჩენათა პერიოდი როგორც მეცნიერებაში, ასევე პოეზიაში. სიმბოლისტებიც პირველაღმომჩენები იყვნენ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ამ პერიოდის პირველაღმომჩენთა შორის გენიალურ მეცნიერ ალბერტ აინშტაინთან და დიდ რევოლუციონერ პოეტ მაიაკოვსკისთან ერთად ასახელებენ სიმბოლისტ არათურ რემბოსაც, ამ მართლაც გენიალურ პოეტს. ამიტომაც ისიც არაა გასაკვირი, რომ თავისი ზე-

გრძნობიარობის, მიღმურობის, აზრის სიმბოლოებით გადატვირთვის მიუხედავად სიმბოლიზმმა ასე მიიზიდა ბევრი პოეტის ყურადღება პირველ რიგში არაცნობიერის და უცნობის სფეროში გაბედული შეჭრით, გონებისათვის მიუწვდომელი სინამდვილის ძიებით, აღმოჩენით, რასაც თან ახლდა ლექსის იუველირული გაძართვა, მელოდიურობა, ძისი ტევადობის ზრდა. როგორც ვხედავთ, სიმბოლისტებმა ძალზე რთული ამოცანა დაისახეს, რასაც ასე თუ ისე თავი გაართვეს ისეთმა გენიალურმა პოეტებმა, როგორიც იყვხენ ართურ რემბო, პოლ ვერლენი და მორის მეტერლინკი, და ისიც იმ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, რაც დააგროვა ევროპის ფილოსოფიურმა აზროვნებამ (სვედენბორგი, შოპენჰაუერი) და ეროვნული პოეზიის ტრადიციებმა, კერძოდ ფრანგული რომანტიზმის თავისებურებამ. სიმბოლიზმი იყო წმინდა ფრანგული მოვლენა, და დიდი სიმბოლისტებიც თითებზე ჩამოსათვლელია. სხვა ეროვნების სიმბოლისტები, მიუხედავად საკუთარი გზის ძიებისა, მაინც ვერ გაექცნენ ფრანგული სიმბოლიზმის ძირითადი ტენდენციების ზეგავლენას და მისი განვითარების ნაცვლად გადაგვარებამდე მიიყვანეს იგი. გარკვეული წარმატება ჰქონდათ ავსტრიელ პოეტებს რილკესა და ჰოფმანსტალს, ბელგიელებს ვერჰარნსა და მეტერლინკს, რუს სიმბოლისტებს ბლოკს, ბრიუსოვს და ანდრეი ბელის, ჩვენს ცისფერყანწელებს, თუმცა რუსი სიმბოლისტები და ცისფერყანწელები ეროვნულ ლიტერატურაში დამკვიდრდნენ არა როგორც სიმბოლისტები, არამედ როგორც საბჭოური ლიტერატურის მეტად ორიგინალური ნიჭიერი წარმომადგენლები.

ასე რომ, მთელ რიგ ქვეყნებში პოეტებმა ხელი მოკიდეს ისეთ რამეს, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენდა, ხოლო ეროვნული ტრადიციები ვერ გამოდგა იმ ნოყიერ ნიადაგად, რომელზეც მას შეეძლო გახარება. თანაც ეს ხდებოდა ძირფესვიან სოციალურ გარდაქმნათა პერიოდში, როცა წყდებოდა ხალხების ბედი, როცა პოეზიის წინაშე გადაიშალა განვითარების დიდი პერსპექტივები. ასე რომ, არახელსაყრელ ნიადაგზე გადანერგილი სიმბოლიზმი იქცა ეროვნული პოეზიის ჯანსაღი ორგანიზმის ავადმყოფურ მოვლენად. ბულგარელი სიმბოლისტების შესახებ ივან ვაზოვი წერდა:

„ჩვენი ახალგაზრდა პოეტები, რომელთა შორისაც არიან ძლიერი ნიჭის ადამიანები, ორიგინალობისაკენ, ახალი გზებისა და ახალი ფორმების ძიებისაკენ თავიანთი, თუმცაღა კანონიერი, მისწრაფებით მოწყდნენ ხალხურ წრეს და ჰბაძავენ დასავლეთევროპული ლიტერატურის უახლეს მიმართულებებს. ისინი აიჭრნენ ოლიმპიური გაუცხოებისა და

გულგრილობის ღრუბლებში, ჩაულრმავდნენ თვითჭვრეტას და გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი გარემომცველ ცხოვრებასთან. ისინი გახდნენ სიმბოლისტები, ინდივიდუალისტები, დეკადენტები, ზეადამიანები და, ვინ იცის, კიდევ რა. კოსმოპოლიტური პოეზია, პოეზია, რომელიც არაა გაჯერებული ცოცხალი ადამიანური გრძნობით, რადგანაც იგი აღმოცენდა არაბუნებრივ ნიადაგზე, — უცხოა ბუნებრივი სულისათვის. მათ დაავიწყდათ ბელინსკის ძართებული სიტყვები: „ყოველი ხალხის პოეზია არის მისი შეგნების უშუალო გამოხატულება; იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან. ამის გამო ყოველი ხალხის პოეზია უნდ: ატარებდეს ეროვნულ ხასიათს და არ უნდა ჰგავდეს არცერთი სხვა ხალხის პოეზიას.“ (იხ. Иван Вазов Сочинения в шести томах, т. I, М:, 1956. стр. 44).

ძირითადად ასეთი პოზიციით უნდა მივუდგეთ ცისფერყანწელებს, თუმცა მაინც ვერ ვუსაყვედურებთ მათ გულგრილობას სამშობლოს ბედის მიმართ. ამასთან დაკავშირებით შ. ქურიძეს მოჰყავს კ. ნადირაძის მაშინდელი სიტყვები, როცა იგი ჯერ კიდევ ცისფერყანწელი იყო: „არავინ იფიქროს, რომ არა ვარ მამულიშვილი და საქართველოს მომავალზე მეც არ მეფიქროს, ან ჩემი ქვეყნის პატრიოტიზმს თაყვანს არ ვცემდე!“

სარეცენზიო ნარკვევში აღნიშნულია, რომ კ. ნადირაძე მოითხოვდა „პოეზიის განახლებას“, გადაჭრით უარყოფდა „ცხოვრების მესარკეობას“. არა მგონი, რომ ეს დეკადენტობის ნიშანი იყოს. ასეთი პრინციპით მუდამ ხელმძღვანელობდა ჭეშმარიტი პოეზია, ამავე პრინციპით იქმნება თანამედროვე პოეზიაც. სულ სხვაა, როგორ აბორიელებდნენ ამ მოთხოვნებს თვით ცისფერყანწელები. ავტორი წერს, რომ „სწორედ რეალური სამყაროს უარყოფამ და მისმა მიღმა მდებარე რაღაც მეორე, არარსებული სინამდვილის ძიებამ მიიყვანა უპირველეს ყოვლისა კოლაუ ნადირაძე ცისფერყანწელთა ჯგუფში“. დაუჯერებელია, რომ პოეზიის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორიც არიან რემბო, ვერლენი, რილკე, ბლოკი და ბრიუსოვი, ცისფერყანწელები, ეძებდნენ „რაღაც მეორე, არარსებულ სინამდვილეს“. ამას ტრადიციული არაზუსტი გაგებით თუ ავხსნით. ეს „მეორე სინამდვილე“ არ არის არც პლატონის იდეების სამყარო, მით უმეტეს არც საიქიო, არც სხვანაირი ქვეყნიერება. სიმბოლისტებს, გახსაკუთრებით კი რილკეს, მხედველობაში ჰქონდათ არაცნობიერის და უცნობის სფერო, „სინამდვილე თავისთავად“, ემპირიულ სინამდვილეს ამოფარებული სამყარო, გონებისათვის ძიუ-

წვდომელი, გრძნობათაღქმადი, თუმცა მისი აღქმისას სიმბოლისტები ხშირად ვარდებოდნენ მისტიკაში და გართული იყვნენ ახალი სახის ღვთისმაძიებლობით. ჩვენ სინამდვილეს ვიცნობთ მხოლოდ მეცნიერების თანამედროვე დონით. ასე იყო მუდამ. რუსთაველის ეპოქისათვის სინამდვილე სხვა იყო, ვიდრე მე-19 საუკუნისათვის, წარმოდგენა მასზე დღეს უფრო სრულია, ვიდრე ეს მანამდე იყო. აინშტაინამდე სამყარო ესმოდათ ნიუტონის თეორიის პოზიციებიდან, ხოლო აინშტაინმა თავისი ფარდობითობის თეორიით სულ სხვა კანონზომიერებანი აღმოაჩინა და სულ სხვანაირად წარმოუდგინა კაცობრიობას რეალობა, გამოსტაცა საიდუმლოება უცნობის სფეროს, რაც დღეს უცნობის სფეროში შედის, ხვალ შეიძლება ცნობილი გახდეს. და ეს ასე იქნება მარადიულად, ასე თანდათანობით თავს დააღწევს კაცობრიობა შეცდომებს, თანდათანობით შეექმნება უფრო ადექვატური წარმოდგენა სინამდვილეზე. როგორც ჟან კოქტო აღნიშნავს, აინშტაინმა დასაბამი მისცა ახალ „შეცდომებს“ იმ აზრით, რომ ის, რაც მოჰყვა მის აღმოჩენას, დროთა განმავლობაში ახალი აღმოჩენების წყალობით, შესაძლოა, შეცდომა იყოს.

მაშასადამე, სიმბოლისტებს ჰქონდათ ახალი, ფარული, უცნობი სინამდვილის აღმოჩენისა და მისი მხატვრული ენით გამოხატვის პრეტენზია. როგორც ვხედავთ, მათ ძალზე რთული ამოცანის განხორციელებას ძოკიდეს ხელი, რასაც ბევრმა ვერ გაართვა თავი. ემპირიულ სამყაროს ამოფარებული, სიმბოლისტების კონცეპციით, გონებისათვის მიუწვდომელი, მაგრამ გრძნობადაღქმადი სინამდვილის მხატვრული გამოხატვა, მისი „მატერიალიზაცია“ შეიძლება მხოლოდ სიმბოლოების მეშვეობით. სწორედ აქედან მომდინარეობს სიმბოლიზაციის მოჭარბება, სიმბოლოების გაფეტიშება, სიმბოლოების გამოცხადება ადამიანის მგრძნობელობითი სინამდვილის უნივერსალურ ენად. რამ აიძულა სიმბოლისტები მიემართათ სწორედ ასეთი უხილავი სინამდვილისათვის? სოციალური ცხოვრების მოუწესრიგებლობამ, გაუცხოებამ პოეზიადაცლილი, სილამაზისაგან გაძარცული, გაავებული მესაკუთრული საზოგადოების მიმართ, ღრმა პესიმიზმმა, გულგატეხილობამ. სასოწარკვეთილებამ. ამიტომაც სილამაზეს ისინი ეძებდნენ არა „აქ“, არამედ „იქ“, ბედნიერებას პოულობდნენ არა ბრძოლაში, არამედ პესიმიზმში. როგორც ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი ჯორჯ სანტაიანა წერს, ბედნიერება პესიმიზმშია და ამ გაგებით თავის თავს შოპენჰაუერის პესიმიზმის წარმომადგენლადაც აცხადებს. სწორედ ამით აიხსნება შეუცნაურობის, წინააღმდეგობრივის, ამაზრზენი, გაავებული ცხოვრებით გათელილის პო-

ზა, ლტოლვა სიკვდილისაკენ, თვითმკვლელობის ქადაგება, გაუცხოება, რამაც საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა სიმბოლისტურ პოეზიაში.

ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ არსებას, აქტიური მოქმედების ორი ძირითადი იმპულსი აქვს: ან დაძლიოს საფრთხე, ან გაექცეს მას. სიმბოლისტებმა უკანასკნელი ირჩიეს. მაგრამ მაინც, გაავებული ცხოვრებისაგან მათი გაქცევა თავისებური სოციალური პროტესტის გამოხატულება იყო. სიმბოლისტები „დაწყევლილი“, „შერისხული“, ამბოხებული პოეტები იყვნენ, თუმცა მათი ამბოხება ინდივიდუალისტურ, ანარქისტულ ხასიათს ატარებდა. ნარკვევის ავტორი ალნიშნავს, რომ კ. ნადირაძემ „თავის პოეზიაში ასახა გარკვეული სოციალური ფენების განწყობილება. მართალია, ეს განწყობილება არ ყოფილა რევოლუციური, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში მაინც იგრძნობა საკმაოდ ძლიერი უკმაყოფილება მაშინდელი სინამდვილით“. ყოველივე ეს. რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ კ. ნადირაძის პოეზიაში „იმედისა და უიმედობის ჭიდილი“ ავხსნათ იმით, რომ „პოეტმა ვერ შეძლო მჭიდროდ დაკავშირებოდა ხალხს, უპირველეს ყოვლისა კი მის ყველაზე რევოლუციურ ნაწილს — პროლეტარიატს“, რის გამოც „მან არ იცოდა რა გზა მიდიოდა ბედნიერებისაკენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ადამიანები, რომ გარდაექმნათ საძულველი სინამდვილე, მოეპოვებინათ სასიხარულო ცხოვრება“, ჩვენი აზრით, სიმბოლისტების მიმართ წაყენებული გაზვიადებული ბრალდებაა. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი პოეზია დაკავშირებული უნდა იყოს ხალხთან, გამოხატავდეს მის ინტერესებს, მაგრამ ხომ არის მაღალმხატვრული პოეზიაც, რომელიც უშუალოდ არ ეხება ხალხის ცხოვრებას, მისი შემქმნელები ამა თუ იმ მიზეზით არ დაკავშირებიან პროლეტარულ მოძრაობას, მნიშვნელოვანი ნაწარმოებები კი დაუტოვებიათ მემკვიდრეობად. რაც შეეხება ცისფერყანწელებს, მათი შემოქმედების თავისებურება გაპირობებულია არა პროლეტარიატთან დაუკავშირებლობით, არამედ თვით სიმბოლიზმის ბუნებით, მსოფლაღქმის პრინციპებით. მსოფლმხედველობა პოლიტიკურ შეხედულებებსაც გულისხმობს, ხოლო თავისი პოლიტიკური მრწამსით ცისფერყანწელები თუ არ თანაუგრძნობდნენ პროლეტარულ მოძრაობას, არკი უპირისპირდებოდნენ მას. თანაც ნუ დაგვავიწყდება რეაქციის წლები, როცა ფეხს იკიდებდნენ ცისფერყანწელები, და პროლეტარული მოძრაობის თავისებურება საქართველოში. მით უმეტეს სიფრთხილე გვმართებს ცისფერყანწელთა მიმართ დამოკიდებულებაში თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. თუნდაც გავიხსენოთ პასტერ-

ნაკის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის პირობებში დასავლეთში პასტერნაკის წიგნის გამოქვეყნება 1968 წელს სათაურით „წერილები ქართველ მეგობრებს“, რომელშიც მეტწილად წარმოდგენილია წერილები ტიციან ტაბიძისა და მისი მეუღლის ნინოს სახელზე გარკვეული პოლიტიკური მიზნით. ამავე დროს ნუ დაგვავიწყდება პროლეტკულტის მწარე გაკვეთილიც, ხოლო რევოლუციამდე შექმნილ მემკვიდრეობას უნდა მივუდგეთ ლენინური პრინციპით: ობიექტურად შევაფასოთ ყველა ლიტერატურული მოვლენა, სათანადო ადგილი მივუჩინოთ მას ლიტერატურის ისტორიაში.

სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, რომ კ. ნადირაძე, როგორც ცისფერყანწელი, „ტკბებოდა საკუთარი სულის წაძებით“, რომ „იგი არ იყო ძებრძოლი და ვერ გასცდა კეთილი სურვილებისა და ოცნებათა სამყაროს“. მაგრამ ცისფერყანწელები ხომ ასე უყოყმანოდ გადავიდნენ ახალ პოზიციებზე, როცა სოციალისტურმა სინამდვილემ დიდი პერსპექტივები გადაუშალა ქართულ პოეზიას. ამ მხრივ წიგნში სრულად და საფუძვლიანადაა წარმოდგენილი კ. ნადირაძის საბჭოური პერიოდის პოეზია. მაგრამ ერთი მაინც უნდა ვალიაროთ: თუმცა ცისფერყანწელთა ძხატვრული პრაქტიკა არ ყოფილა გახსაკუთრებით პროდუქტიული, სიძბოლიზმის ზეგავლენა არც ისე ძლიერი, მათი მხატვრული ხაწარმოებების იდეური მხარე არც ისე სახარბიელო, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში, როგორც სხვა ეროვნულ ლიტერატურებში, სიმბოლიზმით გატაცებას უკვალოდ არ ჩაუვლია. სიმბოლიზმის სტუდია თითქმის ყველა დიდმა პოეტმა გაიარა. ცისფერყანწელებმა გადაიტანეს თანამედროვე პოეზიის „ეშხობიაობის ტკივილები“, „სამყაროს სენი“ და ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდნენ არა როგორც სიმბოლისტები, არამედ როგორც შესანიშნავი საბჭოთა პოეტები.

არა მგონი, სადავო იყოს, რომ ნამდვილი პოეზია ნამდვილ ლექსს გულისხმობს, რომ ლექსები მარტო იდეები როდია. რაძდენია გამართულ, ჯანსაღ იდეებზე დაწერილი ლექსი, მაგრამ მაღალმხატვრულ ფორმას მოკლებული, ფაქტიურად ლექსი კი არა გარითმული სენტენცია, დიდაქტიკა, ლოზუნგი ან უბრალოდ რაიმე ბანალური ამბის გადმოცემაა. ნაღალიდეური ლექსი მაშინ რჩება ლექსად, როცა იგი მხატვრულ მარგალიტადაა ჩაბოსტნილი. რთული და წინააღმდეგობებით სავსე მე-20 საუკუნის პოეზია ძოითხოვდა ლექსის „გაკეთილშობილებას“, განსაკუთრებით ძალმხატვრულ ფორმას, რაშიც გარკვეული წვლილი შეიტანეს სიმბოლისტებმაც. ისე რაც სიმბოლისტებმა მემკვიდრეობით დატოვეს — ტრადიციული შაბლონების დაძლევა, ახლის ძიება, ფაროული სინამდვილის აღმოჩენა,

ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი რესურსების შექმნა, არაცნობიერის და უცნობის სფეროში გაბედული შეჭრა, ლექსის ლირიკული ტევადობის ზრდა, ძოუ-ლოდნელობა, უცაბედობით სიურპრიზი — გაოცება, ლექსის იუველირული გამართვა, მელოდიურობა, ახალ ფილოსოფიურ საფუძველზე, ახალ საწყისებზე სავალდებულო გახდა მე-20 საუკუნის პოეზიისათვის.

მეტად საინტერესო პრობლემაა დაყენებული ნარკვევში „მართლის“ თქმის პრინციპი და დავით გურამიშვილი“. „მართლის“ თქმის პრინციპი, იგივე მიმესის პრობლემა, ესთეტიკური აზროვნების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა და მასზე ბევრი რამ დაიწერა. მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს კარდინალური საკითხი ჯერ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს. ნარკვევის ავტორი მიმართავს ქართველ აგიოგრაფთა მემკვიდრეობას და მათ ძირითად პრინციპს — აესახათ ქართველ მარტვილთა ცხოვრება, ქართული სინამდვილიდან აელოთ მასალა, იგი ხსნის იმით, რომ „ისინი უსაფუძვლოდ როდი ფიქრობდნენ, რომ ცოცხალი მაგალითი, რეალური ამბავი უფრო ეფექტური იქნებოდა, გაცილებით ძლიერ ზეგავლენას მოახდენდა მკითხველსა და მსმენელზე, ვიდრე გამონაგონი და შეთხზული“. „აი ამიტომ ჩვენი აგიოგრაფი მწერლები არა მარტო ქართულ სინამდვილეს ასახავდნენ, არამედ ამასთან ერთად **რეალურ ამბავსაც** მოგვითხრობდნენ და **რეალური ადამიანების** ცხოვრებას აგვიწერდნენ. „ასეა გაგებული „უტყუელობის“ ანუ რეალობის პრინციპი, ამბის „სიმართლე“. მაგრამ ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას. არა მგონი ეკლესიის მესვეურები შეშფოთებული ყოფილიყვნენ იმით, რომ ბიბლიის „შეთხზულ ამბავში“ მორწმუნეები ეჭვს შეიტანდნენ და არ ირწმუნებდნენ მის „უტყუელობას“, ამბის „სიმართლეს“. პირიქით, თეოლოგიის ამოსავალი პუნქტი იყო იმის ქადაგება, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება ბიბლიაა, ყოველივე სხვა, რა რეალურიც არ უნდა იყოს იგი, არანამდვილი, მოჩვენებითია. საქმე იმაშია, რომ ყოველ ეროვნულ ქრისტიანულ ეკლესიას თავისი ეროვნული მარტიროლოგები სჭირდებოდა და, რა თქმა უნდა, ეროვნულ ქრისტიან წვალებულთა ცხოვრების აღწერა ხდებოდა ქრისტიანობის განმტკიცებისა და გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით. თანაც აგიოგრაფებს მიაჩნდათ, რომ „ჭეშმარიტების“, „უტყუელობის“ ძალას ღვთაება შთააგონებს მათ, ხოლო გონება „ულირსია“ ასახოს წმინდანის ცხოვრება: „აღვსწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობა, ჭეშმარიტი და უტყველი“,—წერდა იოანე საბანისძე. შემდგომ თანდათანობით ყალიბდებოდა „სულიერთა მამათა“ მიერ აგიოგრა-

ფების წერის მანერა და პრინციპები, რომლებიც სისტემაში მოიყვანა ბიზანტიელმა სიმეონ ვეტაფრასტმა (მე-10 საუკუნე), რომელმაც პანეგირიკული ხასიათი ძისცა აგიოგრაფიულ ჟანრს, რაც ტრადიციული გახდა. გიორგი მთაწმინდელი (XI საუკუნე) წერდა: „ჩვენ თავით თვისით არარა აღგვიწერიან, არამედ რა იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდმოთა“.

შუა საუკუნეების მანძილზე ქრისტიანულ სამყაროში სწორედ ამ „უტყუველის“ პრინციპზე დაყრდნობით ეკლესია სდევნიდა საერო პოეზიას არა იმდენად მისი „შეთხზულობის“, არაერეალურობის“ გამო, რამდენადაც მისი წარმართული, ჯანსაღი, ანტიასკეტური სულისკვეთების გამო (შეთხზულ საგმირო ეპოსში, ხალხურ მოთხრობებში არც ისე ძნელია უფრო რეალურის შემჩნევა, ვიდრე ეს აგიოგრაფიულ ჟანრში, მით უმეტეს ბიბლიაშია). სინამდვილეში აგიოგრაფიულ ჟანრს უფრო „ფაქტიოგრაფიულობის“ პრეტენზია ჰქონდა, რაც შეეხება „უტყუველობას“, ეკლესიისათვის „უტყუველია“ მთლიანად ქრისტიანული მითოლოგია. ასეთ ვითარებაში საერო პოეზიაში „შეთხზულ-გამოგონილი“ სიუჟეტის შექმნა დიდ გაბედულებას და, შეიძლება ითქვას, თავგანწირვასაც კი მოითხოვდა. ავტორიც სამართლიანად მიიჩნევს, რომ რუსთაველმა შექმნა „პირველი ქართული „შეთხზულ-გამოგონილი“ ნაწარმოები“, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა „უყოყმანოდ“, არა „აშკარად და უკომპრომისოდ“ უკუაგდო მთელი ექვსი საუკუნის მანძილზე მოქმედი და განუყოფლად გაბატონებული „რეალობის პრინციპი“.

ყველა გენიოსს ასე ემართება: ხშირად მასაც არ აქვს გააზრებული რა გრანდიოზულ შედევრს ქმნის, რა ძირფესვიანი გარდატეხა შეაქვს მხატვრულ აზროვნებაში. ასე ხელაღებით, „აშკარად და უკომპრომისოდ“ არ შეეძლო ხაზი გადაესვა ტრადიციისათვის გენიალურ პოეტს, რომელიც დანტე ალიგიერის მსგავსად, თუმცა გაცილებით ადრე, იდგა ორი დიდი ეპოქის, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის მიჯნაზე და ასე გენიალურად შეამზადა ქართული რენესანსი. განსაკუთრებით საგულისხმოა მკვლევარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსთაველმა შექმნა „პირველი ქართული „შეთხზულ-გამოგონილი“ ნაწარმოები, „რომელმაც გზა გაუკაფა, დიდ გზაზე გაიყვანა ქართული ლიტერატურა“, რაც ახლებურად აყენებს „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული შინაარსისა და

ქანრობრივი თავისებურების საკითხს.

დასასრულ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უფროსი თაობის გამობრძმედილი, დიდად ერუდირებული, პრინციპული კრიტიკოსის შ. ჭურიძის ყოველი ლიტერატურული წერილი თავისებური მოვლენაა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი ძხიშვნელობის ყოველი მისი ნარკვევი ახალ და ახალ აზრებს იწვევს და საქმიანი პოლემიკის საშუალებას იძლევა, რაც ჭეშმარიტი, ქმედითი კრიტიკის ერთ-ერთ ნაყოფიერ თვისებად, მის მამოძრავებელ ძალად მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. შ. ნიჭარაძე

უპირველესი მამუძიშვილური საქმე

მართლმეტყველება ადამიანის კულტურული დონის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. მაღალ საზოგადოებრივ შეგნებასთან ერთად საბჭოთა მოქალაქეს მოეთხოვება მეტყველების მაღალი კულტურა. ჩვენი საზოგადოების სოციალური და ტექნიკური პროგრესის განუწყვეტელი ზრდა გვიკარნახებს, რომ საბჭოთა მოქალაქემ ბავშვობიდანვე მიიღოს ფართო ჰუმანიტარული განათლება, რომელიც დაეხმარება მას, გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე, დაეუფლოს თანამედროვე კულტურის მთელ სიმდიდრეს, კაცობრიობის უდიდეს მონაპოვარს. ამიტომ მშობლიური ლიტერატურული მეტყველების, მშობლიური ენის ღრმად დაუფლება დღეს ყოველი მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. ადამიანი თავის აზრებსა და გრძნობებს ყველასათვის გასაგებ, სწორ, მკაფიო და მიმზიდველ ენობრივ ფორმებში უნდა აყალიბებდეს, ზედმიწევნით ფლობდეს სწორმეტყველების წესებსა და ოფიციალურად დადგენილ ენობრივ ნორმებს.

თავის დიდ მოწოდებას ენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე მხოლოდ იმის გამო ასრულებს, რომ იგი გასაგებია საზოგადოების ყველა წევრისათვის, მთელი ენობრივი კოლექტივისათვის. ენა ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. დიდი ილიას თქმით „ენა საზოგადო საკუთრებაა, ამ საკუთრებას კი მოვლა უნდა“. რაკი ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, თავისთავად იგულისხმება, მთელი საზოგადოება უვლიდეს, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდეს მას. ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მტკიცედ გატარება საერთო სახალხო, და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ამიტომ თვით სახელმწიფო კისრულობს მზრუნველობას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს კომპარტიის

ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული ენის ღირსებათა დაფასება ჩვენს რესპუბლიკაში კონსტიტუციური სტატუსით არის დაკანონებული.

მშობლიური ენის, დედაენის სიწმინდისათვის ბრძოლა, როგორც ცნობილია, კეთილისმყოფლად ვლინდება სალიტერატურო ენაში. ქართული სალიტერატურო ენა კი ერთიანია, იგი გაბატონებულია ჩვენს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, პრესაში. რადიომაუწყებლობა - ტელევიზიის უფართოეს ქსელში, კინო-ხელოვნებასა და თეატრებში. სალიტერატურო ენის ორი ძირითადი მხარე—ლექსიკური ფონდი, გრამატიკული წყობა და ფონეტიკური სისტემა დახვეწილი, მყარი და გამძლეა. მშობლიური ენა ზეპირთან ერთად წერილობითიცაა, ხოლო წერილობითი მეტყველება შედარებით სტაბილურია. მრავალი თაობის მონაწილეობით შექმნილი მისი ფორმები ნორმატულია, მათ მოხმარებას მტკიცე კონტროლი ეწევა და ისინი ადვილად არ ექვემდებარებიან ცალკეულ პირთა ნება-სურვილს.

ქართული სალიტერატურო ენა ჩვენს პირობებში მარტო სამწერლო კი არა, სალაპარაკო ენაც უნდა იყოს. განა შეიძლება დავუშვათ, როდესაც ზოგიერთმა კარგად იცის ქართული, ვთქვათ, საყოფაცხოვრებო-სასაუბრო სიტყვა-ტერმინები — ასანთი, ყუთი, ტომარა, ჩამბარა, ნათურა, საგზური, სარდაფი, მზარეული და მისთანანი, ან გამოთქმები თუ რთული სიტყვები: ნუშიანი (ნუშის) ნამცხვარი, გვირილების თაიგული, ბროლის ლარნაკი, შეფ-მზარეული, საქალაქთაშორისო, ამწე-ონკანი, ქვესადგური, ზეთიანი საღებავი, საწერი მაგიდა და მრავალი სხვ. წერით სწორედ ამ ფორმებს წერს, ხოლო ზეპირმეტყველებაში ხმარობს: სპიჩკა, იაშიკი, მეშოკი, პრუჟინა, ლამპოჩკა, პუტიოვკა, პადვალი, პოვარი და სხვ. ან გამოთქმებს თუ რთულ სიტყვებს: მინდალნი პეჩენიე, შეფ-პოვარი, მეჟდუგოროდნი, პადსტანცია, მასლიენნი კრასკა, პისმენი სტოლი და სხვ.

იცი, მკითხველო, ამგვარ დაუდევრობას რა სავალალო შედეგი მოსდევს, რა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს?! ბავშვები ხომ დედაენას ეცნობიან აკვანშივე, ოჯახში. ახლა ვიკითხოთ, ასეთი ამღვრეული მეტყველების გარემოში შეიძლება ლაპარაკი დედაენის სიწმინდეზე?!

მახსენდება, ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მოთავსებული ერთი

წერილიდან ბარბარიზმებითა და ჟარგონებით სავსე საუბარი, დიალოგის ფორმით. სტადიონიდან დაბრუნებული მაყურებლები „მსჯელობენ“:

— დღეს ჩვენებმა მაგრა გააპაზორეს „ლოკომოტივი“.

თანამოსაუბრე უპასუხებს:

— კაი შჩოთით მოვიგეთ. ეგეთი სლაჟენი თამაში დიდი ხანია არ ყოფილა.

— რას ამბობ, ტო, ნაპადენიე გლეჯაზე იყო!

— ზაშჩიტამ და პოლუზაშჩიტამაც კარგა ითამაშა.

— ის, ერთი რა ცუცურმა ბურთი გავიდა, ჰა!..

ასეთ „მარგალიტებს“ კი ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ. ბავშვები, ახალგაზრდები. რომლებიც ასეთი გულისამრევი მეტყველების მოწმენი არიან, ეჩვევიან არასწორ სიტყვა-თქმებს და შემდეგ დიდი დრო და ენერგიაა საჭირო მათი მეტყველების გასაფაქიზებლად და დასაწმენდად. ხშირ შემთხვევაში სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი ველარც კი ახერხებს სწორმეტყველების ჩვევების გამომუშავებას, უფრო ზუსტად — „გადამუშავებას“.

ოჯახში და საზოგადოებრივ ყოფითს გარემოში მიღებული არასწორი ენობრივი ჩვევები მოზარდს სიცოცხლის მთელ მანძილზე მიჰყვება.

დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ ამგვარი ჩვევების ამყოლნი ამახინჯებენ და დიდ ზიანს აყენებენ როგორც დედაენას, ისე თვით რუსულ ენასაც, იმ ენას, რომელსაც ასეთ პატივს სცემენ და სწავლობენ ჩვენი ქვეყნის ხალხები; სწავლობენ როგორც საბჭოთა ერების დამაკავშირებელ ქმედით საშუალებას და გონებრივ-ინტელექტუალური წინსვლის იარაღს, მშვიდობისა და მეგობრობის ენას მთელ მსოფლიოში.

გულგრილად როგორ უნდა მოისმინო ქართველი კაცის ნათქვამი „ლაფათქა“, რაც დამახინჯებული რუსული „лопатка“ ყოფილა თურმე. ანდა რაში წაადგება რუსულ ენას, ჩაის მწონავმა ისე დაამახინჯოს რუსული „скидка“, რომ ქართულ ენაში „სიტყა“ შეიჭრეს ხელთ.

იგივე შეიძლება ითქვას ბარბარისტული სიტყვა-თქმების — „სიმიჭკის“, „ქუხნის“, „გარცის“, „კასრულის“, „ფრუქტოვი სოკის“ და მრავალ სხვათა და სხვათა შესახებ.

ახლა ამ დადგენილებით უკვე შეიქმნა მტკიცე პირობები იმისა, რომ დავძებნოთ ოპტიმალური გზები, მოვიფიქროთ კონსტრუქციული წინადადებანი, განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიებანი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის შემდგომი ამაღლების, ქართული ენის შემდგომი დახვეწა-განვითარების, სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების ფართოდ დანერგვისა და მშობლიური კლასიკური ლიტერატურის ღრმად შესწავლისათვის.

ისმის კითხვა: სად უნდა დაეუ-

ფლოს ადამიანი სალიტერატურო ენას თეორიულად და პრაქტიკულად?

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა სკოლაში. მაგრამ, რა დასაშალავია, ბევრგან ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. დასამალავი არ არის არც ის, რომ ზოგიერთი მასწავლებლის პროფესიული დონე, ენის ცოდნა ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. „ლიტერატურნაია გაზეტას“ ერთ-ერთ წერილში (1974 წ. 30 იანვარი): „მასწავლებლის ავტორიტეტი: აშკარა და სადავო“ ხაზგასმითაა ნათქვამი: „მასწავლებელი უნდა იყოს ძალიან მაღალი საერთო კულტურის მქონე ადამიანი, მრავალმხრივ შინაარსიანი პიროვნება... ბავშვები ჩვენგან მოითხოვენ სწორედ ყველაფრის ცოდნას, მათთვის ეს ნაგულისხმევია თავისთავად თვით სიტყვა „მასწავლებელში“. რამდენი მასწავლებელი რამდენ მოსწავლეს ჩვენს დროშიც — პროფესიონალიზმის კულტის ხანაში გონებამახვილი მოსწავლის მოულოდნელ შეკითხვაზე დეტუქსვის ტონით მიუგებს: შენთვის ადრეა შეპასუხება, ისმინე და გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან. გაიზრდები, მაშინ შეგეძლება იდავო“.

ცნობილია, რომ მასწავლებელს შეუძლია შეაყვაროს ბავშვს საგანი. მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ თუ იგი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, შეაძულოს კიდეც. ასე რომ, ბევრი რამაა დამოკიდებული მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებაზე.

ქართული ენის სიწმინდისათვის მიზნობრივ ბრძოლას ხელს უშლის ისიც, რომ სკოლებში არ ხორციელდება საკმაო ღონისძიებანი ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასამკვიდრებლად. სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არა თუ არ ასწორებს მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, პირიქით, — ზოგჯერ თვითონაც სცოდავს. ამ სამწუხარო მოვლენის გამო ცნობილი პოეტი ანა კალანდაძე ალნიშნავდა: „მე ბარე ორჯერ დავსწრებივარ ისეთ გაკვეთილს, როდესაც მოსწავლეების სწორი პასუხები მასწავლებლებს შეცდომად ჩაუთვლიათ და სანაცვლოდ მცდარი აზრი მიუწოდებიათ. ორივე მასწავლებელს დამთავრებული ჰქონდა დაუსწრებელი განყოფილება“. („ლიტერატურული საქართველო“, 25.5 1979).

მახსენდება, ამ ექვსიოდე წლის წინ ერთ-ერთი სოფლის სკოლის მე-6 კლასში დავესწარი ქართული ენის მასწავლებელს გრამატიკის გაკვეთილზე. კლასში შესვლისთანავე (იგი წინ მიმიძღოდა) მასწავლებელმა მიმართა — „დაჯექითო“, და შეუდგა წინა მასალის გამოკითხვას:— რა გქონდათ, ბავშვებო, გაკვეთილად?

— რიცხვში მონაცვლე ზმნები. — იწყებს ერთ-ერთი მოსწავლე: მოიპოვება ერთი მნიშვნელობის

ზმნები, რომელთაგანაც ერთი მხოლობითში იხმარება, მეორე — მრავლობითში; მაგალითად: ვზივარ, ზიხარ, ზის — ვსხედვართ, სხედხართ, სხედან; დავჯედი... დაჯდა — დავსხედით, დასხედით.. კლასში შესვლისას კი მასწავლებელმა მიმართა დაჯექითო!

მსგავსი კურიოზული შემთხვევები, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია. ცხადია, ასეთი მასწავლებლის ხელში მოხვედრილ ბავშვებს ერთხელ მიღებული არასწორი ენობრივი ჩვევები სიცოცხლის მთელ მანძილზე მიჰყვება.

სახელოვანი მამულიშვილი, ცნობილი ქართველი მათემატიკოსი აკად. ვიქტორ კუპრაძე მათემატიკის საგანში გამოცდაზე მისულ სტუდენტს როგორც კი შენიშნავს, რომ ის მშობლიურ ქართულ მეტყველებაში ბორძიკობს, უშვებს ენობრივ ანომალიებს, გადაუხვევს ლიტერატურო ქართულის ნორმებს, მათემატიკაში შეფასების ნიშანს დაუკლებს. ზოგიერთს, შეიძლება, ეს პარადოქსად მოეჩვენოს კიდეც, მაგრამ თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, აქედან სულ ცოტა ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1. დედაენას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს ყველა პროფესიისა და რანგის ადამიანი; 2. ამ მაგალითით ჩვენი საზოგადოების უფართოესი მასები თვალნათლივ დარწმუნდებიან იმაში, რომ ვიქტორ კუპრაძე არამარტო დიდი მათემატიკოსია, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც. ამ საყოველთაოდ გახმაურებული ფაქტიდან განა არ უნდა გააკეთონ ჯეროვანი დასკვნა ყველა იმათ, რომლებიც დაინტერესებული არიან დედაენის ღირსებით, მისი სიწმინდის დაცვით?!

დიდი წარსულის მქონე ქართველი ერის, იაკობ ცურტაველისა და სწორუპოვარი რუსთაველის ენა და ლიტერატურა ნამდვილად ღირსია იმისა, რომ შეუნელებელი ყურადღებით იყოს გარემოსილი. ქართული ენის ღირსებასა და სიდიადეს დღეს მთელი კულტურული კაცობრიობა აღიარებს. მას დედამიწის ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში სწავლობენ არა მარტო პრაქტიკული მიზნებით, არამედ მეცნიერულ ასპექტში, ენათმეცნიერულ - ლიტერატურული თვალსაზრისით.

ქართულ და ქართველურ ენებს სწავლობდნენ და სწავლობენ უცხოელი სწავლულები და მკვლევარები: გერმანელი არტურ ლაისტი, ინგლისელი და-ძმა უორდროპი, ფრანგი მარი ბროსე, ავსტრიელი ენათმეცნიერები ჰუგო შუხართი, ფრიდრიხ მიულერი, რ. ბალაიხშტაინერი, გერმანელი რ. მეკელაინი, ბელგიელი პ. პეეტერსი, ამერიკელი ფილოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლეიკი, გერმანელი ენათმეცნიერი გ. დეეტერსი, ინგლისელი დევიდ ლენგი, უნგრელები მარტონ იშტვანოვიჩი და ლაიოშ ტარდი, ბასკური და ქართველური ენების ცნობილი

მკვლევარი რენე ლაფონი, ფრანგი პროფესორი ჟორჟ დიუმეზილი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი გერტრუდ პეჩი, ნორვეგიელი პროფესორი ჰანს ფოგტი, ინგლისელი ახალგაზრდა ქართველოლოგი ჯორჯ ჰიუიტი, ჩეხი იარომირ იედლიჩკა, პოლონელი იან ბრაუნი და სხვ.

სასიხარულო ფაქტია, რომ დასახელებულ ქართველოლოგ მკვლევართაგან ბევრი სხვადასხვა დროს სწვევია ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკასაც. ბევრს, ალბათ ახსოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინც ფენრიხის მოგზაურობა აჭარაში 1975 წლის ზაფხულში. მან მწერალთა კავშირში ქართულ ენაზე წაიკითხა მეტად საინტერესო ლექცია, ჩვენი მეგზურობით შემოიარა აჭარის მთიანი სოფლები, გამოვიდა აჭარის რადიოში, გამოაქვეყნა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი. და როცა ახალგაზრდა გერმანელი ქართველოლოგის ლექცია დარბაისლური ქართულით მოისმინა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ, მე თვალნათლივ ამოვიკითხე კანონიერი სიამაყის გრძნობა თითოეული მსმენელის სახეზე.

მართლაც, ვის არ ალაფრთოვანებს ყოველივე ეს, რომელ ქართველს არ დაეუფლება სიამაყის გრძნობა, როცა დედაენას, მშობლიურ ლიტერატურას უცხოელთაგან ასეთი აღიარება ხვდება წილად. მაგარმ ჩვენის მხრივ მარტო სიამაყის გრძნობით განმსჭვალვა, აღფრთოვანება, აღტაცება დედაენისა და მშობლიური ლიტერატურის დახვეწა-გაფაქიზების საქმეს დიდად ვერ შეეშველება. ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა ყოველდღიური ზრუნვის საგანია და მას არ უნდა მიეცეს კამპანიური ხასიათი, როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველების სიწმინდისათვის ბრძოლა არ შეიძლება იყოს დროგამოშვებითი, ერთდროული, დროებითი. ენა, როგორც ისტორიული კატეგორია, განუწყვეტლად ვითარდება, განიცდის ცვალებადობას; ცვლილება ერთ-ერთი ძირითადი კანონია ენისა. წარმოების განვითარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებანი ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში იწვევენ ცვლილებებს ენაში. ეს ცვლილებანი კი მჟღავნდება ენის ახალახალ მიღწევებში: ივსება ლექსიკური შემადგენლობა და იხვეწება გრამატიკული წყობა, რითაც იგი უფრო მოქნილი და სრულყოფილი ხდება. ენის განვითარება, გაუმჯობესება და სრულყოფა მიმდინარეობს საზოგადოების წინსვლის კვალდაკვალ, წინააღმდეგ შემთხვევაში ენა მოძველდება, ჩამორჩება პროგრესს და წარმატებით ველარ გაუწევს სამსახურს ხალხს, საზოგადოებას. სწორედ ამის საფუძველზე უნდა ავხსნათ მეტყველების კულტურის უაღრესად ისტორიული, ცვალებადი ხა-

სიათი, ენობრივი მეურნეობის ნორმალიზაციისათვის მუდმივი ზრუნვის აუცილებლობა, ლიტერატურულ-ნორმატიული მეტყველებიდან გადახვევის დაუშვებლობა: დასაგმობია და უკუსაგდები ის ინდიფერენტიზმი, რომელსაც იჩენს ქვენაგრძნობების კარნახით ზოგიერთი მოქალაქე — იქნება ის რიგითი მუშაკი, თუ თანამდებობის პირი.

ისმის კითხვა: აქვთ თუ არა შექმნილი ყოველგვარი პირობა ჩვენს ბავშვებს, მოზარდ თაობას სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში — გამოუმუშავდეთ მართლმეტყველების — ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ჩვევები? — არა.

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ ადამიანი სალიტერატურო ენას თეორიულად და პრაქტიკულად ძირითადად საშუალო სკოლაში უნდა დაეუფლოს. ენის გრამატიკის სისტემატური კურსი კი სასწავლო გეგმით მხოლოდ IV-VIII კლასებშია გათვალისწინებული. ასე რომ, ჩვენი ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა სამუდამოდ რჩება იმ ცოდნის ამარა, რაც მას მიუღია 3-4 წლის მანძილზე ქართულ ენაში თეორიული კურსის სახით. უმაღლეს სასწავლებლებში კი, გარდა ფილოლოგიის სპეციალობისა, დედაენისა და მშობლიური ლიტერატურის კურსი არც ერთ სპეციალობაზე არაა გათვალისწინებული. ახლა ვიკითხოთ, ყოველივე ეს სად უნდა შეიძინოს სტუდენტმა, ხვალინდელმა პედაგოგმა, თუ არა უმაღლეს სასწავლებელში?

სწორედ ამ მომენტს ითვალისწინებდა საქართველოს განათლების სამინისტრო, როცა მაშინდელი მინისტრის აკადემიკოს ვ. კუპრაძის ბრძანებით შემოღებულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტების ყველა ფაკულტეტზე მშობლიური ენის 60-საათიანი მოკლე კურსი. სტუდენტთა წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით კურსდამთავრებული სახელმწიფო გამოცდების წინ, განურჩევლად სპეციალობისა, ვალდებული იყო ჩაებარებინა გამოცდა საკონტროლო შემოწმებითი წერის სახით.

ამ აქტით მოწმდებოდა, თუ რამდენად ფლობდა მომავალი პედაგოგი **ზეპირი და წერითი** მეტყველების კულტურას, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. ამის გარეშე კურსდამთავრებული არ დაიშვებოდა სახელმწიფო გამოცდაზე. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიება სავსებით მართებული და დროული იყო. ბოლოს და ბოლოს პედაგოგმა, რა დისციპლინაც არ უნდა ასწავლიდეს იგი — ტექნიკურს, ჰუმანიტარულს თუ სხვას, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა იცოდეს ის ენა, რომელზედაც ასწავლის, ატარებს გაკვეთილს, აწვდის მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლებს და აფასებს მათ ცოდნას.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუტში ყველა ფაკულტეტზე შემოღებული იყო ქართული ენის პრაქტიკული კურსი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წერის კულტურის საკითხებს. სისტემატურად ტარდებოდა საკონტროლო შემოწმებითი წერა თავისუფალ თემებზე. ამით გამორიცხული იყო შპარგალკის გამოყენების შესაძლებლობა. ნაწერების გასწორების შემდეგ ლექტორი დაახარისხებდა დაშვებულ შეცდომებს და ჯგუფში ატარებდა კომენტირებულ საუბრებს წერაში დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

ქვემოთ წარმოვადგენთ იმხანად სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩატარებულ საკონტროლო წერაში სტუდენტთა მიერ დაშვებული ტიპიური შეცდომების ზოგიერთ ნიმუშს.

წერითი ნაშრომების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სტუდენტი ნაკლებად ზრუნავს სტილის დახვეწისათვის, ხმარობს პრიმიტიულ, გულუბრყვილო და ბუნდოვან გამოთქმებს, წერს ისე, რომ თვითონვე არ ესმის დაწერილის აზრი. აი მაგალითად, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტ ბ-ძის ნაშრომში თეთრზე შავად წერია: შემოდგომის მატერიალური კულტურით მდიდარი დღეები ემსახურება ადამიანის ესთეტიკურ გონებას"; „ბუნება სადაც წავალ, იქ დამყვება! ის მახალისებს და მიადვილებს ყოველგვარ დაბრკოლებას" — წერს იმავე ფაკულტეტის სტუდენტი ე-ია, ხოლო მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლ-ძე ასეთ აბდაუბდამდე მისულა: „მირჩევენ სწავლა გამეგრძელებია თბილისში და შევსულიყავ საინჟინროზე, მაგრამ მე ჩემი მიზანი დასახული ჯერ კიდევ 1949 წ., ჩემი სიტყვები მე უნდა შევიდე ბათუმის პ/ი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, დღესაც გულში მქონდა ჩარჩენილი და დღესაც მესმოდა ჩემი ხმა და აი..." ამ წინადადებაში (თუ შეიძლება ამას წინადადება შეერქვას!) თითქმის ყველა ტიპის შეცდომაა.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მცდარი ფორმით წერს საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს — „ჯამრთელობა" („ჯანთელობა", ასეც შემხვდა), „საშვალება", „ჩაგვიტარენ", „წასულარიენ", „ლავოიატი", „დავწეროდ", „ალბად" და სხვ.

გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთა ნაწერებში გვხვდება გამოთქმები: „ლუდის ფაბრიკა", „კოფეინის ფაბრიკა", „მეტეოლოროგიული სადგური" და სხვ.

„კარგათ იმიტომ ვერ დავწერე, — წერს იმავე ფაკულტეტის სტუდენტი ვ. ჯ-ძე, — რომ ჩემს შთაბეჭდილებებს არ დაემატა ქ. მოსკოვის შთაბეჭდილებები". თურმე, ნუ ვტყვით, იმის გამო, რომ საველე პრაქტიკის გავლისას სტუდენტს მოსკოვის ნახვა არ მოსწევია, ცუდად უნდა წერდეს!

სტუდენტ ხ-ს საკუთარი აზრის.

გადმოსაცემად საჭირო სიტყვების, გამოთქმებისა და გრამატიკული ფორმების დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევა არ მოჰყოლია საშუალო სკოლიდან, სამწუხაროდ, არც ინსტიტუტში შეუძენია იგი. აი, ამის სავალალო შედეგიც: „ივნისის თვეში, მაშინ როდესაც ჩვენს ქალაქ ბათუმში ტემპ. 23° და ხალხი ორმ აბრეშუმ-კაბებით არიან გამოწყობილი ჩვენ კი შალის ტანსაცმელში ვიდექით მყინვარზე“.

რა სახის შეცდომებს არ ნახავთ ამ ნაშრომებში. დავასახელოთ უფრო ტიპობრივი: „საბავშო“, „მშვენიერობა“, „გაჭივრება“, „ზილარიენ“, „რა გინდებიან“, „ყაზილარი“, „ელანძე“, „უჩერედი“, „ნამუშევარა“, „თავდაბალი“, „წასვლის-თანავე“, „ბატონყმური“, „წლეებში“, „ავღნიშნე“ და სხვ.

რა თქმა უნდა, ზემოდასახელებულ სტუდენტებს არ ამართლებს ის გარემოება, რომ ისინი ფილოლოგიის სპეციალობაზე არ სწავლობენ და უშუალოდ არ ემზადებიან ამ დარგის სპეციალისტებად. მაგრამ, თუ მათ რაღაც „საბუთი“ მოჰყავთ თავის გასამართლებლად, რაღა უნდა თქვან იმათ, ვინც არა თუ თვითონ არ უნდა დაუშვან ენობრივი შეცდომები, არამედ მალე სხვებს უნდა ასწავლონ მსგავსი შეცდომებისა და ხარვეზების აღმოფხვრის გზები?!

სამწუხაროდ, ფილოლოგიის ფაკულტეტზეც აღმოჩნდნენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც მიღებულ თეორიულ ცოდნას ყოველმხრივ ვერ იყენებენ პრაქტიკაში.

არ შეიძლება სტუდენტმა ლ. მ-მ, რომელსაც გრამატიკის ძირითადი კურსი მოუსმენია, ვერ დაასაბუთოს ქვემომოყვანილი სიტყვებისა და გამოთქმების მცდარობა, მაგრამ რატომღაც მის ნაშრომში მაინც ვხვდებით სალიტერატურო ქართულის ნორმებიდან გადახვევის შემთხვევებს. ის წერს: „სიმწიფის ადესტატი“, „ამღზდელი“, „მეოზდაოთხე“, „სმეტანა“, „სილიოტკა“, „კაფჩონკა“ „კრანტი“... „ხალხი უკმაყოფილო დარჩენ“ და სხვ.

ცნობილია, ნაწერი ადამიანის წერითი კულტურის, და, საზოგადოდ მეტყველების კულტურის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. მან უნდა გამოავლინოს საწერ თემასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, თანმიმდევრული ლოგიკური მსჯელობისა და მართებული დასკვნების გამოტანის უნარი. ძნელია მკაფიოდ გადმოსცე ის, რაც საფუძვლიანად არ იცი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი შ-ა „ვეფხისტყაოსნიდან“ დამახინჯებულად გადმოგვცემს ერთ-ერთ აფორისტულ სტროფს: „ის (რუსთაველი) არ უმღერის წუთიერ გატაცებას, რომელსაც დღეს ერთი უნდა ხვალე სხვა“. ამ უაზრო (არასწორი კონსტრუქციის) წინადადებით გამოდის, რომ წუთიერი სიყვარულით შეპყრობილი ყოფილა

„გატაცება“ და არა ზოგიერთი მიჯნური, რომელსაც „დღეს ერთი უნდა ხვალე სხვა“...

ფაქტობრივი მასალის უცოდინარობას ამჟღავნებს აგრეთვე ჯ-ა, როცა წერს: „მეგობარი მეგობრის სიყვარულს უნდა გაეგოს მზად (უნდა იყოს — გზად) და ხიდად“. ანდა „სიყვარული (უნდა იყოს— მიჯნურობა) არის ძნელი (უნდა იყოს — ტურფა), საცოდნელად ძნელი გვარი... და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველა სპეციალობაზე ქართული ენის პრაქტიკული კურსის შემოღებამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. რამდენიმე წლის შემდეგ რატომღაც ეს წესი სავალდებულოდ აღარ მიიჩნიეს და სასწავლო გეგმიდან ამოიღეს. ასეთი ნაბიჯის გადადგმა თუნდაც იმიტომ მიგვაჩნია გაუმართლებლად, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამით გათვალისწინებულია გამოცდები ქართულ ენაში (წერის სახით) ყველა სპეციალობაზე.

ახალი დადგენილებით ქართული ენის პრაქტიკული კურსის სწავლება გათვალისწინებულია ინსტიტუტის ყველა სპეციალობაზე. ამით გაიზრდება უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების ხარისხისათვის, გაძლიერდება მოთხოვნელობა სტუდენტობისადმი, მათი პროფესიული მომზადებისადმი სრულყოფისათვის.

აქვე გვინდა შევჩერდეთ ერთ მტკივნეულ საკითხზე, სახელდობრ იმაზე, თუ როგორ დგას ქართული ენის სწავლებისა და შესწავლის საკითხი პედაგოგიურ ინსტიტუტებში — ფილოლოგიის სპეციალობაზე.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართული ენა და ქართული ლიტერატურა ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის მაპროფილებელ საგნებად ითვლება. მომავალი ფილოლოგის, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული დაოსტატება სწორედ ამ საგნებში ხდება. ოფიციალურად ეს დიპლომით არის ნაგულისხმევი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა უნდა შემოიფარგლოს ამოცანით — ისე შეასწავლოს ბავშვებს მშობლიური ენა და ლიტერატურა, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ძირითადად ფლობდეს ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურას. ნამდვილად კი ბევრ შემთხვევაში თვით მასწავლებელი ვერ ფლობს საფუძვლიანად მართლმეტყველებისა და განსაკუთრებით მართლწერის წესებსა და ნორმებს. ამის შედეგია, რომ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია გამართულად წერა, საკუთარი აზრის გადმოცემა. უჭირთ წაკითხულის ან განცდი-

ლის მწყობრად. ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა. ცოტას კითხულობენ, თუნდაც მხატვრულ ლიტერატურას, არ იციან ლიტერატურის გამოყენება, ძალზე ღარიბია ზოგიერთი სტუდენტის პირადი ბიბლიოთეკა. ამ სამიოდე წლის წინ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე იწერებოდა, რომ ჩვენი ახალგაზრდები გაცილებით ცოტას კითხულობენ, **ვიდრე მათი წინამორბედნი**, თუნდაც ორმოცდაათიანი წლებისა. მართლაც, მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში — კინოთი, რადიოთი, ტელეხედვით, მუსიკით, სპორტითა და ინფორმაციის ათასგვარი სხვა წყაროებითა და გასართობებით განებივრებული ახალგაზრდობა წიგნს გულგრილად ეკიდება, კლასგარეშე კითხვისათვის განკუთვნილი დრო ინფორმაციების წყაროებმა შთანთქეს.

აი, შემოდის ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში. აბიტურიენტს ეკითხებიან: გვესაუბრეთ მწერლის შემოქმედებაზე, ან ვთქვათ, რას იტყვით აკაკის პატრიოტულ ლირიკაზე. საშუალო სკოლაში სავალდებულო ტექსტი ყველა აბიტურიენტს როდი წაუკითხავს. საუბრობს პოეზიაზე და ლექსი არ იცის. უშპარგალკოდ უჭირს საგამოცდო თხზულების ან თავისუფალ თემაზე წერა. სამწუხაროდ, შეინიშნება, რომ ამ ბოლო ხანებში თავისუფალ თემამაზე თითქმის არავინ წერს. ნამდვილად დამაფიქრებელია ეს ფაქტი!

პედაგოგიურ ინსტიტუტში კი ისეა მოწყობილი სწავლება, ისეა შედგენილი სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომ პრაქტიკულად წერას არ ასწავლიან. ჩვენ არ გვაქვს საშუალება რამდენადმე ამოვავსოთ ის ხარვეზი, რაც აბიტურიენტს საშუალო სკოლიდან მოყვა. საკურსო შრომები და კოლოკვიუმები საქმეს ვერ შველის. როგორ იწერება უმეტესწილად საკონტროლო და საკურსო სამუშაოები, ეს კარგად იციან, როგორც ლექტორებმა, ისე, მით უმეტეს, სტუდენტებმა.

საქმე იმაშია, რომ მომავალმა ფილოლოგმა თეორიულად თითქოს ყველაფერი იცის — ანომალია, დისიმილაცია, ინვერსია, კონვერსია... გაარჩევს არა თუ მარტივ, რთული კონსტრუქციის წინადადებას, ზერთულსაც კი, წერა კი არ იცის. გრამატიკული კატეგორიების ცოდნას წერაში ოდნავადაც ვერ იყენებს.

საოცარი კურიოზების მოწმენი ვხვდებით აბიტურიენტთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა წერითი შრომების განხილვისას. სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც ხელიდან ხელში გადადის დაშტამპული თემები. თუ შეძლო მოსწავლემ, აბიტურიენტმა ამ თემების დაზეპირება, ხომ კარგი, თუ არა და ერთადერთ იმედს აბიტურიენტი ხედავს ვილაცის ნაცოდვილარ „ყოვლისშემძლე“ შპარგალკაში. წერის პროცესში კი შპარ-

გალკოსანი აბიტურიენტი შიშითაა შეპყრობილი, ღელავს, ჩქარობს, არავინ დამინახოს და არ „განმაარალოსო“. ამიტომ უშვებს კურიოზულ, სასაცილო შეცდომებს. მოვიტანთ ამის რამდენიმე მაგალითს: „ცის კიდობანზე მანათობელ ვარსკვლავივით გამოანათა გ. ლეონიძის პოეზიამ“. როგორ გგონიათ, ამ ფრაზის უკან მდგომი ახალგაზრდა ნორმალურ ვითარებაში ვითომ ვერ დაინახავდა განსხვავებას „ცის კიდობანსა“ და „ცის კაბადონს“ შორის?! ვიმეორებ, საქმე იმაშია, რომ შპარგალკის ტყვეობაში მყოფი აბიტურიენტი ვერ იაზრებს, რასაც იწერს შპარგალკიდან (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — „იხატავს“).

ზოგიერთი სტუდენტი ვისიმე ქება-დიდების გამომხატველი ეპითეტისათვის პათეტიკური იერის მისაცემად გატაცებულია მალალფარდოვანი, ბრჭყვიალა ფრაზებით. სტუდენტ თ. ლ-ს ნაშრომში წავაწყდით ასეთ ფრაზას: „რუსთაველი საერთაშორისო დიაგნოზის გენიალური პოეტია“.

ცხადია, ამ რიგის უზუსტობანი ალიქმება არა როგორც კალმის შეცდომა, არამედ როგორც უწიგნურობისა და უკულტურობის გამოვლენა. ანალოგიური შეცდომები განსაკუთრებით იმათ მოსდით, რომელთაც უცხოური წარმომავლობის სიტყვების (ამ შემთხვევაში „დიაპაზონის“ და „დიაგნოზის“) მნიშვნელობა არ ესმით.

წერით თხზულებაში „მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის“. ერთერთი აბიტურიენტი გვთავაზობს: „სამოქალაქო და სამამულო ომის წლებში მაშინ როცა ისინი (ახალგაზრდობა — შ. ნ.) სიკვდილსაც არ იშურებდნენ მშვიდობისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის, მაგრამ მათ სწამდათ (უნდა იყოს ახალგაზრდობას სწამდა შ. ნ.), რომ მომავალი მათი იქნებოდა“.

ამ შპარგალკისეულ წინადადებაში რომ ქართული ორთოგრაფიის ელემენტარული წესები არაა დაცული, ეს იმდენ გაკვირვებას არ იწვევს რამდენსაც ლოგიკურ-აზრობრივი კურიოზი: „ახალგაზრდობა სიკვდილსაც არ იშურებდნენ მშვიდობისათვის“.

„გამოცდილებამ ცხადყო, რომ ახალგაზრდობა რომელ თაობაშიც იზრდება, იმნაირი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, აქედან გამომდინარე სოციალისტურ საზოგადოებაში აღზრდილი ახალგაზრდა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სიამაყისა და ერთგულების გრძნობით აღჭურვილი, რომელსაც განაპირობებს ჩვენი საზოგადოებისადმი დაქვემდებარებული აზრდა“.

შეუძლებელია ამ ამონაწერს რომელიმე კუთხით კაცმა გაუკეთოს კომენტარი. ამიტომ ჩვენ ხაზი არსად არ გაგვისვამს შეცდომების დასახარისხებლად.

დროა, ბოლო მოეღოს ყოველგვარ შემფერხებელ ბარიერს, კერძოდ იმ მავნე შპარგალკომანიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგელიც ბოჭავს მოსწავლის, როვნებისა და მეტყველების სტუდენტის დამოუკიდებელი აზ- უნარს.

მლოცველთ დაათრობს სუნი საკმევლის
და ჩემი ლოცვით თრთიან ბაგენი,
მე მივაგენი ბუდეს ღმერთების,
მაგრამ თვით ღმერთებს ვერ მივაგენი

ეს სიტყვები ამოწერილია ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის ცისანა ანთაძის ლექსების კრებულიდან. ამ წერილის წერისას პოეტმა ეს წიგნი მომიტანა ბინაზე და კეთილი გულით მომიძღვნა. მისი თანდასწრებით რამდენიმე ადგილას გადავფურცლე წიგნი და ჩემი ყურადღება მიიპყრო აქა-იქ ავტორის მიერ მელნით ჩასწორებულმა ადგილმა. აქ მოტანილი სტროფის მეორე ტაეპში უყურადღებობის შედეგად „და ჩუმი ლოცვით თრთიან ბაგენი“-ს ნაცვლად დატმბულია „ჩემი ლოცვით“.. თუ რა ზიანი მოუტანა ლექსს და რა უსიამოვნება მიაყენა თვით ავტორს სიტყვა „ჩუმ“-ში „უ“ ასოს ადგილას „ე“-ს ჩაბეჭდვამ, ამას მკითხველი კარგად გაიგებს (სად ჩუმი ლოცვა და სად ჩემი ლოცვა!).

იმავე წიგნში ლექსის „პაოლო იაშვილის გარდაცვალების გამო“ ერთ-ერთი სტროფი ასეა დასტამბული:

არ ეკადრება ვაჟკაცის ხსოვნას
ცრემლდაქცეული, მოძმის ნუგეში...
არის თამადა, — „ჩხიკვაძე ნოე,
საქართველოში და დიდუბეში“.

მეორე ტაეპში „ცრემლდაქცეულის“ ადგილას უნდა იყოს „ცრემლდაქცეული“, და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

მახსენდება, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს საკურსო ნაშრომში „მოლიერის“ ნაცვლად „ლ“-„რ“ ასო-ბგერათა გადასმის (ფონეტიკოსები ამას მეტათეზისს უწოდებენ) შედეგად „მორიელი“ გამოუვიდა. თუმცა, ვთქვათ, გულახდილად, ამ შემთხვევაში ბგერათა შემთხვევით გადასმას კი არ ჰქონდა ადგილი, რის გამოც ზოგიერთი სტუდენტი მექანიკური შეცდომის მოტივირებით იმართლებს თავს, არამედ იმით, რომ სტუდენტისათვის „მორიელი“ უფრო ცნობილი იყო, ვინემ დიდი ფრანგი დრამატურგი მოლიერი.

არანაკლებ სავალალო და გულსატკენ შემთხვევებს ვხვდებით რეკლამების, ფირნიშების, განცხადებების, აფიშების, ტრანსპარანტების და იარლიყების გაფორმებისას, როცა აშკარად ირღვევა ქართული სალიტერატურო ენის დაკანონებული ნორმები.

ეს წერილი მე მინდა დავამთავრო ე. ა. შევარდნაძის სიტყვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამას წინათ საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკურ აქტივზე წარმოთქვა: „ენა ადამიანის მიერ შექმნილ ფენომენთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი და გენიალური ფენომენია. პატივი ვცეთ ხალხთა გენიის ამ გამოვლენას. საბჭოთა ერების ენები კომუნიზმის დიდ საქმეს ემსახურება“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ თანდილავა

ზოგი რამ შუამთობის დღესასწაულზე

ზემო აჭარის მკვიდრთა ტრადიციულ წესჩვეულებებში თვალსაჩინოა ხალხური დღესასწაული შუამთობა, რომელსაც ზოგიერთ ხეობაში მემხლიანობას (მენხლიანობას, მერხლიანობას) ან სეირანს უწოდებენ. ზაფხულში, ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში, სოფლად მყოფნი მასობრივად მიდიან მთებში, საზაფხულო საძოვრებზე, სადაც სეზონური საიალაღო მეურნეობის გაძღოლის მიზნით მენახირე-მწყემსები და მემთევრები იმყოფებიან. აქვეა მათი იაილა-აგარაკები, რჩებიან რამდენიმე დღეს, ეწყობა გართობა-ზეიმი, ლხინი და შემდეგ ბარიდან (სოფლიდან) ამოსულები ისევ ბარში ბრუნდებიან.

შუამთობის ტრადიციები გვხვდება აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის სოფლებში — ზოტსა და ჩხაკაურაში, რომელთა მცხოვრებლები ძირითადად ღორჯომის ხეობიდან არიან იქ გადასულნი. მათ შემორჩათ ზემოაჭარელთა საოჯახო და სამეურნეო ყოფისათვის ნიშანდობლივი ჩვეულებები.

ყველგან, სადაც შუამთობა იციან, ისტორიულად კარგად არის განვითარებული როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა და ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი მემთევრობის ინსტიტუტი, რომელიც ალპურ საძოვრებზე საქონლის მოვლასა და რძის პროდუქტების დამზადებაში ქალთა შრომის ორგანიზაციის ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს.

შუამთობის დღესასწაული მართო აჭარაში როდი იციან. ზაფხულში მთებზე სადღესასწაულოდ მასობრივი წასვლა შავშეთშიც დასტურდება საჯუმბუშოს, ჯუმბუშის სახელწოდებით. ნ. მარი წერდა: «В Импхреуле я остановился в доме шестиде-

сятилетнего старца, по фамилии Мосидзе Насиб-оглы Али-чауш... Мосидзе заявил, что сегодня (29 июля) масса женщин с мужьями отправлялись на кочевье для «джумбуща» (საჯუმბუშო), для прогулки. Я встретил, действительно, целые партии наездниц в белых чадрах... женщины эти останутся на горах три дня. Ходжи очень восстают против этого древнего... обычая. Они говорят, что на горах нет никакого «зиарета» (места поломничества, богомолия). Но народ упорствует, говоря, что таков их старинный обычай».[1]

შავშეთში შუამთობის ტრადიციების არსებობის შესახებ ნ. მარის ცნობას ავსებს აჭარაში შეკრებილი ზეპირსიტყვიერი მასალა. სხალთისა და მარითის ხეობების მკვიდრთა გადმოცემით, შავშეთის სოფლებიდან (იმფრხევი,[2] ივეთი, დიობანი) შუამთობის დროს ტრადიციისამებრ თავს იყრიდნენ ალპურ საძოვრებზე, ადიოდნენ მაღალ სერებზე და ზეიმობდნენ: იმართებოდა ცეკვა-თამაშობანი, სიმღერები...

შავშეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა და აჭარას ემეზობლება, ერთმანეთს ესაზღვრება მათი მთა-იალაღებიც. ამგვარი სიახლოვე წარსულში საშუალებას ქმნიდა ამ ორი მხარის ზოგიერთი ხეობის მცხოვრებლებს შუამთობაც კი ერთად ეზეიმათ.

არაა გამორიცხული შუამთობის ტრადიციების ძაფი გეოგრაფიულად უფრო შორსაც მიდიოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საინტერესო რეგიონში სოციალურ-კულტურული ტრადიციების შესწავლის საშუალება არ არსებობს. თუ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და მეცნიერული ლიტერატურის საფუძველზე ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შუამთობა ძირითადად თანამედროვე და ისტორიული საქართველოს სამხრეთ მხარეთა ყოფისათვის დამახასიათებელ აგრარულ დღესასწაულს წარმოადგენს და, მაშასადამე, იგი ქართულ ეთნოგრაფიულ ფარგლებში რჩება.

შუამთობის დღესასწაულის შესახებ ცნობები და ცალკეული მოსაზრება-განმარტებები გვხვდება ნ. მარის, სტ. მენთეშაშვილის, ჯ. ნოლაიდელის, ნ. ნიჟარაძის, ვ. შამილაძის, შ. ნიჟარაძისა და მ. ბექაიას ნაშრომებში. შუამთობას ცალკე წერილი უძღვნა ი. მეგრელიძემ — „მენხლიანობა აჭარაში“ (ჭოროხი, № 1. 1971). დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში მოტანილი ცნობები და მო-

---

1 Н Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, С-П. 1911, с. 45.

2 იმფრხევი უნდა იყოს იგივე იმფხრეული, რომელსაც ნ. მარი ასახელებს

საზრებანი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ შუამთობა-მემხლიანობის ტრადიციებზე.

რას წარმოადგენს შუამთობა? როგორია ამ დღესასწაულის გენეზისი და განვითარების გზები? რაში მდგომარეობს მისი თავდაპირველი არსი? რა ტრანსფორმაცია განიცადა შუამთობის დღესასწაულმა საზოგადოების სოციალურ - კულტურული განვითარების ხანგრძლივ გზაზე და როგორია იგი დღეს? აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დააფიქრებს როგორც შუამთობა-მემხლიანობით, ისე საერთოდ ხალხური შემოქმედებითი აზროვნებით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს.

ჩვენი წერილი თავისი მოცულობის გამო მიზნად არ ისახავს ზემოაღნიშნულ ყველა საკითხზე პასუხის გაცემას. შუამთობის დღესასწაულის პოზიტიური მხარეების ჩვენებისათვის აქ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

ზემო აჭარის სამეურნეო ცხოვრებაში მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ისტორიულად წამყვანი ადგილი უჭირავს და შუამთობა როგორც აგრარული დღესასწაული, მეურნეობის სწორედ ამ დარგებთანაა დაკავშირებული.

ზემო აჭარაში, სადაც ზაფხულობით საიალაღო მესაქონლეობა-მემთევრობას მისდევენ, შუამთობის ტრადიცია იმდენად მტკიცეა, რომ ივლისის ბოლოსათვის გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრება სავალდებულოდაა მიჩნეული. ამას ზოგიერთი სამუშაოც მოითხოვს. ამიტომ ყოველი მეურნე ცდილობს არ ჩამორჩეს თანასოფლელთა საერთო ნაბიჯებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთაზე წასვლა უარყოფით დღეს დააჩნევს მის მეურნეობას, და პირიქით მთაზე წაუსვლელობა დაარღვევს ოჯახის საზეიმო განწყობილებას.

შუამთობა-მემხლიანობის დღესასწაულზე წასვლა ყოველთვის კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. სოფელი, მეზობელი სოფლები თუ მთელი ხეობა სოფლის თავკაცების ხელმძღვანელობით დაადგენდნენ ხოლმე საღღესასწაულოდ მთაზე წასვლის დღეს, რომლის გადადების უფლება არავის ჰქონდა, თუ ცხოვრებისეული შემთხვევა ან მეტისმეტად მკაცრი ამინდი არ აიძულებდა.

შუამთობაზე წასვლა იწყებოდა არა უადრეს 25-28 ივლისისა. ზოგი ხეობისა თუ სოფლის მცხოვრებნი შედარებით გვიან მიდიოდნენ და, მაშასადამე, შესაბამისად გვიან დღესასწაულობდნენ. საერთოდ შუამთობა - მემხლიანობის დღესასწაულისათვის განსაზღვრული კალენდარული დღე დაწესებული არ იყო. რაც შეეხება საერთო დროს ანუ პერიოდს, სამეურნეო საქმიანობის გათვალისწინებით იგი საკმაოდ მკაცრად იყო დადგენილი: ივლისის ბოლო — აგვისტოს დასაწყისი. დროის

ეს მონაკვეთი ალბურ საძოვრებზე მესაქონლეობის სეზონის, სამეურნეო თვალსაზრისით მთაზე ყოფნის შუა პერიოდია და, აქედან გამომდინარე, ამ ხალხურ დღესასწაულსაც შუამთობა ეწოდება.

სადღესასწაულოდ მიემგზავრებოდა ქალი და კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, ვისაც ძალა შესწევდა და სიარული შეეძლო. მგზავრობდნენ როგორც ცხენებით, ისე ქვეითად. თითოეული ოჯახი ადრევე იჭერდა სამგზავრო თადარიგს და დათქმულ დღეს დილით ადრევე აჰყვებოდნენ მთის ბილიკებს. თან მიჰქონდათ სადღესასწაულოდ და საერთოდ მთაზე ყოფნის პერიოდში ოჯახისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე, რაც ბარში გააჩნდათ.

ინტერესს იწვევს შუამთობის ტრადიციებისადმი ღვთისმსახურთა დამოკიდებულება. ერთნი მიუთითებენ, რომ ხოჯა-მოლები არ დადიოდნენ შუამთობაზე, რადგან ცოდვად მიიჩნევდნენ მასში მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, ხალხს ვერ უკრძალავდნენ, იცოდნენ, არავინ დაუჯერებდა. მეორენი კი გადმოგვცემენ, რომ რელიგიის მსახურნი და მათი ოჯახების წევრები მიდიოდნენ შუამთობაზე ხალხთან ერთად, ზეიმსაც ესწრებოდნენ, მაგრამ უშუალოდ არ მონაწილეობდნენ.

შუამთობაზე რელიგიის მსახურთა წასვლა-დასწრება, ცხადია, საკმაოდ გვიანდელი მოვლენაა, იმდროინდელი, როცა ისინი, ნებით თუ უნებლიედ შეჰგუებიან ხალხში მტკიცედ ფესვებგადგმულ ტრადიციას. ისლამის რელიგიისათვის შუამთობა და მისი მსგავსი დღესასწაულები ყოვლად უცხოა. ბუნებრივია, წარმართობის პერიოდიდან მომდინარე ეს ტრადიციული დღესასწაული მუსლიმანობას დახვდა სამხრეთ საქართველოში და, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ნ. მარის ცნობა, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ.

შუამთობის დღესასწაულზე სპეციალურად იწვევდნენ ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ოსტატებს, მომღერალ-მოშაირეებს, პროფესიონალ მთქმელ - შემსრულებლებს, რომელთა ცოდნა-გამოცდილებაზე დიდად იყო დამოკიდებული დღესასწაულის საზეიმო განწყობილება. თან მიჰქონდათ საკრავიერი ინსტრუმენტები (დოლი, ჭიბონი, ჩონგური, საზი...). გუნდ-გუნდად მიმავალი ხალხი გზადაგზა შესვენებისას აწყობდა სხვადასხვა სახის გართობა-სანახაობას. ღორჯომის მკვიდრთა გადმოცემით, ღორჯომსა და ზოტიყელის იაილას შორის გზად ბოდიშის მთაზე ქალები ტრადიციისამებრ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენოსნობაში. ზოგიერთი ხეობის მკვიდრნი მიუთითებენ, რომ იაილებთან მიახლოვებისას ქალები სპეციალურად იკაზმებოდნენ. მაგალითად, სხალთის ხეობის სოფელ ვერნების იაილის მისადგომთან ერთ ადგილს ქალის

საკაზმავი ჰქვია. საშუამთობოდ მიმავალი ვერნებელი ქალები, თურმე, „აქ იკაზმებოდნენ და სახელიც ამიტომ დარქმევია ამ ადგილს“.

ბარიდან სადღესასწაულოდ მიმავალთა ანუ მემხლიანთა წინაშე იშლებოდა მთა-იაილები, მწვანით მოსილი საძოვრები, სერებზე შეფენილი ცხვრის ფარა თუ მსხვილფეხა საქონლის ნახირი, აქა-იქ მიმოფანტული თუ ალაგ-ალაგ ერთმანეთთან მიჯრილი ჯარგვალისებური და ფიცრული სახლიაილები, სუფთა ჰაერი და ანკარა ცივი წყაროები... მემთევრები და მენახირე-მწყემსები, ვისთანაც შეხვედრა აგრე ენატრებოდათ მემხლიანებს.

მემხლიანთა მოლოდინში მყოფი მემთევრ-მწყემსებიც ემზადებოდნენ სადღესასწაულოდ. ამზადებდნენ მრავალფეროვან და მსუყე კერძებს. ამაზეა ნათქვამი:

შუამთობა მოახლოვდა,
მწრიოთ ნაღებიო...

მამაკაცები თოფების სროლით და სიმღერა-ყიჟინით შედიოდნენ იაილა-აგარაკებში. მემთევრ-მწყემსებთან შეხვედრა-მოკითხვისა და დანაყრება-შესვენების შემდეგ იმავე დღეს იწყებოდა ზეიმი და ყოველდღიურად გვიან ღამემდე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდა ყველა, ვინც იმ დროს მთაზე იმყოფებოდა. მაგრამ საგულისხმოა, რომ მემთევრებსა და მენახირე-მწყემსებს მემხლიანი არ ეწოდებოდათ. მემხლიანი ერქვა მხოლოდ იმას, ვინც სადღესასწაულოდ ბარიდან სპეციალურად იყო ამოსული.

შუამთობის საზეიმო რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფოლკლორულ შემოქმედებას: გამაირებას, პოეტურ იმპროვიზაციას, გამოცანების თქმა-ამოხსნას, სიმღერებს, ცეკვა-თამაშობებსა და ა. შ. ასევე დიდი ადგილი ეჭირა ცხენოსნობასა და ჭიდაობას. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეზობელი სოფლები, ხეობები, იაილა-აგარაკები და ა. შ. ტრადიციულად იყო მიჩნეული შეჯიბრების მიზნით მომღერალ-მოშაირეებისა და მოჭიდავეთა მოწვევა ადიგენის, ახალციხისა და სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან. მათთვის ხალხი გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებდა. შავშეთიდან, თურმე, ყოველ შუამთობაზე მოწვევით ჩამოდიოდა ერთი ახალგაზრდა მომღერალი, რომლის პოეტური და მუსიკალური ოსტატობა ძველი თაობის წარმომადგენლებს დღემდე შერჩენიათ ტკბილ მოგონებად. ზემო აჭარაში ასევე დიდი სიყვარულით იხსენიებენ ცნობილ მეჭიბონე-მომღერალს ედემ სურმანიძეს (ქოჩახელას), რომლის მიწვევა შუამთობასა თუ ქორწილში ყოველთვის მოსწრებაზე იყო.

შეჯიბრების ხასიათი ეძლეოდა შაირობასა და გამოცანების თქმა-ამოხსნასაც. მასში მონაწილეობდნენ ღირსეული „მოწინააღმდეგენი“. მხარეთა შორის მუსიკა-

ლურ-პოეტური ტურნირი უალრესად დიდ ინტერესს ქმნიდა ხალხში. პოეტური პაექრობის მონაწილეთა რეპერტუარი ძირითადად სატრფიალო და სატირულ-იუმორისტულ ხასიათს ატარებდა. ექსპრომტული ლექს-სიმღერების შექმნასთან ერთად ტურნირზე დიდი ადგილი ეჭირა მუსიკალური და პოეტური ფოლკლორის ტრადიციულ ნიმუშებს.

შუამთობის დღესასწაული საუკეთესო საშუალებას ქმნიდა ქალვაჟთა გაცნობა-დაახლოებისა და პოეტური განწყობისათვის. ჯ. ნოლაიდელის ჩაწერილი მასალების მიხედვით, დიდაჭარის იაილისაკენ (ანუ ალმურისაკენ) მიმავალ გზაზე არის ერთი მინდორი, რომელსაც ჯავახის (ჯავახეთის) ჭალა ეწოდება. სადღესასწაულოდ ალმურის იაილაზე მიმავალი დიდაჭარელი მემხლიანები, თურმე, ტრადიციისამებრ ამ მინდორზე ისვენებდნენ ხოლმე. სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაბნული, ქოლგა-საჩრდილობლებს ამოფარებული და ჯავახის ჭალაზე ჭრელი პეპლებივით მოფენილი ქალებისათვის ვაჟებს ექსპრომტად ასე უმღერიათ:

ჯავახეთის კორდიანო,
მენხლიანი მოდიანო,
დედაბრები დაჟლეტილან.
გოგუები მორბიანო;
ალმურის კოხტა ქალები
გარეთ არ გამოდიანო.[3]

შუამთობის ზეიმში ცენტრალური ადგილი ეჭირა ხალხურ მასობრივ სანახაობებს: ცეკვა-თამაშობებსა და ხალხური დრამის გარკვეულ სახეობებს. ფართოდ სრულდებოდა: განდაგანა, ყოლსამა, ოჰოდნანა და სხვ. პოპულარული იყო აგრეთვე ე. წ. ფადიკო-ქოჩეგური, რომელიც ხალხური დრამის სახით იყო წარმოდგენილი და დიდი მხიარულება შეჰქონდა მაყურებლებში.

შუამთობის სადღესასწაულო რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აგრეთვე ხალხური დრამის ისეთ სახეობებს, როგორიცაა აქლემის შეკაზმვა და ზირიკობია.

ხალხური დრამის ზემოაღნიშნული სახეობები (განსაკუთრებით ფადიკო-ქოჩეგური) თავიანთი ფუნქციით და დამახასიათებელი დეტალებით ბერიკაობას ემსგავსება და ჩანს, რომ მჭიდროდაა დაკავშირებული შუამთობის, როგორც აგრარული დღესასწაულის, თავდაპირველ ფუნქციებთან.

შუამთობის დღესასწაულის გენეზისისა და ადრინდელი ხასიათის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის მკვიდრთა შეხედულებებს. 60-80 წლის ასაკში მყოფ ღორჯომელ მამაკაცთა ჯგუფი გვარწმუნებდა (1976 წელს), რომ მემხლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი. მამაკაცს მემხლიანი არ ეწოდება. მემხლიანობა, ისე როგორც მემთევრობა, ქალის საქმე-

3 ჯ. ნოლაიდელი, მენხლიანობა (ხელნაწერი), 1942, გვ. 2

კიდევ მეტი, ღორჯომელთა თქმით, ძველად მემხლიანობაზე ქალები მიდიოდნენ, წასვლის საკითხებსაც ქალები წყვეტდნენ, მამაკაცები მხოლოდ აცილებდნენ მათ. შუამთობაზე ანუ მემხლიანობაზე მიმავალ ქალთა ჯგუფს ახლობელი მამაკაცები აცილებდნენ. მათივე გადმოცემით, შუამთობას ძველად „მემხლიანობას“ (მენხლიანობას...) უწოდებდნენ, ხოლო ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიზნით ბარიდან (სოფლიდან) მთაზე წამსვლელს „მემხლიანი“ ანუ „მენხლიანი“ (მერხლიანი...) ერქვა, რაც შეეხება სახელწოდება „შუამთობას“, მათი აზრით, ეს „ახალი სიტყვაა“.

ღორჯომის მკვიდრთა შეხედულებანი საკმაოდ მტკიცეა, მათ სწორედ ასე სწამთ. იგივე მტკიცდება ზოტსა და ჩხაკაუბაშიც. მაგრამ საგულისხმოა, რომ აჭარის არცერთ სხვა სოფელსა თუ ხეობაში ღორჯომელთა ნათქვამი არ დასტურდება. მეზობელ სოფელ დიდაჭარაშიც კი, სადაც, მსგავსად ღორჯომელებისა, „შუამთობას“ მიიჩნევენ „ახალ სიტყვად“, მიუთითებენ, რომ მემხლიანობაზე (მემხლიანად) მიდიოდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები და ამ უკანასკნელთაც მემხლიანი (მენხლიანი...) ეწოდებოდათ. აქედან გამომდინარე, ღორჯომელთა შეხედულების სისწორეში შეიძლება ერთგვარი ეჭვი შეგვეტანა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო მეტს გვიმტკიცებენ: ღორჯომში ადრე არსებული წესის მიხედვით, ქალები სამენხლიანოდ ყოველთვის ცხენებით მიემგზავრებოდნენ, უცხენოდ ქალი მენხლიანად (მენხლიანობაზე) არ წავიდოდა, რადგან სირცხვილი იყო. მხედარ ქალთა ჯგუფს მამაკაცები ქვეითად (ან ცხენებით) მიუძღოდნენ და ასე მგზავრობდნენ, სანამ იაილას არ მიაღწევდნენ. თუ ცხენი ჭირდა, კაცის ქვეითად წასვლა სირცხვილად არ იყო მიჩნეული. ღორჯომელები ხუმრობით დასცინიან კიდეც ზოგიერთი ხეობის მცხოვრებთ, რომლებსაც, თურმე, ადრევე მიუვიწყებიათ მემხლიანობაზე ქალების ცხენებით წაყვანის წესი და სადღესასწაულოდ მიპატიჟებული საპატარძლოც კი ქვეითად მიჰყავდათ.

ღორჯომის ხეობის სოფლებში არსებული წესის თანახმად, რა შეძლებისაც არ უნდა ყოფილიყო ოჯახი, მამაკაცები ვალდებული იყვნენ შუამთობაზე წასასვლელად ქალები უზრუნველეყოთ ცხენებით. საქალებო ცხენები ლაზათიანი, მოხდენილი, კოხტა უნდა ყოფილიყო.

მამაკაცები ადრევე ზრუნავდნენ აგრეთვე ქალთა სადღესასწაულო მოთულობისათვის, ცდილობდნენ რაც შეიძლება ლამაზი საკაბეები შეეძინათ კუთხისათვის ტრადიციულ ფერთა გათვალისწინებით.

შუამთობის პერიოდში ქალებისადმი პატივისცემა-მორჩილების ტრადიცია კარგად ჩანს აგრეთვე ამ დღესასწაულზე საპატარძლოს

თუ პატარძლის (დედოფლის) მიპატიჟების წესში, რაც წითელი ზოლივით გასდევს შუამთობის წესჩვეულებათა მთელ ციკლს და დღესაც კარგად შეინიშნება მთელ ზემო აჭარაში. სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახებს შორის წინასწარი მოლაპარაკების გზით წყდებოდა შუამთობაზე მიპატიჟებული საპატარძლოს თანმხლებ ქალთა რაოდენობა. დადგენილ დღეს სასიძოს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს მიჰგვრიდა მოკაზმულ ცხენებს, რომელთა შორის „დედოფლის ცხენი“ აუცილებლად თეთრი ფერის, ყველასაგან გამორჩეული, სპეციალურად მოკაზმული, მორთულ-აკაკბული უნდა ყოფილიყო. წესით, ცხენების მიგვრა ევალებოდა სამამთილოს ან მაზლს, რომელიც ქვეითად უნდა გაძღოლოდა „დედოფლის ცხენს“ და მთელ ამალას, სანამ იაილას არ მიაღწევდნენ.

შუამთობის მონაწილეთა შორის წინა პლანზე ქალები ჩანან. მარის ცნობაშიც („Масса женщин с мужьями отправлялись на качьеве для джумбуша“), რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნათქვამი: „Масса женщин с мужьями“. აშკარაა, რომ შავშეთშიც საჯუმბუშოდ მიმავალი მამაკაცები (ქმრები) ქალთა გამცილებლები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნ. მარი იტყოდა: Масса женщин и мужщин.

ამრიგად, ღორჯომელთა კატეგორიული მტკიცება — ძველად მემხლიანობაზე ქალები მიდიოდნენ, „მემხლიანიც“ ქალებს ეწოდებოდათ და ამ დღესასწაულის საკითხებსაც ქალები წყვეტდნენო — უთუოდ ანგარიშგასაწევია. ღორჯომელთა შეხედულებას მხარს უჭერს ტერმინ „მემხლიანის“ ინტერპრეტაციაც.

* * *

შუამთობის დღესასწაულის აღმნიშვნელად დასტურდება ტერმინები: შუამთობა (შუანთობა, შუანთევრობა); მემხლიანობა (მენხლიანობა, მერხლიანობა, მეხლიანობა, მეხრიანობა, მენღლიანობა, მემხლიობა, მენხლიობა, მიმხლიანობა, მიმხლიობა, ნახლიობა; სეირანი (სეირანგი, სეირანობა, სეირობა); საჯუმბუშო და ფერხულობა.

„სეირანისა“ და „საჯუმბუშოს“ უცხო ენობრივი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. „სეირანი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა (არაბ. „სეირ“; სპ. „სეირან“) და ნიშნავს სანახაობას, გართობა-სეირნობას, სეირს, კარნავალს. ასეთივე მნიშვნელობისაა სპარსულიდან მომდინარე „საჯუმბუშო“ (სპ. „ჯუმბუშ“). „სეირანი“ და „საჯუმბუშო“ (ჯუმბუშ-ი) საკმაოდ ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. არც არაბულსა და არც სპარსულ ენებში ამ ტერმინებს რომელიმე კონკრეტული დღეობა-ჩვეულების თუ დღესასწაულის აღნიშვნა არ აკისრია. ასეთივე ფა-

ჩთო გაგებით იხმარება ეს ტერმინები თურქულში.

ტერმინი „სეირი“ ფართო გაგებით იხმარება აგრეთვე ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, მათ შორის აჭარულ კილოშიც. მაგრამ სხალთის ხეობასა (შუახევის რაიონი) და მის მომიჯნავე ზოგიერთ სოფელში „სეირანი“ (სეირი) კონკრეტული დღესასწაულის სახელწოდებად ქცეულა და „შუამთობის“ ანუ „მემხლიანობის“ სინონიმად გვევლინება, ისე როგორც შავშეთში „საჯუმბუშო“ (ჯუმბუშ-ი). რაც შეეხება „სეირანგს“, იგი „სეირანის“ დიალექტური ფორმაა.

„ფერხულობა“ შუამთობის დღესასწაულის სახელწოდებად მხოლოდ ერთხელ იქნა დამოწმებული, რის გამოც შეიძლება იგი შემთხვევით მოვლენად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შუამთობის რეპერტუარში საფერხულო სანახაობათა ადგილს და ამ თამაშობათა სემანტიკურ კავშირს შუამთობის თავდაპირველ არსთან, ტერმინი „ფერხულობა“ ამ დღესასწაულისათვის შეუსაბამო არ იქნება. შემდგომი კვლევა-ძიებისას იგი შეიძლება დადასტურდეს.

„შუამთობა“ კომპოზიტი სახელია (შუა-მთა-ობა → შუამთობა). იგი შინაარსობრივად მტკიცე კავშირშია ალპური მესაქონლეობის სეზონის შუა პერიოდთან.

მიწათმოქმედთა, მენახირე-მწყემსთა და მემთევრთა საერთო დღეობა-ჩვეულების აღმნიშვნელი ტერმინი „შუამთობა“ ამავე დღეობის სახელწოდებათა შორის ყველაზე პოპულარული ტერმინია დღეს.

„მემხლიანობა“ — „მემხლიანს“ უპირატესობას ანიჭებენ, ძირითადად, ხულოს რაიონის ღორჯომ-დიდაჭარისა და რიყეთ-დანისპარაულის უბნების მკვიდრნი, ასევე ჩოხატაურის რაიონის სოფლების ზოტისა და ჩხაკაურას მცხოვრებლები.

„შუანთობა“ სახენაცვალი ფორმაა „შუამთობისა“, ხოლო „შუამთევრობა“ და „შუანთევრობა“ ნაწარმოებია „მემთევრეობა“—„მენთევრობის“ ანალოგიით. გვაქვს თანხმოვანთა მონაცვლეობა მ→ნ, რაც აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენაა (შდრ. უმცროსი → უნცროსი).

ფართო ინტერესს იწვევს ტერმინი „მემხლიანობა“, რომელიც ფონეტიკურად განსხვავებული ფორმითაც გვხვდება: მენხლიანობა, მერხლიანობა, მეხლიანობა, მეხრიანობა, მენღლიანობა, მემხლიობა, მენხლიობა, მიმხლიობა, მიმხლიანობა, ნახლიობა.

„მემხლიანობას“ ზოგჯერ მემხლიანი (მენხლიანი, მერხლიანი...) ენაცვლება. იტყვიან, ხოლმე, „მემხლიანი დაიწყოო“, ე. ი. შუამთობა დაიწყოო, თუმცა, როგორც წესი, „მემხლიანობა“ ტრადიციული დღეობა-დღესასწაულის სახელწოდებაა, ხოლო „მემხლიანი“ ჰქვია ამავე დღეობის მონაწილეს, მაგრამ არა ყველას, არამედ მხოლოდ იმას, ვინც ბარიდან მთაზე

სპეციალურადაა ამოსული სადღესასწაულოდ. მწყემს-მემთევრებს, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში ალპურ საძოვრებზე იმყოფებიან, შუამთობის დღესასწაულში მონაწილეობის მიუხედავად „მემხლიანი“ არ ეწოდებათ.

„მემხლიანობა“ ნაწარმოები სიტყვაა. მასში ადვილად გამოიყოფა სუფიქსი-ობა, რის შემდეგაც გვრჩება პირველადი სახელი „მემხლიან“-ი.

მრავალფეროვანი ფონეტიკური ფორმების მოშველიებით „მემხლიანის“ (მენხლიანის) ეტიმოლოგიური ახსნის პირველი ცდა ი. მეგრელიძეს ეკუთვნის. მისი აზრით, მეხრიანი-მენხრიანი ეტიმოლოგიურად „შეიძლება დავუკავშიროთ ტერმინ მეხარე-მეხრეს, არა მხოლოდ ხარების, არამედ ტერმინის ფართო მნიშვნელობით — საერთოდ მწყემსს, — მენახირეს. მაგრამ მაშინაც დაისმის კითხვა: მეხრიანი — მენხრიანი როგორ შეიცვალა მენხლიანად?

მეორე მხრივ, ძველ ქართულში ცნობილია ტერმინი „მემხრენი (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა, გვ. XVI), რომელიც მხარით — მხრივ, ვვერდით მდგომთ, თანამომღერლებს ალნიშნავს. სემანტიკურად ეს შეეფერება გართობას, სეირანს და სეირს, მაგრამ ფონეტიკურად აქაც ძნელი ასახსნელია. თუ ეს ასეა, როგორ მოხდა, რომ მემხრენი შეიცვალა მემხლიანად?!

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მენხლიანი მიმღეობა მხლებელ ფორმისაგან იყოს ნაწარმოები, მაგრამ ესეც დასადგენია“.[4]

„მემხლიანის“ ეტიმოლოგიისათვის „მეხრიანი - „მენხრიანის“ დაკავშირება „მეხრესთან“, თუნდაც ტერმინის ფართო გაგებით, მყარი არ ჩანს. არც „მემხრე-მემხრენი“ უნდა შეესატყვისებოდეს „მეხრიანს“ (მენხლიანს). ი. მეგრელიძე თვითონვე გამოთქვამს ეჭვს ამ მოსაზრებების მიმართ და თითქოს უარყოფს კიდეც.

რეალური ჩანს „მენხლიანის“ დაკავშირება „მხლებელ“ ფორმასთან, მაგრამ, როგორც მკვლევარი მიუთითებს, ესეც დასადგენია.

თუ „მემხლიანი“ — „მენხლიანი“ მხლებელს გულისხმობს, საკითხავია. ვინ შეიძლება იყოს ეს მხელებელი და ვისი მხლებელია იგი?

მიმღეობა „მხლებელ“-ის ამოსავალი ფორმაა ხლება, რომელსაც ვინმესთან მისვლის მნიშვნელობაც გააჩნია. თუ ბარიდან მთებზე, საზაფხულო საძოვრებზე სადღესასწაულოდ მასობრივ წასვლას და მწყემს-მემთევრებთან მისვლას ხლებად მივიჩნევთ, ადვილად გასაგები იქნება, რომ „მხლებელი“ ითქმის ბარიდან ამოსულთა მიმართ. ამგვარ გააზრებას მხარს უჭერს ხალხური შეხე-

---

4 ი. მეგრელიძე, მენხლიანობა აჭარაში, „ჭოროხი“, № 1, 1971, გვ. 82-83

დულებაც, რომლის მიხედვით „მემხლიანი“ მხოლოდ და მხოლოდ იმ პირს ეწოდება, ვინც მასობრივ ღლეობაში მონაწილეობის მიზნით საზაფხულო საძოვრებს ეწვევა.

„მემხლიანის“ ამგვარი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია თითქოს ლოგიკური ჩანს, მაგრამ იგი სერიოზულ წინააღმდეგობას ხვდება საკუთრივ ტერმინის მორფოლოგიური ანალიზის დროს.

„მემხლიანის“ მორფოლოგიური შედგენილობა ასეთია: მე-მ-ხლ-იან-ი. ხლ კომპლექსი ძირეული ნაწილია. პრეფიქსი მ-მიმღეობის მაწარმოებელი ჩანს და მიგვანიშნებს, რომ „მემხლიან“-ში უნდა გვქონოდა „მხლებელ“-ის მოკლე ფორმა მხლე, რომელიც პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისაა (მ-ხლ-ე).

მიმღეობის ასეთი ფორმა თითქოს უჩვეულოა, მაგრამ როგორც ცნობილია, იგი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი იყო. „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებში გვხვდება მიმღეობები: მჭამე (ნაცვლად „მჭამელისა), მჩქეფე (ნაცვლად „მომგებელ“-ისა), მზიარე (ნაცვლად „მზიარებელ“-ისა) და მრავალი სხვ. -ე სუფიქსი მიმღეობის საწარმოებლად ქართულს ძველთაგანვე ახასიათებს. განსაკუთრებით პროდუქციულია მისი გამოყენება მ-, მ-ე, მე-, მო- პრეფიქსებთან ერთად“.[5]

ანალოგიური ფორმების მოტანა უხვად შეიძლება, მაგრამ „მხლე“-ს კანონზომიერების დასტურად ესეც კმარა.

„მემხლიან“-ში მიმღეობის მაწარმოებელია, აგრეთვე, პრეფიქსი მე-და, ამრიგად, გვაქვს მიმღეობის ორმაგი წარმოება მემხლე (მე-მ-ხლ-ე). მსგავსი მოვლენა აჭარულ დიალექტშივე დასტურდება. მაგალითად, ზემოაჭარულში გვხვდება ტერმინი ნახველობა (ნახვ-ელ-ობა), რომელსაც ნიშნობის გაგებაც აქვს. ბოხჩის წაღებას ამჟამად „ნიშნობას“ უწოდებენ, წინათ კი „ნახველობას“ ეძახდნენ. ხოლო ნახველობის მონაწილეს, ე. ი. ნახველობაზე წამსვლელს ნახველი (ნახვ-ელ-ი) ერქვა.

მიმღეობა ნახველი იგივეა, რაც მნახველი (მ-ნახვ-ელ-ი. შდრ.: დომელი ← მდომელი; ჭამელი ← მჭამელი; თხოვნელი ← მთხოვნელი...).

„ნახველის“ პარალელურად იხმარება ორმაგად ნაწარმოები მიმღეობა მენახველე (მე-ნახვ-ელ-ე) ანუ მემნახველე (მე-მ-ნახვ-ელ-ე), რომლებიც ერთნაირად აღნიშნავენ მნახველობის მონაწილეს.

დავუბრუნდეთ ისევ „მემხლიანს“, რომლის ძირეული ნაწილი და პრეფიქსები უკვე გავარკვიეთ, ზოგადად ვუჩვენეთ მათი დანიშ-

---

5 გ. კარტოზია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1975, გვ. 39-41

ნულება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის სემანტიკური მხარის სრული გაგებისათვის საჭიროა თითოეული ფორმანტის გრამატიკული ფუნქციის ზედმიწევნითი დაზუსტება.

უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ „მემხლიან“-ში საქმე გვაქვს „მხლე“-„მემხლე“-სთან. თუ ამავე ტერმინში იან კომპლექსს აფიქსად გამოვყოფთ, მაშინ „მემხლიან“-ის თავდაპირველი ფორმა ასე წარმოგვიდგება: მემხლეიანი (მე-მ-ხლ-ე-იან-ი). -იან სუფიქსის დართვის შედეგად ადგილი აქვს -ე მაწარმოებლის რედუქციას და საბოლოოდ გვაქვს მემხლიანი. მართალია, „მემხლიანობა“ — „მემხლიანის“ ზოგიერთი ფონეტიკური ფორმა (მიმხლიობა, მენხლიობა...) -იან აფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ ფორმათა უმრავლესობა -იან-ის შემცველია და მას, უთუოდ, არსებითი მნიშვნელობა აქვს. ტერმინ „მემხლიანის“ ყველა ის ფონეტიკური ვარიანტი, რომლებიც აჭარულ დიალექტში გვხვდება, სახენაცვალი ფორმებია, მათი ამოსავალია მემხლე — მემხლიანი||მემხლეიანი.

-იან აფიქსის საყოველთაოდ ცნობილი ფუნქციის (იგი მიუთითებს ყოლა-ქონებაზე) გათვალისწინებით, მემხლეიანი ანუ მემხლიანი ნიშნავს მხლებლიანს, ე. ი. ადამიანს, რომელსაც მხლებელი ჰყავს, რომელსაც ვიღაც ახლავს.

თუ „მემხლიანის“ ასეთი ინტერპრეტაცია სწორია, მასში არ შეიძლება ვიგულისხმოთ „ხლება“ ვინმესთან მისვლის გაგებით, და მაშასადმე, ამ ტერმინში მწყემს-მემთევრებთან მისვლის შინაარსი, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, გამორიცხულია.

აქ უნდა გავიხსენოთ ლორჯომელთა კატეგორიული მტკიცება. მემხლიანობა ქალთა დღესასწაული იყო, წასვლის საკითხებს ქალები წყვეტდნენ და „მემხლიანიც“ მათვე ეწოდებოდათ. მამაკაცები საღღესასწაულოდ მიმავალი ქალების გამცილებლებად ითვლებოდნენ.


შეიძლება დავასკვნათ, რომ მხლე ანუ მემხლე (მხლებელი) იყო ის მამაკაცი, რომელიც საღღესასწაულოდ მთაზე მიმავალ ქალს ან ქალთა ჯგუფს ახლდა. ხოლო ქალს, რომელსაც მხლე-მემხლე — მხლებელი ჰყავდა, მემხლიანი (→ მემხლეიანი) ეწოდებოდა.

შემდგომში კი, როცა ამ ტრადიციულმა დღესასწაულმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო, სახელწოდება „მემხლიანის“ შინაარსი გაფართოვდა და ამ ტერმინით აღინიშნება შუამთობაზე მიმავალი (თუ წასული) როგორც ქალი, ისე მამაკაცი. მიუხედავად ამისა, ლორჯომში „მემხლიანის“ თავდაპირველი მნიშვნელობა უცვლელი დარჩა და მამაკაცს აქ „მემხლიანს“ არც ახლა უწოდებენ.

შუამთობა — მემხლიანობის

ტრადიციებმა წარმართობიდან დღემდე დიდი და რთული გზა განვლო. ამ ხნის მანძილზე საზოგადოებრივ განვითარებაში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა, კულტურულმა და იდეოლოგიურმა ძვრებმა მასში არსებითი ცვლილებები შეიტანეს. შუამთობის დღესასწაულმა ტრანსფორმაცია განიცადა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივაც.

დღეს შუამთობა წარმოგვიდგება მშრომელი კაცის (მიწათმოქმედის, მესაქონლე-მწყემსის თუ მემთევრის) დაუღალავი შრომით მოპოვებულ წარმატებათა მასობრივი დათვალიერების, ერთგვარი შესვენებისა და შრომის საერთო ფერხულში კვლავ ახალი ენერგიით ჩაბმისათვის მზადების დღედ, რომელიც ზეიმის ხასიათს ატარებს.



«რატომ მოვედი ამ სიცოცხლეში»...

ყოველი ნიჭიერი პოეტის კრებულის გამოსვლა პოეზიის მოყვარულთა სიხარულს იწვევს. ჩვენ კმაყოფილებით უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა პოეზიის მოყვარულთა მოთხოვნილება წიგნებზე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წიგნის მაღაზიის თაროებზე დიდხანს არ რჩება პოეტის წიგნი. მე მინახავს კოლმეურნე, რომელმაც შეიძინა ახალბედა პოეტის კრებული და იქვე მწყურვალედ გადაფურცლა.

ჭეშმარიტ პოეზიას ჯადოსნური ძალა აქვს, განა პოეტებმა არ შესძრეს ეპოქები? განა დიდების უჭკნობი გვირგვინები მშობლიურ ხალხებს დიდმა პოეტებმა არ დაადგეს? განა პოეტებმა არ დაიპყრეს მათთა თანამედროვეთა სული? კარგი ლექსი ადამიანის სულის ნაწილად იქცევა ხოლმე და მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი ხდება. ვინ იცის რამდენჯერ წაგვიკითხავს და მთელი სიცოცხლის მანძილზე ხშირად დავეწაფებით კიდევაც ღვთიურ სტრიქონებს; „გინდ მეძინოს, მაინც სული მი მიზიხარ! თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“ ან: „ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ანდერძი დავიბარეო: დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ- ხძელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“

რამდენი ასეთი მაღლიანი სტრიქონი ელვარებს ქართულ პოეზიაში! დიდია მათი ზემოქმედების ემოციური ძალა, დიდი.

რა თქმა უნდა, ნიჭსა და ნიჭს შორის ზღვარი დევს. ამიტომ იყო შოთა რუსთაველმა სამად დაჰყო მოშაირენი. მაგრამ არც იმათთვის დაუდვია ბრალი, რომელნიც „დიდსა ვერ მოჰკლვენ ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“, რადგან „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“. ასეთი გულით უნდა შევაფასოთ პოეტური კრებული, ვინც არ უნდა იყოს ძისი ავტორი.

მე ამ გულით მინდა გადავფურცლო პოეტი ქალის ცისანა ანთაძის წლეულს გამოცემული ლექსთა კრებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ლექსს არ განვიხილავთ, არც სუსტ, უღიმღამო სტრიქონებს ჩამოვთვლით. სად, რომელ

---

* ც. ანთაძე, ლექსები, გამომცემლობა, „საბჭოთა აჭარა“, 1979.

ლექსში ჩადო მთელი თავისი ხმა ავტორმა, ეს მიმაჩნია უპირველესად ყურადღების ღირსად, მაგრამ არის ისეთი ლექსიც, რომელიც არ გრწყინავს, სამაგიეროდ სხვა რამ დევს შიგ... და გვერდს ვერ აუვლი.

მაშ, ასე, ჩვენს წინ დევს პოეტი ქალის ცისანა ანთაძის კრებული და მე მას მთელი გულისყურით ეფურცლავ.

უპირველესად თვალში მეცა ლექსების სიუხვე ბათუმზე, კინაღამ ვიხმარე სიტყვა „ერთფეროვნება“, მაგრამ დავფიქრდი და თავი შევიკავე. რატომ? იმიტომ, რომ პოეტს სურს თავისი ფერად-ფერადი აკვარელით დაგვანახოს ბათუმის საკმაოდ გრძელი ქრონიკონი, როცა იყო ძველ და ახალ პროცესთა ერთობლივი დუღილი. ხან უკუნის ჩამოწოლა, ხან გამონათება, ვით ციური სხეულისა, მერე „ლურჯა ცხენების“ ავტორის მალალი ლანდი ძეგლივით რომ აღჩნდა, მაშინ ვიხილეთ მშვენიერება პოეზიისა, რომელიც გაეკრა სამხრეთ საქართველოს ლაჟვარდს. ეს რაღაც დიდ რამეს მოასწავებდა ამ კუთხის ცხოვრებაში, მიგვანიშნებს კრებულის ავტორი.

ცხოვრების ახალ პროცესთა აღქმა ძნელი როდია. ძნელია მისი პოეტურად გარდასახვა. ექსპონატივით შემოგვრჩა ფაიტონი —ეს გარდასული ყოფის საცქერლად საამო ნეგატივი, რომლის მიღმა დამსხვრეული სამყარო მოჩანს, პოეტს ეცოდება კიდეც ეულად დარჩენილი, დასევდიანებული ფაიტონე და ანუგეშებს: ნუ ირნენებო ნურაფერს, რადგან ცხოვრების ტალღა თვითონ ღმერთებსაც ათამაშებდაო. ეს პოეტური გულჩვილობა ლექსს თითქოს რაღაც ძალასა და ეშხს ჰმატებს.

ჩვენ მოგვწონს პოეტის წყურვილი — ყველაფერი თვითონ იხილოს და განიცადოს, ტკივილიც და სიხარულიც, გვემაც და ალდგომაც, რამეთუ ასე მძაფრად გახცდილი გული ახლოს მიიტანს სამშობლო ქვეყნის ჭირ-ვარამს. ეს ჰეშმარიტად მალალი მამულიშვილური თვითშეგნების ზიარებაა („თვითონ“), პოეტი ფიქრობს, რომ ცას ყველგან ერთი ფერი არა აქვს. ამიტომ ნატრობს: „ნეტავ მაჩვენა ცას რა ფერი აქვს, ცას დიდაჭარის შემოგარენთან“ („საახალწლო ბარათი მთაში“). ეს თითქმის მიამიტური ნატვრაა, მაგრამ გულწრფელი ტრფიალია. აკი ამბობს: თამარის ხიდთან, სხალთის კედელთან მე შევაჩერებ წუთით თარიღებს და ჩემს სიყვარულს ყველა ეზოსთან ჩამოვარიგებო. ასევე სიყვარულს ექსპრომტად მიაგებს ხაჯერ ქართველი შვილს, თერთმეტი შვილის დედას. ეს ფაქტი ჰეშმარიტად სიხარულის მომგვრელია. პოეტი მერე შორს გაავლებს ფერად ხაზებს, იგი ლოცულობს ყველა დედაზე, რადგან დედის მაგიურ სახელში ჰპოვებს ყველა სიკეთის წყარო საათავეს — მე ყველაფერი ვიწამეო შენი ღმერთების ძალით („დედათქება“), დედისა და ბავშვის ერთარსობა განუკვეთელია, სიცოცხ-

ლის მარადიულობის ღალადისია. ავტორი დედაა და მთელი გულით ალიქვამს დედის სიხარულსაც და ტკივილსაც. „ბარათი პერუელ დედებს“ არ მომწონს, მაგრამ ავტორმა ისე დიდი გულისტკივილით გაიზიარა პერუელ დედათა ხვედრი, რომ ამ ლექსზე საყვედური არ მინდა დამცდეს.

პოეტს სურს ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაუროს, ასე ვთქვათ, ყველგან აფრინოს თავისი ფრთიანი სტრიქონი. იგი გულთბილ სტრიქონებს უძღვნის „ვიეტნამელ პოეტ ქალს ხო სუან ხიონგის“, და დასძენს: ასი წლის შემდეგაც სიყვარულით მოგიგონებ, რადგან შენ იყავი მომღერალი იმ გმირთა, რომელთაც გული მსხვერპლად მიიტანეს სამშობლოს საკურთხეველთანო. პოეტი ალტაცებით ეხმიანება „თამარ კოჟევნიკოვას და მარინა პოპოვიჩს“. ლექსი ძიძლვხითია, სიმშრალის იერი დაჰკრავს, მაგრამ აქაც იპოვა ავტორმა თავისი თავი — პოეტური გზნება მიანიჭა სტრიქონებს: „როგორ შვენის ქალღმერთს იისფერი ზეცა, თვითონ ზეცის თავიც ქალღმერთივით იწვის, აქ იწყება რადგან მონატრება მიწის“.

რა ხნისაც არ უნდა იყო, თუ ქამმა დაჰკრა საარი და სიყვარულმა შემოგიძახა, შეთრთოლდება შენი გული, გონება აგერევა... და შენდაუნებურად მიეცემი ტრფიალების ნეტარებას. პოეტის გული ხომ მეტად მგრძნობიარე და მგზნებარეა, იგი ინთება თავისთავადაც მუზების მოხმობის ქამს. მოვუსმინოთ დიდ ირანელ პოეტს ომარ ხაიამს:

საცოდავია, ვისაც ტრფობის ჭირი და სნება
არ განუცდია, არ ჰქონია ამისგან ვნება.
ვისაც ამ ქვეყნად უცხოვრია უსიყვარულოდ,
— მე ვცხოვრობდიო, — მას ამის თქმის არა აქვს ნება.

სულში რეკავს გალაკტიონის უკვდავი სტრიქონებიც: „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“. ჰოდა, ტრფიალებით ნეტარება, სიცოცხლის ნეტარებაა, უკვდავი სილამაზეა სულისა. ამიტომ არის, რომ სული ტრფიალების გალობის ნდომითაა მოწყურებული. პოეტს მუდამ უნდა ემღერებოდეს სიყვარულზე, ახალგაზრდობის ქამსაც და მიმწუხრის ქამსაც, რადგან სიყვარულის საგალობელი ახანგრძლივებს სულის სიცოცხლისუნარიანობას.

ცისანა ანთაძის მუზაც თავს ევლება სიყვარულს, მას ფართოდ უღებს გულის კარებს. მინდა მოვიტანო სტრიქონები მისი ერთი უსათაურო ლექსიდან:

შენი სახეც ერთხელ ღმერთში ამერია,
ნაცრად იქცა წელიწადი დამღლელი,
გული მოგავს რტოშეტეხილ კამელიას
და ჭარივით ნელა არხევს ნაღველი.

მე თვალი ვკიდე ლექსს „ეკლესიაში“, მეგონა პოეტი სალოცავად ეწვია ეკლესიას-მეთქი. აქ კარგად ჩანს პოეტის გულისთქმა, როცა ამბობს: — მე მივაგენი ბუდეს ღმერთების, მაგრამ თვით ღმერთებს ვერ მივაგენიო. ძეორე უსათაურო ლექსში უფრო გამოკვეთილია პოეტის აზრი: — არც მიწაზე, არც ზეცაში საფლავიც კი არ ჩანს ღმერთისო. ასე რომ, პოეტმა იცის სად თავდება სინამდვილე და სად იწყება ზღაპარი. მისი რწმენაა სამშობლო ქვეყანა მთებით, მინდორ-ველებით, ძველი თუ ახალი ფასეულობით. ძველი თუ ახალი ტაძრებით.

ლექსში „რატომ?“ რა საკითხიცაა წამოჭრილი, ახალი როდია, ვის, რომელ პოეტს არ უფიქრია ამაზე?! აქ ადამიანის წუთისოფლიდან გარდასვლის სამწუხარო წუთებია მოხმობილი, რაც იწვევს ტკივილიანი აზრების ასოციაციას. ყველა ნიჭიერი პოეტი ამ სატკივარს თავისებურად ამბობს და ამით ახალ გზნებას აძლევს სტრიქონს. პოეტმა ქალმა ამ ათასჯერ „ნახმარ ფიქრს“ თავისი სული ჩაუდგა, თავისებურად გაიაზრა.. და მეც ვიმეორებ მის სტრიქოხებს:

რატომ მოვედი აქ სიჩუმიდან,
რატომ მოვედი? რატომ მოვედი?

ამ საკითხის ასე წარმოსახვა ხომ იმაზე მიგვანიშნებს, შევიცნოთ თავი ჩვენი, ანუ ვიფიქროთ, განვსაჯოთ — რატომ მოვედით ამ წუთისოფელში, და რაკი მოვედით, რა უნდა ვაკეთოთ, რომ ვიყოთ ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომ მთელი გულით ვეძსახუროთ ხალხს. ჭეშმარიტი ძამულიშვილობა! აი, რა არის მთავარი პოეტისთვისაც და არა პოეტისთვისაც, ყველასათვის. დიდი ილიას არ იყოს, ყოველდღე შენ თავს უნდა ჰკითხო, ვის რა ვარგეო. თუკი გინდა მოიხვეჭო ხალხის ნდობა და სიყვარული, უნდა მიჰყვე კიდეც ამ დიდი ქართველი მოაზროვნის დიდ კეთილშობილურ ძცნებას.

მამია ვარშანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოლიანა და ბუკაშკა

ფერადი ფანქრები

ყველაფერი ფერადი ფანქრებით დაიწყო.

საქმე ის გახლდათ, რომ ბავშვობაში, ერთხელ მამამ ბათურიკოს ქალაქიდან ლამაზი კოლოფი მოუტანა, რომელშიც ბავშვის გასაოცრად, კამფეტები კი არა, ნაირ-ნაირი ფერადი ფანქრები ეწყო ლამაზად. ბათურიკომ პირველად წარბები შეჭმუხნა და სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, მაგრამ მერე თანდათან მოუბრუნდა გული. ფანქრებს წვერი წაუთალა, თეთრი ქათქათა ქაღალდიც მოძებნა და ფრთხილად გაავლო პირველი ფერადი ხაზი. მერე უფრო გათამამდა და უკვე გაბედულად ავლებდა უთავბოლო და უფორმო ფერად ხაზებს. ერთი სიტყვით, ისე შეუყვარდა ფერადი ფანქრები, რომ ქაღალდი ვერ აუთავეს. მაშინ კედლებზეც სცადა. ამისათვის ერთი-ორჯერ კიდეც მოხვდა უფროსებისაგან, მაგრამ ფერადი ფანქრების სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ისევ ჯიუტად განაგრძობდა უცნაური და უსახური ფიგურების ხატვას. თქვენ წარმოიდგინეთ, გაკვეთილის სწავლის დროსაც კი ხატავდა და ხატავდა. მაშინ მშობლებმა დაასკვნეს, ეს ბიჭი ისე მონდომებულია, ნამდვილად დიდი მხატვარი გამოვაო. ბათურიკო სწავლაში დიდ ინტერესს არ იჩენდა და თავს არ იკლავდა მეცადინეობით, მაგრამ კლასიდან კლასში ყოველთვის გადადიოდა. იგი ფერადი ფანქრების დიდი სიყვარულისა და წარამარა ხატვის მიუხედავად არც დიდი მხატვარი გამოსულა, თუმცა ფერადმა ფანქრებმა მის შემდგომ ცხოვრებაში მაინც დიდი და შეუცვლელი ადგილი დაიკავა.

გავიდა დრო. ბათურიკო გაიზარდა და დავაჟკაცდა. როგორც იტყვიან, დიდი ცხოვრების გზაზე გამოვიდა და მის წინაშე უზარმაზარი ასპარეზი გადაიშალა. მისი კარიერაც სწორედ ფერადი ფანქრით დაიწყო. სამუშაოზე მოსაწყობად რომ განცხადება დაწერა, ერთმა მადლიანმა უფროსმა ფერადი ფანქრით წააწე-

რა რეზოლუცია. ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი. რეზოლუციის ავტორი კარგი ხელისა გამოდგა და ბათურიკოს საქმე კარგად აეწყო.

მალე ბათურიკო ერთ-ერთი სოლიდური არტელის თავმჯდომარედ აირჩიეს. აქ გამოჩნდა მისი ნიჭი და უნარი, აქ გამოვლინდა მისი ყველა შესაძლებლობა, ჩაჯდა თუ არა თავმჯდომარის სავარძელში, იროგვლივ შემოიკრიბა სანდო ხალხი და ფართო საქმიანობა გააჩაღა. მის იროგვლივ მუდამ ფუსფუსებდნენ, შედიოდნენ და გამოდიოდნენ, მოახსენებდნენ და უსმენდნენ, ანგარიშს აბარებდნენ და დავალებებს ღებულობდნენ, შეჰქონდათ და გამოჰქონდათ საქმიანი ქაღალდები, ღებულობდა სტუმრებსა და ისტუმრებდა მთხოვნელებს, მართავდა ბანკეტებსა და ამბიობდა სადღეგრძელოებს, იწვევდა თათბირებს და გამოდიოდა სიტყვებითა და მოხსენებებით. ურეკავდნენ და რეკავდა, არჩევდა კადრებს, იროგვლივ იკრებდა ერთგულებს და სანდო ხალხს, უნდობებსა და ორგულებს კი ახლოსაც არ იკარებდა. მაგრამ ცდილობდა ყველა კმაყოფილი ჰყოლოდა, მტერიცა და მოყვარეც, ერთგულიცა და ორგულიც.

სწორედ აქ გამოადგა ფერადი ფანქრები. ამ ფერადმა ფანქრებმა ენით აუწერელი სამსახური გაუწია ბათურიკოს. იცოდა ბათურიკომ ვის განცხადებაზე როგორი ფერის ფანქრით წაეწერა რეზოლუცია. შინაარსს კი არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ რა ფერის ფანქრით იყო დაწერილი ეს რეზოლუცია. ერთგულმა ხელქვეითებმაც კარგად უწყოდნენ, რომელი რეზოლუცია უნდა შეესრულებინათ და რომელი არა, ვისთვის პირდაპირ ეთქვა უარი და ვისთვის შემოეღიმა, ვინ მოეტყუებინათ და ვინ არა. ასე რომ ბათურიკოს საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი. ლოცავდა ფერადი ფანქრების მომგონს და იმ დღეს, როცა მამამ პირველად უყიდა ფერადი ფანქრები. ერთი სიტყვით, ფერადი ფანქრები განუყრელი იყო მისი ცხოვრებისაგან. კაბინეტში თანამშრომლებთან თუ მთხოვნელებთან საუბრის დროსაც მუდამ ხელში ეჭირა ფერადი ფანქარი. გამოცდილი ხელქვეითები, იმის მიხედვით თუ რა ფერის ფანქარი ეჭირა ხელში, იმასაც კი ხვდებოდნენ, როგორ ხასიათზე იყო იგი.

მართალია, ჩუმჩუმად ხმა დადიოდა, რომ ბათურიკოს სახელმწიფო ქონებაში ხელის ფათური უყვარსო და ფათურიკაც შეარქვეს, მაგრამ ეს ან არ მიდიოდა ბათურიკოს ყურამდე, ან ყურადღებასაც არ აქცევდა მას.

მერე ბათურიკომ ფერადი ტელევიზორიც იყიდა. კაბინეტიც ფერადი ხალიჩებითა და სურათებით მორთო. კედლებზე ფერადი დიაგრამები და სქემები ეკიდა. ტელეფონებიც ფერადი იდგა. სურათებსაც ფერადს იღებდა.

ბოლოს და ბოლოს ბათურიკო ისე შეეჩვია ფერად ფანქრებსა და

ფერად ტელევიზორს, რომ სიზმრებსაც მხოლოდ ფერადს ნახულობდა, თანაც მრავალსერიანს.

აბა უბრალო მოკვდავივით შავთეთრ და მოკლემეტრაჟიან სიზმარს ხომ არ იკადრებდა. მერე ძალიან უყვარდა ამ სიზმრების მოყოლა თანამშრომლებში. ისინიც დიდი გულისყურით უსმენდნენ, ნახულს შეუქებდნენ, სიზმრის კეთილად ახდენას უსურვებდნენ.

ერთხელ, რაკი შეამჩნია სიზმარი უყვარსო, ახალბედა თანამშრომელმა იფიქრა დირექტორს ვასიამოვნებო და თავად მოუყვა სიზმარი. დირექტორმა წარბები შეჭმუხნა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, თანამშრომლებმა ერთი ამბავი დააწიეს ახალბედას ესოდენ კადნიერებისათვის; რა უფლება გქონდა დირექტორის დაუკითხავად გენახა სიზმარიო, ან როგორ გაბედე მანამდე გენახა სიზმარი, სანამ მას დირექტორი არ ნახავდაო.

ყველაფერი ფერადი ფანქრებით დამთავრდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბათურიკო აღარ აირჩიეს არტელის თავმჯდომარედ. გასაოცარი ის იყო, რომ ყველას რატომღაც მისი კანდიდატურა სწორედ ფერადი ფანქრებით წაეშალა. მაშინ დარწმუნდა ბათურიკო, რომ კაცის გაშავება თურმე ფერადი ფანქრითაც შეიძლება.

ამის შემდეგ ბათურიკო შინ ჩაიკეტა. გარეთ აღარ გამოდიოდა არავის ენახვებოდა. საშინლად გულჩათხრობილი გახდა და საკუთარ გულში იხარშებოდა.

მერე ხმა დაირხა, ბათურიკოს უცნაური სენი შეჰყრიაო. ყველაფერს გულგრილად და ცივად შეჰყურებდა. თვალებში ყინვა ჩადგომოდა და სახეზე ყველაფრისადმი განურჩევლობა და უნდობლობა ეტყობოდა. დიაგნოზი — გულის გაქვავება.

არიქა ვუშველოთ სანამ გვიანი არ არისო, ღაასკვნა ახალგაზრდა პერსპექტიულმა ექიმმა და ბათურიკოს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ბათურიკოს მკერდიდან ქვა ამოუღეს და, ერთი სიტყვით, იხსნეს კაცი აშკარა დაღუპვისაგან.

ახლა ბათურიკოს ველარ იცნობთ. დაუბრუნდა ბავშვური გულწრფელობა და გულახდილობა. თქვენ წარმოიდგინეთ, საოცრად გულჩვილიც კი გახდა და ყველაფერს, ავსაც და კარგსაც, სხვის სიბრალულსაც და გასაჭირსაც ზედმეტი გრძნობიაროზით განიცდის. მხოლოდ ესაა, ფერადი ფანქრების სიყვარულს ვერაფრით გადაეჩვია. წავა ბათურიკო კულტსაქონლის მაღაზიაში, იყიდის ფერად ფანქრებს, დაბრუნდება შინ, ჩაჯდება შვილიშვილებში და გატაცებით ასწავლის მათ უფორმო და უთავბოლო ფერადი ხაზების გავლებას.

ვინ იცის, შვილიშვილები იქნებ უფრო ილბლიანნი გამოდგნენ!

ჯუმა თელია.

6140/180

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ"

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 70118